"ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ უშველოს ამ ქალაქს!" A2

"თქვენი აფხაზეთი" A8

ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 27 ოქტომბერი, 2004 წელი. №255 (804)

ფასი 50 თეთრი

# სავალდებულო სამხედრო სამსახური ერთწლიანი "სიამოვნება" ხდება

გიორგი ასანიშვილი

*დეპუტატებმა ჯარისკაცებს გუშინ სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადეს: პარლამენტის გადაწყვეტილებით, სავალდებულო სამსახურის ვადა 18-დან 12 თვემდე მცირდება. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ამ საკანონმდებლო ინიციატივას 121-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. კანონი მისი გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდება და ამდენად, ახლანდელ წვევამდელებზეც გავრცელდება.*

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუა აცხადებს, რომ არმიაში ერთწლიანი სამსახური სავსებით საკმარისია სამხედრო საქმის სრულყოფილად დასაუფლებლად. ამასთან, იგი ანგარიშგასაწევად მიიჩნევს სხვა ფაქტორებსაც. კერძოდ, თავდაცვის სამინისტრო თანდათან გადადის ისეთ ეკიპირებაზე, რომელიც მხოლოდ ერთი წელი ძლებს, მერე კი ცვდება და იხევა, რამაც შეიძლება გაწვევის ჩაშლაც კი გამოიწვიოს. ნიკა რურუას მტკიცებით, სამსახურის ვადის შემცირება "დედოვშინის" აღმოფხვრასაც შეუწყობს ხელს. მწირი ბიუჯეტის გათვალისწინებით, არც ის არის უმნიშვნელო, რომ ჯარისკაცების შესანახად სახელმწიფოს ერთი მესამედით ნაკლები თანხის გაღება მოუწევს.

პარლამენტმა გუშინ რამდენიმე საკადრო საკითხზეც მიიღო გადაწყვეტილება. ვატიკანში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონის კანდიდატურა.

**"ბაგრატიონ-მუხრანბატონი წმინდა საყდარში ელჩად მიდის. ამას კენჭისყრაც არ სჭირდება და ტაშიც საკმარისია,"** - რეგლამენტის "დარღვევისკენ" მოუწოდებდა კოლეგებს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი. დეპუტატებმა არც მწვადი დაწვეს და არც შამფური: კენჭისყრაც მოეწყო (112 მომხრე, წინააღმდეგი არავინ) და ტაშიც გაისმა, ახალდამტკიცებული ელჩის გამოსვლა კი ძალზე ლაკონური იყო.

**"სამშობლოსთვის სამსახური ჩემთვის დიდი პატივია,"** - მხოლოდ ეს თქვა ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# უკრაინაში წაბლს ბერტყავენ?



*ბურუსით მოცული მოწამვლის შედეგად იუშენკო წინასაარჩევნო კამპანიიდან ერთ თვეზე მეტი ხნით გამოთიშული იყო.*

*უკრაინული "წაბლის რევოლუცია", შესაძლოა, არც შედგეს. რუსული ანალიტიკური სააგენტო "გაზეტა.რუ" წერდა: ამბობენ უკრაინაში წაბლს ბერტყავენო, რათა ასეთი ეგზოტიკური სახით თავი დაიზღვიონ "წაბლების რევოლუციისგან".*

ნიკა თარაშვილი

უკრაინის წინასაარჩევნო კამპანიის ფინალი დრამატული ხდება. ერთი შეხედვით უწყინარი ომი სხვადასხვა რეიტინგებს შორის, რომელთა თანახმადაც რუსული სოციოლოგიური სამსახურები იანუკოვიჩის უპირატესობაზე საუბრობენ, როცა, ამავდროულად, უკრაინული ანალოგები იუშენკოს აშკარა უპირატესობას ამტკიცებენ, თანდათან ქუჩის ბრძოლებში გადაიზარდა. გუშინ გაჩნდა ცნობები უკრაინის დედაქალაქში ოპოზიციის საარჩევნო შტაბების დარბევების შესახებ. იუშენკომ, რომელიც ბურუსით მოცული მოწამვლის შედეგად წინასაარჩევნო კამპანიიდან ერთ თვეზე მეტი ხნით გამოთიშული იყო, არა მარტო მომხრეთა პირდაპირი (მეტწილად პიროვნული შარმის წყალობით) მიმხრობის შესაძლებლობა დაკარგა, არამედ ინფორმაციულ უმცირესობაშიც აღმოჩნდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

# WELCOME TO GEORGIA

A3



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*სვანეთი უცხოელი ტურისტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი მხარეა.*

## პრეზიდენტის "უხეშობით" განაწყენებული რუსი დელეგატი

სოფო ბუკია

*ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრები გუშინ საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შეხვდნენ. ევროპელი სტუმრების საქართველოში ვიზიტის შთაბეჭდილებები ამ ეტაპზე სრულიად გასაიდუმლოებულია. მონიტორინგის ჯგუფის საბოლოო დასკვნა დღის სინათლეს 15 დეკემბერს პარიზში იხილავს. იქნება თუ არა საქართველო ევროსაბჭოს სრულუფლებიანი წევრი? - ეს მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ჩაიწერება ამ დასკვნაში.*

პატიმრობაში მყოფი მაღალჩინოსნების მონახულების შემდეგ, საქართველოში ვიზიტად მყოფი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრები სახელმწიფო კანცელარიაში ჯერ პრეზიდენტს, შემდეგ კი პრემიერ-მინისტრს შეხვდნენ.

ციხე-კოლონიების გარდა მონიტორინგის ჯგუფის წევრები ადამიანის უფლებებით, გაყინული კონფლიქტებითა და საგარეო პოლიტიკის საკითხებით დაინტერესდნენ. ამ თემებზე კანცელარიაში დახურულ კარს მიღმა საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისაუბრეს. საუბარი თურქი მესხების თემასაც შეეხო, თუმცა სტუმრებმა ვრცელი კომენტარისგანაც თავი შეიკავეს: **"ჩვენს მოსაზრებებს და საბოლოო დასკვნას სპეციალურ მოხსენებაში ჩამოვაყალიბებთ,"** - აღნიშნა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელმა ჟოზეტ დურიემ.

გაგრძელება A2 გვერდზე

## საფინანსო ამნისტია - ნოვატორული პროექტი

სახელმწიფო კანცელარიაში დღეს დაგეგმილ მთავრობის სხდომაზე, ძირითადი საკითხი "ფინანსური ამნისტიის შესახებ" კანონპროექტის განხილვა იქნება.

საქართველოს მთავრობამ კანონპროექტზე მუშაობა 22 ოქტომბერს გვიან ღამით დაასრულა. დღევანდელი განხილვის შემდეგ კი, მინისტრთა კაბინეტი დოკუმენტის პროექტს დასამტკიცებლად პარლამენტში გადააგზავნის.

**"კანონპროექტი შეიცვალა, გაუმჯობესდა და საგრძნობლად დაიხვეწა... პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებულია სქემა და, ვფიქრობ, არანაირი პრობლემა არ უნდა იყოს,"** - განაცხადა კახა ბენდუქიძემ პრემიერ-მინისტრთან გუშინდელი შეხვედრის შემდეგ.

ეკონომიკის მინისტრთან ერთად, დახურულ კარს მიღმა გამართულ შეხვედრას ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე, ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი და ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი გიგი წერეთელიც ესწრებოდნენ.

ჯერჯერობით მთავრობის წევრები ახალ პროექტზე კონკრეტულად არ საუბრობენ, თუმცა, როგორც რომან გოცირიძემ განაცხადა, **"ფინანსური ამნისტიის შესახებ" კანონპროექტი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო და ნოვატორულია, რაც კი ბოლო წლებში შემუშავებულა."**

კანონპროექტის თანახმად, კერძო და იურიდიულ პირებს 2004 წლის 1 იანვრამდე ბიუჯეტისთვის დამალული თანხების ლეგალიზების საშუალება ექნებათ.

*24 საათი*

### ეკონომიკა

## ახალ მთავრობასთან BP თავს ბერად გრძნობს

გუშინ ლონდონში BP-ის კვარტალური შემოსავლების პრეზენტაცია გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი BP-ს პროექტებს შორის ერთ-ერთი უდიდესია, საქართველოზე საუბარი არ ყოფილა. საქართველოში BP ფულს ჯერ მხოლოდ ხარჯავს.

A4

### საზოგადოება

## შესაძლებლობაშეზღუდულები ჩივიან



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ კიდევ ერთხელ სცადა, ხელისუფლებისთვის ხმა მიეწვდინა.

A6

### სამართალი

## კობა ნარჩემაშვილის საქმეზე ევრომონიტორინგი დაწესდა



ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის დელეგაციის წევრებმა, ბევრისთვის მოულოდნელად, უშიშროების სამინისტროს იზოლატორში მყოფი შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის "მიწვევა" მიიღეს და გუშინ ისინი კობა ნარჩემაშვილს წინასწარი დაკავების საკანში ესტუმრნენ.

A7

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

### ამინდი

| | 27/10 | 28/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | 23 |
| ქუთაისი | 27 | 28 |
| ბათუმი | 27 | 29 |
| სოხუმი | 26 | 26 |
| ფოთი | 27 | 28 |
| თელავი | 21 | 22 |
| ზუგდიდი | 28 | 28 |
| გორი | 20 | 21 |
| ახმეტა | 21 | 22 |
| ჭიათურა | 23 | 24 |
| გაგრა | 25 | 24 |
| სამტრედია | 27 | 28 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8200 |
| ევრო | 2.3280 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3439 |
| რუბლი | 0.0633 |

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 დისკუსია

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## "ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ უშველოს ამ ქალაქს!"



გაფიცული რუსთაველი მუშები.

მაია მოსიაშვილი

რუსთაველ მუშათა საგაფიცვო კომიტეტის ათამდე წევრმა გუშინ ქალაქის მერიის შენობის წინ შიმშილობის აქცია დაიწყო. საგაფიცვო კომიტეტს, რომელიც მეტალურგიული და ქიმიური ქარხნების ყოფილ მუშებს აერთიანებს, ამჯერად ერთადერთი მოთხოვნა აქვს - დაჩქარდეს ის ჯანსაღი პროცესები, რომლებიც ამ საწარმოებთან დაკავშირებით რევოლუციის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო და რომლებიც, რატომღაც, დღემდე ჭიანურდება.

**"კარგად გვახსოვს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაპირებები, მივხედავთ რუსთავსო, მაგრამ რეალურად არაფერი გაკეთებულა. ამიტომ, სხვა გზა აღარ გვაქვს, უკიდურეს ზომებს უნდა მივმართოთ. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი გვირჩევნია. ასე ფიქრობს რუსთავის მოსახლეობის თითქმის ასი პროცენტი და ხვალ-ზეგ ისინი ჩვენს გვერდით დადგებიან,"** - განუცხადეს მოშიმშილე მუშებმა "24 საათს".

შიმშილობის დაწყებამდე საგაფიცვო კომიტეტი რუსთავის მერს მერაბ ტყეშელაშვილს შეხვდა, რომელმაც მთლიანად გაიზიარა მუშების პოზიცია.

**"ქვეყნის სათავეში უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებიც ხალხსა და ქვეყანას ზიანს არ აყენებენ. რუსთავის დიდი საწარმოების - მეტალურგიისა და "აზოტის" საქმე ძალიან ჭიანურდება და მე მოვთხოვ მთავრობას, დროულად გადაწყვიტოს ის. პირველ რიგში ეს საკითხი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას გადასაწყვეტია,"** - განაცხადა ტყეშელაშვილმა. მისი თქმით, რუსთავის ბიუჯეტმა ბოლო თვეებში მინიმუმ 5 მილიონი ლარი დაკარგა იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობამ ზემოთ დასახელებულ საწარმოებთან დაკავშირებით ცალსახა და გარკვეული პოზიცია არ დააფიქსირა.

რუსთავის მერს უკვე მზად აქვს წერილი პრემიერ-მინისტრისა და ეკონომიკის მინისტრის სახელზე, სადაც ის, რუსთაველების სახელით, ყურადღებას და საკითხების დროულად გადაწყვეტას ითხოვს.

**"ჟვანიამდე უნდა მიიტანოთ ჩვენი ამბავი. უთხარით მასაც და ყველას - იქ, ზემოთ: ისინი ვალდებულნი არიან, გაიზიარონ ჩვენი გასაჭირი და ტკივილი. სხვა გზა აღარ გვაქვს, უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ უშველოს ამ ქალაქს,"** - ასეთი "დავალება" მისცეს გაფიცულმა მუშებმა ქალაქის მერს.

## სავალდებულო სამხედრო სამსახური ერთწლიანი "სიამოვნება" ხდება



სამხედრო ბეგარის შემცირება ამ მოწვევის პარლამენტის ერთ-ერთი სერიოზული გადაწყვეტილებაა.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

გუშინვე პარლამენტში ოთხი დეპუტატის სავარძელი გათავისუფლდა: პარლამენტის წევრის უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდათ მალხაზ ბეგიაშვილს (დანიშნულია ფინანსთა მინისტრის მოადგილედ), ბეჟან კალანდაძეს (პრეზიდენტის რწმუნებული გურიის მხარეში), გიორგი ხაჩიძეს (პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთში) და ლევან მხეიძეს (ფინასური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის უფროსი).

გუშინდელ დღეს არც ხმაურიანი განცხადებების გარეშე ჩაუვლია. ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატის გურამ ვახტანგაშვილის თქმით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ქართულმა მხარემ, თავის დროზე, მთელი რიგი სიმაღლეები დატოვა, ოსებმა კი სტრატეგიული ადგილები შეინარჩუნეს და ისინი ამჟამად სწორედ იქიდან უშენენ ცეცხლს ქართულ სოფლებს.

**"თუ ასე გაგრძელდება, წლის ბოლოს დიდი და პატარა ლიახვის ხეობიდან 20-25 ათასი ლტოლვილი გვეყოლება,"** - საკმაოდ პესიმისტურ პროგნოზს აკეთებს პარლამენტარი. მისივე განცხადებით, ოსი ბოევიკების ზეწოლის შედეგად, რამდენიმე სოფლის საკრებულოს შენობიდან ქართული დროშები ჩამოიხსნა. ვახტანგაშვილი მოითხოვს, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითმა საპარლამენტო კომისიამ (თავმჯდომარე ვასილ მაღლაფერიძე) დეპუტატებს მიაწოდოს ინფორმაცია ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

კონფლიქტების მოგვარების საკითხზე პარლამენტში გუშინ უცხოელი სტუმარიც მსჯელობდა: ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის საპატიო თავმჯდომარე ბრიუს ჯორჯი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრებთან შეხვედრის დროს, სწორედ ამ თემაზე საუბრობდა.

**"ის სიმარტივე, რომლითაც საქართველოს იურისდიქციაში აჭარის დაბრუნება მოხდა, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შემთხვევაში აღარ განმეორდება"**, - აცხადებს ბრიტანელი პოლიტიკოსი. თავის მოსაზრებას ბრიუს ჯორჯი იმით ხსნის, რომ **"რუსეთი მჭიდროდ თანამშრომლობდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან უცნაური კაცის** (ასლან აბაშიძე) **მოშორების საკითხში, სხვა რეგიონების მიმართ კი ოფიციალური მოსკოვი იგივეს გაკეთებას აღარ აპირებს"**.

ინგლისელი სტუმარი "პარადოქსს" უწოდებს იმ ფაქტს, რომ **"რუსეთი, რომელსაც თავის ტერიტორიაზე სერიოზულად აწუხებს სეპარატიზმის პრობლემა, მეზობელ ქვეყნებში არსებულ იგივე ძალებთან სიამოვნებით თანამშრომლობს."** ბრიუს ჯორჯი არ მალავს, რომ დაკონსერვებული კონფლიქტების მოკლევადიანი გადაწყვეტის პერსპექტივა არარეალურად მიაჩნია.

## პრეზიდენტის "უხეშობით" განაწყენებული რუსი დელეგატი

პირველი გვერდიდან

დურიე საქართველოში ახალი ხელისუფლების მიერ დაწყებული რეფორმებით კმაყოფილია.

**"საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქვეყანა არსებული კრიზისიდან გამოიყვანოს და თანდათანობით მისი ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება მოხერხდეს. სერიოზული პრობლემების მიუხედავად, ხელისუფლება ცდილობს, დაარიგოს პენსიები, მოაწესრიგოს პოლიციელთა და ჯარისკაცთა საყოფაცხოვრებო პირობები,"** - აღნიშნა მან.

იმას, რომ საქართველოში "გარკვეული პრობლემებია" ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით, კომიტეტის წევრები არ მალავენ, თუმცა იმედოვნებენ, რომ ხელისუფლება ამ პრობლემის მოსაგვარებლადაც მოიცლის.

დურიეს თქმით, ხელისუფლება მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდეს და რეფორმები შემდგომაც უნდა გაგრძელდეს. რეფორმების შეუქცევადობის ერთ-ერთ წინაპირობად, მას ქართული მასმედიის აქტიურობა მიაჩნია. **"ჟურნალისტებმა ხელისუფლებას მოდუნების საშუალება არ უნდა მისცენ,"** - აცხადებს დურიე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტთან საუბარს ნაყოფიერს უწოდებს.

მიხეილ სააკაშვილის კაბინეტიდან გაცილებით უფრო ცუდ გუნებაზე გამოვიდა რუსეთის დუმის დეპუტატი და საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლეონიდ სლუცკი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის "არასწორ ქმედებებზე" საუბრობს და აღნიშნავს, რომ სააკაშვილს ქართულ-რუსული პრობლემების მოგვარების საკითხში არასწორი პოზიცია აქვს. სლუცკის პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრა ევროპელი კოლეგების გარეშე, პირისპირ სურს.

**"ვფიქრობ, თბილისში ყველა ჩემი თანამოსაუბრე კონსტრუქციულად იყო განწყობილი, რასაც სამწუხაროდ ვერ ვიტყვი საქართველოს პრეზიდენტზე, რომელმაც, ჩვეულებისამებრ, საკმაოდ უხეში განცხადებები გააკეთა. უხეში პოზიცია დააფიქსირა იგივე აფხაზეთის, ოსეთის და სხვა საკითხების მიმართ. მე საქართველოს პრეზიდენტთან სტუმრად ვიმყოფებოდი, ამიტომ დისკუსია არ გამიმართავს,"** - აღნიშნა ვლადიმერ ჟირინოვსკის თანაგუნდელმა სლუცკიმ, რომელიც ფიქრობს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთთან საუბრისას ტონი უნდა შეარბილოს.

სლუცკი დარწმუნებულია, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმება მიმდინარე წელს მოხერხდება. მისი მოსაზრებით, ჩარჩო ხელშეკრულება გახდება ამოსავალი წერტილი რუსეთ-საქართველოს შემდგომ ურთიერთობებში. იგი, ასევე, დარწმუნებულია, რომ შესაძლებელია, განხილული იქნეს როკის გვირაბთან ქართველი მესაზღვრეებისა და მებაჟეების ჩაყენებაც.

**"ჩემი მოსაზრებით, არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენება. თუმცა, როგორი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ამას უკვე მოლაპარაკებები განსაზღვრავს. პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ ქართველი მესაზღვრეები და მებაჟეები როკის გვირაბის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოჩნდნენ,"** - აცხადებს სლუცკი.

## "სამართლიანი არჩევნების" შეფასება

24 ოქტომბრის შუალედურ საპარლამენტო არჩევნებს, "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" (ISFED) დამკვირვებლები დიდუბის, კრწანისის, გორისა და ზესტაფონის 150-ზე მეტ საარჩევნო უბანზე აკვირდებოდნენ.

არჩევნების დღეს "სამართლიანი არჩვენების" დამკვირვებლები ესწრებოდნენ ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცედურებს. დამკვირვებლებმა დაასკვნეს, რომ შუალედური საპარლამენტო არჩევნები საარჩევნო კანონის შესაბამისად, თუმცა გარკვეული ხარვეზებით (ძირითადად ადმინისტრირების თვალსაზირისით) ჩატარდა.

**"დიდუბის საარჩევნო ოლქის N20 საარჩევნო უბნის კომისიამ 50-მდე ბიულეტენს, საარჩევნო უბნის ბეჭდის ნაცვლად, დაარტყა "კანდიდატი მოხსნილია"-ს აღმნიშვნელი ბეჭედი. არ დალუქა გამოუყენებელი ბიულეტენები და სიები, ხოლო N13 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველს პენსიონერის მოწმობით მიაცემინეს ხმა. გორის საარჩევნო ოლქის N40 ვარიანის საარჩევნო უბანზე 12.00 საათისათვის არ იყო დალუქული საარჩევნო ყუთები, 15.00 საათამდე კომისიამ ISFED-ის დამკვირვებელს არ უჩვენა სიის დანართი, საარჩევნო უბნის თავმჯდომარის შვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი არაკანონიერად იმყოფებოდა უბანში და ამ დარღვევების დაფიქსირებისას კომისიის თავმჯდომარის მხრიდან ISFED-ის დამკვირვებელზე ადგილი ჰქონდა დაშინებასა და მუქარას,"** - ნათქვამია "სამართლიანი არჩევნების" განცხადებაში. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ამ დარღვევებმა არჩევნების შედეგებზე გავლენა ვერ მოახდინა.

რაც შეეხება სხვა დარღვევებს, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, საარჩევნო სიების კორექტირების მიუხედავად, ამომრჩეველთა სიები მაინც არ იყო სრულყოფილი. ამის გამო, ბევრ საარჩევნო უბანზე არჩევნების დღეს ამომრჩეველთა დამატებითი რეგისტრაცია გახდა აუცილებელი. "სამართლიანი არჩევნების" აზრით, შუალედური არჩვენების დროს საარჩევნო კომისიების ზოგიერთი წევრის არაკომპეტენტურობამ დაადასტურა, რომ **"დროულად უნდა გადაიჭრას საარჩევნო ადმინისტრაციების სერტიფიცირების საკითხი."** გარკვეული პრობლემების გაჩენა ორგანიზაციის წარმომადგენელთა აზრით, საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების ნაჩქარევად, არჩევნებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე მიღებამაც განაპირობა.

"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" სრულ შეფასებას 24 ოქტომბრის არჩევნების შესახებ ყველა საარჩევნო პროცედურის დასრულების შემდეგ წარმოადგენს. მანამდე კი ორგანიზაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ასეთია: **"დასრულდეს მუშაობა ამომრჩეველთა ერთიანი სიების სრულყოფაზე და აღმოიფხვრას არჩევნების დღეს ამომრჩეველთა დამატებით რეგისტრაციის პრაქტიკა; საჯარო განხილვების შედეგად დადგინდეს და დაიხვეწოს საარჩევნო კანონმდებლობით განუსაზღვრელი პუნქტები; დროულად შემუშავდეს საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების სრულყოფილი კონცეფცია; პრიორიტეტად იქცეს საარჩევნო ადმინისტრაციების პროფესიული ნიშნით დაკომპლექტება. მოწესრიგდეს საარჩევნო ადმინისტრაციის სერტიფიცირების საკითხი."**

*24 საათი*

## საქართველოს ხელისუფლება ცხინვალის კონფლიქტის დაკონსერვებას არ აპირებს

"საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიმშვიდე შეინარჩუნოს, მიუხედავად იმისა, რომ ოსური მხარე თითქმის ყოველდღე აწყობს პროვოკაციებს," - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ.

როგორც ბარამიძემ აღნიშნა, ამის პარალელურად ხელისუფლებას აქვს გეგმა, რომლის მიხედვითაც, კონფლიქტი აუცილებლად უნდა მოგვარდეს და **"არა - დაკონსერვდეს ან დავიწყებას მიეცეს."**

**"ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ოსებმა ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში ჩაგვითრიონ,"** - დასძინა ბარამიძემ.

*24 საათი*

## ნავთობის ფასი აღარ მოიმატებს?

თამარ ხორბალაძე
*ლონდონიდან*

ნავთობზე ფასების ზრდამ უკვე საფუძვლიანად შეაშფოთა მთელი მსოფლიო. ამ პროცესის მთავარ მიზეზებს შორის, ცხადია, ექსპერტები ასახელებენ როგორც ობიექტურ მიზეზებს, ისე ხელოვნურს. საინტერესო გახლავთ ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპაში ნომერ პირველი, მსოფლიოში კი რიგით მეორე კომპანიის BP -ის ხელმძღვანელის ლორდ ჯონ ბრაუნის კომენტარი, რომელიც ამჯერად დამამშვიდებელია: **"2004 წელს ნავთობზე მოთხოვნილება იყო ძალიან დიდი. როგორც წესი, სხვადასხვა პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდა ყოველწლიურად 2-ჯერ აღემატება ხოლმე ნავთობზე მოთხოვნილებას, წელს კი ეს ზრდა თანაბარი იყო. ამას თან დაერთო პრობლემები ერაყში, ნიგერიასა და ვენესუელაში. წელს არ ყოფილა ნავთობდეფიციტი, ფასების ზრდა უფრო ამ გაურკვევლობიდან გამომდინარეობს, თუმცა არა მგონია, ასე გაგრძელდეს,"** - ამბობს ლორდი ბრაუნი.

მისი თქმით, დღეს ძნელია პროგნოზირება, თუ სად წავა ნავთობის ფასი. **"არა მგონია, ის 20 დოლარზე ქვემოთ დაეცეს. სავარაუდოდ, ფასი 30 დოლარის ფარგლებში დაბალანსდება. არ არის გამორიცხული მცირე რყევები, თუმცა არა - განსაკუთრებით სერიოზული,"** - განმარტავს იგი.

## ბერძენიშვილი უკრაინაში გასამგზავრებელთა სიიდან ამოიღეს

რესპუბლიკური პარტიის ლიდერი, პარლამენტარი დავით ბერძენიშვილი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ იგი უკრაინაში გასამგზავრებელთა სიიდან ამოიღეს. საქართველოს პარლამენტის 60-კაციანი დელეგაცია უკრაინაში 31 ოქტომბრისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებს დამკვირვებლის სტატუსით დაესწრება. როგორც დავით ბერძენიშვილმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, უკრაინაში წასვლის სურვილი მასთან ერთად თემურ ნერგაძესაც ჰქონდა, თუმცა გაირკვა, რომ ორივე მათგანი სიიდან იყვნენ ამოღებულები. ბერძენიშვილის თქმით, ისინი უკრაინაში გამგზავრებას სეირნობისთვის არ აპირებდნენ. "ვფიქრობ, ჩვენი კვალიფიკაცია საქართველოს 60-კაციან დელეგაციას წაადგებოდა. უკრაინაში ზოგიერთი მათგანი სასეირნოდ მიდის. ეს საკითხი არ უნდა განსაზღვრულიყო ოპოზიციონერობის ნიშნით," - აღნიშნა პარლამენტარმა.

*მედია-ნიუსი*

## ორი სიტყვით

### პასუხს ქალაქის პრემიერს სთხოვენ

თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ლეიბორისტები" საკრებულოსგან შპს "შუქნიშანის" ახლად დანიშნული ხელმძღვანელის ლევან მგალობლიშვილის ქმედების შეფასებას მოითხოვენ, რომელიც თავისი ხელქვეითების დაცხრილვაშია ეჭვმიტანილი. მგალობლიშვილთან ერთად "ლეიბორისტები" ქალაქის პრემიერის ბიძინა ბრეგაძის პასუხისმგებლობის საკითხსაც აყენებენ და აცხადებენ, რომ მგალობლიშვილის საქციელზე პასუხი თბილისის მთავრობის ხელმძღვანელმაც უნდა აგოს.

"ლეიბორისტებმა" ეს საკითხი განსახილველად საკრებულოს იურიდულ საკითხთა კომისიის გუშინდელ სხდომაზე წამოჭრეს და მისი დღის წესრიგში შეტანა მოითხოვეს, თუმცა საკრებულოს დანარჩენმა წევრებმა "ლეიბორისტი" კოლეგების ამ ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს. საკრებულოს საპრეზიდენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა შპს "შუქნიშანის" ხელმძღვანელთან დაკავშირებული ინცინდენტი უარყოფითად შეაფასეს, თუმცა აღნიშნეს, რომ სანამ გამოძიება მგალობლიშვილის ბრალეულობის შესახებ კონკრეტულ მტკიცებულებებს არ წარმოადგენს, ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით მასზე რაიმე უარყოფითი დასკვნის გაკეთება დაუშვებელია. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი**. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ თვითაღიარებული დნესტრისპირეთის ლიდერი იგორ სმირნოვი "ღირსებისა და დიდების" მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. საერთაშორისო სამშვიდობო აქციის - "კავკასია ცხელი წერტილების გარეშე" - ორგანიზატორებმა გუშინ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს, გამარჯვების პარკში კი უცნობი ჯარისკაცის საფლავს მიაგეს პატივი. მე-2 მსოფლიო ომის დასრულების 60 წლისთავისადმი მიძღვნილმა საერთაშორისო სამშვიდობო აქციამ "კავკასია ცხელი წერტილების გარეშე" სტარტი 19 ოქტომბერს მოსკოვში, გამარჯვების პარკიდან აიღო. ისინი საქართველოში რამდენიმე დღის წინ შემოვიდნენ. ღონისძიების მონაწილეებმა, რომლებიც მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში მცხოვრები კავკასიელი ხალხების დიასპორებს წარმოადგენენ, ავტობუსით ჩრდილოეთ კავკასიის ყველა რესპუბლიკა მოინახულეს და საქართველოში ჩამოსვლამდე 6000 კილომეტრი გამოიარეს. მშვიდობიან მარშში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები გმობენ კავკასიაში არსებულ კონფლიქტებში რუსეთის როლს და რუსული მხარის მიერ წარმოებულ პოლიტიკას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცხინვალის რეგიონში შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი, გენერალ-მაიორი მარატ კულახმეტოვი, 24 ოქტომბერს ცხინვალის თავზე დაუდგენელი თვითმფრინავის გამოჩენას აპროტესტებს და შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეებს დღეს ოფიციალური წერილით მიმართავს. შერეული სამშვიდობო ძალების შტაბის ინფორმაციით, საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეებისათვის გაგზავნილ წერილში გენერალ-მაიორი კულახმეტოვი აღნიშნავს, რომ ამოსაცნობი ნიშნების არმქონე თვითმფრინავი ქართულ-ოსური კონფლიქტის უსაფრთხოების ზონაში, სავარაუდოდ, გორი-მუგუთის მხრიდან შეფრინდა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით გაფრინდა. სამშვიდობო ძალების სარდლობა კონფლიქტის ზონის საჰაერო სივრცის დარღვევას პროვოკაციად აფასებს და აღნიშნავს, რომ ქართული მხარის ამგვარი მოქმედებები ძაბავს ვითარებას კონფლიქტის ზონაში და ეწინააღმდეგება შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დავით გამყრელიძე პარლამენტის თავმჯდომარისაგან სპეციალურ ნებართვას მოითხოვს ყოფილი კონტროლის პალატის თავმჯდომარის სულხან მოლაშვილისა და ყოფილი ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას მოსანახულებლად. ამგვარი მოთხოვნა გუშინ დავით გამყრელიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გააკეთა. გამყრელიძის განცხადებით, მას აღნიშნული უფლება კანონის მიხედვით აქვს მინიჭებული, თუმცა დამატებითი ნებართვა პარლამენტის თავმჯდომარისაგანაც სჭირდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 70 პარლამენტარი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს 1992 წელს დადებული "დაგომისის ხელშეკრულების" გაუქმებისაკენ მოუწოდებს. შესაბამის მიმართვაზე ხელმოწერები დეპუტატმა ზვიად ძიძიგურმა შეაგროვა. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მან აღნიშნა, დღეს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გამწვავებული ვითარება საქართველოს ხელისუფლებას იმის საფუძველს აძლევს, რომ "დაგომისის ხელშეკრულების" გაუქმება მოითხოვოს. ძიძიგურის განცხადებით, აღნიშნული დოკუმენტის დენონსაციის პროცედურის თანახმად, თუ ხელშეკრულების ხელმომწერი ერთ-ერთი მხარე მის გაუქმებას მოითხოვს, ინიციატივა აუცილებლად უნდა შესრულდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სარწმუნო წყაროს ცნობით, გუშინ თანამდებობა დატოვა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ნოდარ ხაშბამ. იგი გუშინვე გუდაუთის სამხედრო ბაზიდან მოსკოვში გაფრინდა. ხაშბას თანამდებობისა და აფხაზეთის დატოვება "პრეზიდენტობის" ერთ-ერთი კანდიდატის სერგეი ბაღაფშის მხარდამჭერებმა, კერძოდ ყოფილი შს მინისტრის ალიკ ანქვაბის დაჯგუფების წევრებმა აიძულეს. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# WELCOME TO GEORGIA

*რვა ათასი ორგანიზებული და ოთხი ათასი არაორგანიზებული ტურისტი - ასეთია ციფრები, რომლითაც დღეს შეუძლია "თავის მოწონება" საქართველოს. სწორედ ამდენი ტურისტი მიიღო და გაისტუმრა მან შარშან. ქვეყნისთვის, რომელიც წელიწადში ოთხ-ხუთ მილიონ ტურისტს იღებდა და ისტუმრებდა, ეს წვეთია ზღვაში. ტურიზმი კი ის სფერო გახლავთ, რომელმაც საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, უპრობლემო და დაუმადლებელი წილი უნდა შეიტანოს.*

მაკა ჯაიანი

ზოგ ქვეყანაში ტურიზმს დომინანტის როლი აქვს (მაგალითად, ბუტანში, სადაც ეკონომიკის ასივე პროცენტი ტურიზმზე მოდის), ზოგან - დანამატის (ასეა რუსეთში, რომელიც აქცენტს წიაღის მოპოვებაზე აკეთებს და ტურიზმის განვითარება დიდად არაფერში ჭირდება). ისეთ ქვეყანაში, როგორიც ჩეხეთია, ტურიზმი ფარავს ქვეყნის ეკონომიკის 12 პროცენტს. ექსპერტული გათვლებით, საქართველოს, მდიდარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ამაზე მეტის მიღწევაც შეუძლია. კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმი, ეკო-ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, აგრო-ტურიზმი - ეს მოკლე ჩამონათვალია ტურიზმის იმ სფეროებისა, რომლის განვითარების საშუალებას ჩვენს ქვეყანას მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, ისტორიული, არქიტექტურული, არქეოლოგიური ძეგლები, ბუნება აძლევს.

ჩვენ ერთობ მოკრძალებული, მაგრამ უდავოდ საინტერესო გეოგრაფიული მდებარეობა გვაქვს, ორი კონტინენტის კულტურის ელემენტებს ვატარებთ და ეს მომენტი, რომელიც, ხშირად, პრობლემად გვექცევა ხოლმე, ამ შემთხვევაში უნიკალურ ელფერს გვაძლევს. ქართულ სუფრას, რომელსაც ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებში არცთუ იშვიათად გაუგებრობა სარკაზმის სურვილი, დღეს უცხოელები სპეციალურად უსხდებიან, რომ თავად ნახონ და მოისინჯონ, რას ნიშნავს მოლხენა ქართულად. ქვეყანაში შემოსული ერთი ტურისტი 50 ადამიანის ჯიბეში მაინც დებს ფულს. ჩვენ მხოლოდ ის მოგვეთხოვება, რომ მოგზაურობა კომფორტისა და წეს-რიგის ელემენტარულ ჩარჩოებში მოვაქციოთ. დანარჩენს ტურიზმის ინდუსტრია ინერციით გააკეთებს.

# სპორტიდან ტურისტულ ბიზნესამდე

თამარ დვალი

*საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, "კავკაზუს თრეველი" პირველი ქართული ტურისტული სააგენტო იყო, რომელმაც საქართველოში ტურისტების შემოყვანა დაიწყო.*

**"ჩვენი საყვარელი საქმე სპორტი და მთაში სიარულია. სპორტული დასვენება, რომელიც გუდაურშია შესაძლებელი, ძალიან ცოტა ქვეყანაში თუ ხერხდება. კანადისა და ახალი ზელანდიის შემდეგ, გუდაური მესამე ადგილზეა. ალპებშიც არის რაღაც გარკვეული ხეობები, მაგრამ იქ წასვლა ძალიან ძვირი სიამოვნებაა. რადგანაც უცხოელების დაინტერესებას ვგრძნობდით, ვიფიქრეთ, ამ გზით ბიზნესის წამოწყებაც შეგვეძლო. ასე სპონტანურად ჩამოვაყალიბეთ პირველი შპს - "კავკაზუს თრეველი - ჯორჯიან გაით სერვისი", რომლის პირველი სტუმრებიც შვეიცარიელი ალპინისტები იყვნენ. ეს იყო 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ქვეყანაში არასტაბილური სიტუაცია და ეკონომიური გაჭირვება სუფევდა. ბევრი გვირჩევდა, ამ საქმის ნაცვლად, ბენზინის გაყიდვა ან სხვა სარფიანი საქმიანობობა წამოგვეწყო... ცოტა ხანში აღმოვაჩინეთ, რომ ბიზნესის ასაწყობად მხოლოდ მთაში სიარული არ არის საკმარისი და დავიწყეთ ბაზრის შესწავლა. ყველაზე მთავარი პრობლემა მაშინ ქვეყნის მარკეტინგი იყო, რომელიც, ფაქტობრივად, არ არსებობდა,"** - იხსენებს კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ნიკა ერქომაიშვილი.

კომპანიას 1992 წელს ყველაზე წარმატებული სეზონი ჰქონდა, მაშინ ტურისტთა რაოდენობამ 30 ადამიანს მიაღწია. 1993 წელს ქართველები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართული "ტურისტული ბაზრობების" შესახებ პირველად იგებენ. ისინი ჯერ ვიზიტორად მიემგზავრებიან ერთ-ერთ გამოფენაზე, 1995 წლიდან კი იქ საკუთარი სტენდი გააქვთ. თითქმის ყველა ქვეყანაში ტურიზმის განვითარებაზე სახელმწიფო ზრუნავს, ამიტომაც მსოფლიოს დიდ გამოფენებზე საკუთარ სტენდებს სახელმწიფო აფინანსებდა, კომპანიებს კი თავისი წვლილი შეჰქონდათ. საქართველო ამ მხრივაც გამონაკლისს წარმოადგენდა და დამწყებ ბიზნესმენებს საკუთარი ძალებით უწევდათ საქართველოს შესახებ ინფორმაციის გატანა.

"კავკაზუს თრეველი" თავიდან სათავგადასავლო ტურიზმზე იყო ორიენტირებული, თუმცა შემდეგ ბაზრის მოთხოვნამ კულტურული ტურიზმი წამოწია წინ. ამავე პერიოდში გაჩნდნენ სხვა კომპანიებიც. 1998 წლიდან ტურისტების რაოდენობამ 1000 კაცს გაადააჭარბა, რაც ქვეყანაში სტაბილური ვითარებით იყო განპირობებული. 2000 წლიდან გახშირდა თავდასხმები და ტურისტთა ნაკადმაც იკლო. ფუნიკულიორის გზაზე ტრამვაის ჩამოვარდნის შემდეგ, იაპონელებმა არარეკომენდებული ქვეყნების სიაში ჩაგვწერეს და სამი წლის განმავლობაში არც ერთი ტურისტი აღარ ჩამოსულა იაპონიიდან.



იური ლობოდინის ფოტო

*ლაგოდეხის ნაკრძალი საქართველოს სტუმრებს უნიკალური ლანდშაფტით აოცებს.*

**"ახალმა ვითარებამ ქვეყნის მარკეტინგზეც კარგად იმოქმედა. რევოლუციის შემდეგ ჩვენი ქვეყანა მსოფლიომ გაიცნო. დღეს ტურისტების 70, 80 პროცენტი ქვეყნის გასაცნობად და კულტურული ძეგლების სანახავად ჩამოდის. სტატისტიკური მონაცემების თანადხმად, 1986-87 წლებში საქართველოში მილიონ 800 ათასი ტურისტი ჩამოდიოდა, მათი უმეტესობა კი საბჭოთა კავშირის მაცხოვრებლები იყვნენ. დასასვენებლად საქართველოში ჩამოსვლა ძალიან ძვირი ჯდება. ტურისტს ურჩევნია თურქეთში დაისვენოს, სადაც გაცილებით იაფი ფასები და კომფორტული პირობებია. სიძვირე განაპირობებს იმასაც, რომ დღეს რუსეთის ბაზარი აუთვისებელი გვაქვს. მართალია, ჩვენთან კარგი ბალნეოლოგიური კურორტებია, მაგრამ იქ სათანადო პირობები არ არის.**

**ტურიზმი არის პირდაპირი შემოსავალი სახელმწიფოსათვის. ამ დროს არაფერი გვეხარჯება და ქვეყნიდანაც არაფერი გადის. საქმდება ადგილობრივი მოსახლეობა და საკუთარი შემოსავლის წყარო უჩნდება. ადრე დიდ პრობლემას გვიქმნიდა საგადასახადო სისტემა, რომელიც ლეგალურად მუშაობის საშუალებას არ გაძლევდა. გიდისთვის, მძღოლისთვის ხელფასი უნდა გადაგეხადა, ამას დამატებული საშემოსავლო, დღგ, სოცდაზღვევა და სხვ. ფაქტობრივად, ვერც მოგებას ნახავდი და ვერც სხვა ქვეყნებს გაუწევდი კონკურენციას. ახლა გვპირდებიან, რომ "შემოყვანით" ტურიზმს დღგ-საგან გაათავისუფლებენ, რაც მისასალმებელია. წელს პირველად ხდება, როდესაც ტურიზმის დეპარტამენტი ნაწილობრივ აფინანსებს ჩვენს სტენდს ლონდონის გამოფენაზე. საქართველოდან ამ გამოფენაში ექვსი კომპანია იღებს მონაწილეობას. რაღაც იმედები ნამდვილად გაჩნდა,"** - ამბობს ნიკა ერქომაიშვილი, რომელმაც ივნისის თვეში საკუთარი ტურისტული სააგენტო "ექსპლორ ჯორჯია" ჩამოაყალიბა.

### რა იზიდავთ ტურისტებს საქართველოში

საქართველოში, ძირითადად, მოტივირებული ტურისტი ჩამოდის, რომელსაც ქვეყნის გაცნობა სურს. ვისაც მოვლილი აქვს მთელი მსოფლიო, საქართველო მისთვის გამორჩეული, ეგზოტიკური ქვეყანაა. ვინც ერთხელ მოხვედრილა საქართველოში, მას მეორედ დაბრუნების სურვილი აუცილებლად უჩნდება, ამას ბუნება და ქართველთა სტუმართმოყვარეობა განაპირობებს. ქვეყანაში არსებული სტაბილურობა არის ერთ-ერთი მთავარი გარანტი იმისა, რომ ტურიზმი განვითარდება. საქართველოს მთიანი ნაწილი ყველაზე მიმზიდველია დამთვალიერებლისთვის. სვანეთის გზა წელს პირველად გაიხსნა ტურისტებისთვის. როგორც ნიკა ერქომაიშვილმა აღნიშნა, ჩვენი ქვეყანა უცხოელებს სწორედ "უკომფორტო" პირობებით იზიდავს.

**"ალპები იმდენად არის გაჯერებული კომფორტით, რომ ბევრისთვის ეს მოსაბეზრებელია. უცხოელებს ძალიან უყვართ თავგადასავლები, ამისთვის საქართველოს ველური ბუნება მათთვის ძალიან მიმზიდველია. ქართველების ფენომენიც დიდ როლს თამაშობს. აქაური სტუმართმოყვარეობა და ქართული სამზარეულო აოცებთ. გუდაური კი სპორტის მოყვარულთათვის საუკეთესო დასასვენებელი ადგილია. თუკი დავხვეწავთ მომსახურების წესებს, გაცილებით მეტი სტუმარი გვეყოლება. ბევრი იბრალებს, რომ სამთო გამყოლია, მაგრამ სინამდვილეში არ არის. ეს ძალიან რთული პროფესიაა. შეიძლება იყო კარგი მთამსვლელი, მაგრამ ვერ გახდე სამთო გამყოლი. შვეიცარიაში ძალიან რთული კურსებია. ამ დროს საჭიროა არა მარტო თხილამურების ცოდნა, არამედ საზვავე და მეტეოროლოგიური პირობების ცოდნაც. უნდა შეგეძლოს პირველადი დახმარების აღმოჩენა და ა.შ. 1000 მსურველიდან გამოცდას 100 კაცი თუ აბარებს."**

# "საქართველოს ტურიზმს, როგორც ავადმყოფს, პირში სული უნდა ჩავბეროთ"

*რამდენიმე დღეა, ქალთა ინიციატივის მხარდამჭერი ჯგუფის მოწვევით, თბილისში სტუმრად იმყოფება ფრანგების დელეგაცია, რომელიც ჩვენს ორ ქვეყანას შორის აგრო-ტურიზმის განვითარების საკითხებზე მუშაობს. საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის საბა კიკნაძის განცხადებით, ასეთი ურთიერთობები ქართული ტურიზმის განვითარებას მხოლოდ წაადგება.*

- საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, საქართველოში რთული ვითარება შეიქმნა. უამრავი პოლიტიკური, ეკონომიკური პრობლემა აღმოგვაჩნდა, შეიქმნა არასტაბილური გარემო, რამაც ბუნებრივად იმოქმედა ტურიზმის განვითარებაზე. ცალკე თემაა, ვარგოდა თუ არა ის სისტემა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კავშირის დროს იყო, მაგრამ სჯობდა, მას ნგრევით არ დავმშვიდობებოდით.

**- ეს იმას ნიშნავს, რომ ტურიზმის განვითარების შეფერხებას ხელი ობიექტურმა მიზეზებმა შეუშალა?**

- არა მხოლოდ. საქართველოს იმიჯი ამ წლების განმავლობაში ძალიან შეირყა, ქვეყანამ კი არ გამოიყენა შანსები, რომელიც მაშინაც არსებობდა. არავინ ფიქრობდა იმაზე, რომ საქართველოს ღვინისთვის გაეთქვა სახელი, არავის უთქვამს მსოფლიოსთვის, თუნდაც საინფორმაციო საშუალებებით, რომ მართლია, რთული მდგომარეობა გვაქვს ქვეყანაში, მაგრამ სამაგიეროდ, ბუნება გვაქვს არაჩვეულებრივი და ხვალ, როცა ყველაფერი კარგად იქნება, ჩვენთან გეპატიჟებითო. მეტიც, ტურიზმის არც ერთ საერთაშორისო გამოფენაში საქართველოს სახელმწიფოებრივ დონეზე მონაწილეობა არ მიუღია. ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში მხოლოდ კერძო კომპანიები ცდილობდნენ ამ გზის საკუთარი სახსრებით გამოყენებას, მაგრამ სულ სხვა დონეა, როცა თავად სახელმწიფო აკეთებს განაცხადს. დარწმუნებული ვარ, დაჟინებით, ჯიუტად რომ გვემონაწილევა საერთაშორიოს ბაზრობებზე, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მაინც, მიუხედავად ცუდი კრიმინალური და სხვა მდგომარეობისა, ტურისტი გაცილებით მეტი გვეყოლებოდა. ფაქტია, დეპარტამენტს არ ჰქონია საკმარისი ბიუჯეტი, მაგრამ სტრატეგიულად არც ამ თანხებს იყენებდა. იმ დროს ყველაფერს უფრო შოუს ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, საქართველოში შეიქმნა ტურიზმის ბირჟა, რომელსაც მნიშვნელოვანი საქმე უნდა ეკეთებინა და, იმედი მაქვს, გააკეთებს კიდეც, მაგრამ მაშინ საჩვენებელ ღონისძიებებს მართავდა ქვეყნის იმდროინდელი პრეზიდენტისთვის, იწვევდა ნომენკლატურულ სტუმრებს უცხოეთის საელჩოებიდან და, ნაცვლად იმისა, რომ ტურიზმისთვის ფული მოეზიდა და დაეხარჯა, მხოლოდ ტურისტების გაყვანაზე აკეთებდა აქცენტს.

**- დეპარტამენტს არც ახლა აქვს დიდი ბიუჯეტი, გარდა ამისა, შეიცვალა მისი სტატუსი, თანამშრომელთა რაოდენობა კი ათამდე შემცირდა. ასეთ პირობებში თავად რამდენად მოახერხებთ შესაძლებლობების გამოყენებას?**

- პირველი რიგის ამოცანა ის არის, რომ სახელმწიფომ, როგორც ავადმყოფს, ისე უნდა ჩაბეროს პირში სული საქართველოს ტურიზმს. ვგულისმობ საქართველოს საგარეო პრომოუშენს. ტურიზმი არის პროფესიონალური ბაზარი, რომელსაც ფაქიზად უნდა მიდგომა. ჩვენ უნდა დავიწყოთ საერთაშორისო ბაზრებზე მონაწილეობით და მიზანმიმართული საინფორმაციო კამპანიით. ამ ეტაპზე ჩვენ არა გვაქვს იმის ფუფუნება, რომ უშუალოდ მომხმარებლის დონეზე გავაკეთოთ ჩვენი რეკლამირება - ძალიან დიდი ფული უნდა გქონდეს, რომ ასეთი რეკლამა გააკეთო - მაგრამ ნაბიჯები სხვა მიმართულებით უნდა გადაიდგას - ტუროპერატორებისკენ, რომლებიც თავად მიიტანენ ჩვენზე ინფორმაციას მომხმარებლამდე. ამასთან, ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა მაღალი პირის ვიზიტი ამისთვის, რაც შეიძლება ბევრ ქვეყანას უნდა შევახსენოთ თავი, თანაც არარერთხელ. და პროფესიონალურად უნდა მივუდგეთ საქმეს - ვიცოდეთ, ვის რა უნდა შევთავაზოთ. ეს არის ჩვენი დეპარტამენტის უმთავრესი დანიშნულება - დავარწმუნოთ მსოფლიო, რომ საქართველოში ხალხის ჩამოყვანა შეიძლება. მეორე - ჩვენ უშუალოდ ოპერირებას არ ვაპირებთ, დღეს ამას 100 პროცენტით კერძო სექტორი აკეთებს, მაგრამ ძალიან კარგად უნდა ვიცოდეთ მისი პრობლემები.

**- სახელმწიფო სამსახურში თქვენ სწორედ კერძო, თანაც წარმატებული ბიზნესიდან მოხვედით. ყველაზე კარგად, ალბათ, თავად უნდა იცოდეთ, რა პრობლემებია ეს?**

- პირველ ყოვლისა, ისინი დაკავშირებულია კანონმდებლობასთან. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებებია გასატარებელი. იმედი მაქვს, ეს მოხერხდება, რადგან გარკვეული ცვლილებები უკვე განხორციელდა. სერიოზული პრობლემა იყო ქვეყანაში შემოღწევა, ახლა კი ვიზა 10 დოლარი გახდა, რაც ლიბერალური თანხაა. ახალი საგადასახადო კოდექსი უკვე გამორიცხავს იმას, რაც აქამდე იყო - ყოველ შემოსულ ავტობუსზე 180 დოლარი გადასახადის სახით - ამდენი ღირს, მაგალითად, მთელი დღით ავტობუსის დაქირავება თურქეთში. ბევრია გასაკეთებელი იმისთვის, რომ ტურიზმის სწორ რეგულირებას შეეწყოს ხელი. მაგალითისთვის, არ არსებობს საქართველოში ბიზნეს-რისკის დაზღვევა. ამის გამო ხშირად ლაპარაკობენ ტურიზმის სფეროში ლიცენზირებასა და სერთიფიცირებაზე. ეს აბსოლუტურად გაუმართლებელი მოთხოვნაა და ამის გაკეთებას ჩვენ არ ვაპირებთ.

**- რატომ ასე კატეგორიულად?**

- უახლოეს ეტაპზე საქართველოს ტურისტულ ბაზარს სტიმულები სჭირდება და არა მარწუხები. 15 წლის წინათ ჩვენს ბაზარზე იყო ერთი ტურ-ოპერატორი, 10 წლის წინათ გახდა ორი, ხუთი წლის წინათ კი წარმოიშვა კიდევ ხუთი კომპანია. რა რეგულირება ჭირდებათმათ? ჩვენი კონცეფცია უახლოესი წლებისთვის დაეყრდნობა მოხმარების მოთხოვნის ზრდას. იგულისხმება 100 პროცენტით კერძო სექტორი და მას მაქსიმალური ბიზნეს-პირობების შექმნა ჭირდება. ჩვენ შემოვიღებთ ცივილურფორმებში მისი მოქცევის მეთოდოლოგიას, რაც იგივე ბიზნეს-რისკების დაზღვევის შემოღებას გულისხმობს, თუმცა აქვე ვიტყვი, რომ სავალდებულო არც ეს იქნება. სამაგიეროდ, კანონმდებლობაში იქნება ჩანაწერი, რომელიც სასამართლოს მისცემს საშუალებას, სააგენტოსა და ტურისტს შორის დავის შემთხვევაში დამნაშავე იპოვოს. პასუხისმგებლობას საკუთარ ქვეყანაში მოპატიჟებული ადამიანის წინაშე სახელმწიფო კარგად უნდა გრძნობდეს. წარმოდგენას ქვეყანაზე იქ გატარებული პირველი 10 წუთი ქმნის და, თუ ქვეყანა ყოფითი პრობლემების მოგვარებას აეროპორტის გასასვლელებთანვე მოხსნის, ვიზიტორების ნაკლებობაზე საწუწუნო ნამდვილად არაფერი გვექნება.

**- ე.ი. სახელმწიფო ტურიზმს მხარდაჭერას ჰპირდება?**

- რა თქმა უნდა. საქართველოს ამ თვალსაზრისით, დიდი შესაძლებლობები აქვს. ის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ქვეყანაა მსოფლიოში მრავალი ასპექტით: კულტურით, ისტორიით, არქიტექტურით, მატერიალური და სულიერი ფასეულობებით, კულტურული ძეგლებით, ტრადიციებით, ცხოვრების წესით, ბუნებით, არის კეთილგანწყობილი... ვერ გეტყვით, რომ არ არსებობს უფრო ლამაზი ადგილები, მაგრამ ტურიზმის განვითარებას აქ უზარმაზარი პერსპექტივა აქვს. საქართველო განთქმულია სტუმართმოყვარეობით. ჩვენ, უბრალოდ, ქართული ტრადიციული სტუმართმოყვარეობა სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიაში უნდა გადავიყვანოთ, თანაც ისე, რომ ეს ეროვნული ფასეულობების რღვევის ხარჯზე არ მოხდეს. საქართველო ამას აუცილებლად მოახერხებს.

# უშბა - საქართველოში და ნინდადევი - ინდოეთში

*საქართველოს, რომლის ტერიტორიის სამ მეოთხედს მთები წარმოადგენს, სამთო ტურიზმის განვითარების კარგი შანსი ეძლევა. თბილისში მთამსვლელთა საერთაშორისო ასოციაციების კავშირის (UIAA) რვაკაციანი დელეგაციის ვიზიტისას ამაზე საუბარი ღიად მიმდინარეობდა. ბელგიის, გერმანიის, ინგლისის, იტალიისა და ესპანეთის მთამსვლელთა ასოციაციების ხელმძღვანელებისგან შემდგარი ეს ჯგუფი ჩვენს ქვეყანას რეკომენდაციას არა მარტო საკუთარ ქვეყნებში, მსოფლიო მასშტაბით გაუწევს.*

**"ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა სახელი "უშბა" გამეგონა,** - განაცხადა ვიზიტის დროს ტურიზმის განვითარების მთავარი კომისიის პრეზიდენტმა რობერტ პეტიგრიუმ, **- საქართველოში წამოსვლამდე, ცნობილ მთამსვლელთა წიგნები გადავიკითხე და ერთ საინტერესო ფრაზას წავწყდი: "ორი ულამაზესი მთა არსებობს მსოფლიოში - უშბა, საქართველოში და ნინდადევი, ინდოეთში." საქართველოს, კავკასიის მთები უდავოდ იმსახურებენ მსოფლიოს ყურადღებას."**

გარდა უნიკალური ლანდშაფტისა, საქართველო იმითაც იქცევს UIAA-ს ყურადღებას, რომ კავკასიონის მწვერვალების დალაშქვრა თუ ეროვნულ ტყე-პარკებში გადაადგილება აქ ყოველგვარი დამატებითი საზღაურის გარეშეა შესაძლებელი. საქართველოსთვის კი UIAA-ს წარმომადგენლების ვიზიტი არა მხოლოდ ტურიზმის განვითარების კუთხით უნდა იყოს მნიშვნელოვანი, არამედ იმითაც, რომ ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, ჯანსაღი ტურიზმის პარალელურად, გარემოს დაცვაა.

**"ვიმედოვნებთ, ჩვენი ვიზიტი არა მარტო სპორტის ყველაზე რომანტიული და დიპლომატიური სახეობის - სამთო ალპინიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს საქართველოში, არამედ გარკვეულ წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში,"** - აცხადებდნენ კეთილგანწყობილი სტუმრები, რომელთა ინტერესის არეალში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკი და სვანეთი მოექცა. მათგან პირველი მსოფლიოსთვის უნიკალური ეკოსისტემითაა საინტერესო, მეორე - მაღალი მთებითა და ეთნოგრაფიით.

# ფრინველთმჭვრეტელები

*ფრინველთა ჭვრეტა, ანუ "ბერდვოჩინგი" (Birdwatching) - ბუნებასთან ურთიერთობის მეტად უწყინარი სახეობა, რომელიც ფრინველებზე დაკვირვებას გულისხმობს და გარემოსთვის აბსოლუტურად უვნებელია, თანამედროვე მსოფლიოში ტურიზმის დამოუკიდებელ სახედ ჩამოყალიბდა. "ბერდვოჩინგი" დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მზარდი ინდუსტრიაა. სხვადასხვა პროფესიის, ასაკისა და სოციალური ფენის "ბერდვოჩერთა" რიცხვი ევროპაში 10 მილიონს აჭარბებს. ისინი მოგზაურობენ საინტერესო ფაუნის ქვეყნებში, ქმნიან ასოციაციებს, ტირისტულ სააგენტოებს, გამოსცემენ და ავრცელებენ ჟურნალებსა და წიგნებს - პოპულარიზაციას უწევენ აქტიური დასვენების ამ სახეობას და იმ სახელმწიფოებსაც, სადაც მისი განვითარება შეიძლება. ეს არის საქმიანობის ის იშვიათი სფერო, სადაც ეკონომიკური მხარე და ბუნებრივი რესურსის დაცვა თანაბრად იგებს. როგორც სპეციალისტები ამბობენ, საქართველოს მისი ათვისება თამამად შეუძლია.*

**"ჩვეულებრივ, "ბედვოჩერს" ის ქვეყანა იზიდავს, სადაც ფრინველთა სახეობების მრავალფეროვნება და ენდემური, იშვიათი ფრინველების სიმრავლეა, საქართველო კი ასეთი ქვეყნების რიცხვშია,** - ამბობს საქართველოს ბუნების შენარჩუნების ცენტრის დირექტორი რამაზ გოხელაშვილი, **- აქ 360 სახეობაზე მეტი ფრინველია და, ორი კვირის განმავლობაში, 200-მდე სახეობის ნახვაა შესაძლებელი, რითაც ბევრად აღვემატებით ევროპის და ვუტოლდებით ტროპიკული ქვეყნების მაჩვენებელს. ჩვენს ქვეყანაში გვხვდება ოთხი ენდემური ჯიშის ფრინველი: კავკასიური როჭო, კავკასიური შურთხი, კასპიური შურთხი და კავკასიური ჩიფჩაფი, რომელთა ნახვა, მსოფლიოს მასშტაბით, მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი. გარდა ამისა, აქ შეიძლება 20-მდე სახეობის იმ იშვიათ ფრინველთა ნახვა, რომელთა რაოდენობა მნიშვნელოვლად შემცირდა ევროპაში. ყველაფერი ეს ჩვენს ქვეყანას ძალზე მიმზიდველს ხდის "ბერდვოჩერებისთვის."**

მთელი წლის განმავლობაში, საქართველოში არსებულ ჭარბტენიან ადგილებში, წყლის ფრინველთა სხვადასხვა სახის დაახლოებით ნახევარი მილიონ ინდივიდზე დაკვირვებაა შესაძლებელი. საქართველოს შავი ზღვის სანაპირო მთელს მსოფლიოშია ცნობილი, როგორც "აღმოსავლეთ შავი ზღვის სამიგრაციო დერეფანი", რომლის საშუალებითაც ფრინველები, ერთი მხრივ, ფინეთ-სკანდიავიას, რუსეთსა და, მეორე მხრივ, ახლო აღმოსავლეთს, აფრიკას შორის მოძრაობენ (მარტო სექტემბერ-ოქტომბერში, ბათუმის მიდამოებში 70 000-მდე არწივი, ქორი, მიმინო და სხვა მტაცებელი ფრინველი გადაიფრენს). ამასთან, საქართველოში 31 ადგილია მსოფლიოს მიერ აღიარებული, როგორც ფრინველთათვის მნიშვნელოვანი.

უკვე დღეს საქართველოში ყოველწლიურად 100-მდე "ბერდვოჩერი" ჩამოდის, თუმცა, იმ პოტენციალის გათვალისწინებით, რაც ჩვენს ქვეყანას აქვს, ეს ზღვაში წვეთია. **"ორი კვირის განმავლობაში, საქართველოში ჩამოსული "ბერდვოჩერი", დაახლოებით, 3 500 ლარს ხარჯავს ტრანსპორტირების, გიდის, სასტუმროს, კვებისა და სხვა მსგავსი ხარჯებისთვის,** - განმარტავს რამაზ გოხელაშვილი, **- რეალური გათვლებით, ჩვენთან წელიწადში შეიძლება 30 000-მდე "ბერდვოჩერი" ჩამოვიდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნული შემოსავალი ამ ინდუსტრიიდან 100 მილიონ ლარს გადააჭარბებს. უნდა აღინიშნოს, რომ "ბერდვოჩერი" არ არის ფეშენებელური სასტუმროებისა და სერვისის მოყვარული ტურისტი. შესაბამისად, ძირითადი ინვესტიციები მარტივ და მოხერხებულ ინფრასტრუქტურაში, სპეციალური გიდების მომზადებასა და საერთაშორისო მარკეტინგის წარმოებაში უნდა ჩაიდოს. დღეს, ამგვარი ტურის გაძღოლა საქართველოში სულ ორ-სამ ადამიანს შეუძლია."**

შესაბამისად, მომზადებული გიდების სიმცირის გამო "ბერდვოჩერები" ჩვენს ქვეყანაში ვიზიტზე ხშირად უარს ამბობენ. იმის გამო, რომ "ბერდვოჩინგით" დაკავებული კომპანიები ტურისტულ ბაზრობებს, ჩვეულებრივ, არ ესწრებიან, ქართველ ტურ-ოპერატორებს მათთან დაკავშირება უჭირთ. მათზე ინფორმაციის მიღება შესაძლებელია, ძირითადად, ე.წ. "ბუნების სახლებში", რისი ქსელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია შექმნილი. ამ ქსელის მიზანი არა მხოლოდ "ბერდვოჩინგის", არამედ, ზოგადად, ეკო-ტურიზმის განვითარებაა. ჩვენს ქვეყანაში "ბერდვოჩინგის" განვითარებაზე საქართველოს ბუნების შენარჩუნების ცენტრი 1994 წლიდან მუშაობს. 2001 წელს ცენტრი ფრინველთა კონსერვაციასა და "ბერდვოჩინგის" განვითარებაზე მომუშავე უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაციის - ფრინველთა დაცვის საერთაშორისო ასოციაციის წევრი გახდა. ეს საერთაშორისო დონეზე ჩვენი რესურსების ეფექტური მარკეტინგის დამატებით შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოში "ბერდვოჩინგის" განვითარებისადმი ინტერესი უკვე გამოხატა რამდენიმე ეროვნულმა პარკმა და საერთაშორისო დონორმა. კოლხეთისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკები, საქართველოს ბუნების შენარჩუნების ცენტრის დახმარებით, ამზადებენ და მალე გამოსცემენ შესაბამის ლიტერატურას და მზად არიან, იყოლიონ "ბერდვოჩინგზე" სპეციალიზებული გიდები. ცენტრი ასევე ამზადებს ორ წიგნს ინგლისურ ენაზე - "ბერდვოჩინგი საქართველოში" და "საქართველოს საველე სარკვევი". ასეთი წიგნები, როგორც წესი, საუკეთესო საშუალებაა ტურისტების მისაზიდად. ისინი მაღალი ტირაჟით გამოიცემა და მსოფლიოს ქვეყნებში საქართველოს პოტენციალის პოპულარიზებას შეუწყობს ხელს. ცენტრში იმედოვნებენ, რომ ტურიზმის ამ ახალი, საინტერესო და უსაფრთხო სახის განვითარებით შესაბამისი სამთავრობო უწყებებიც დაინტერესდებიან.

# საგადასახადო შეღავათი რამდენიმე საწარმოსთვის

*გუშინ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან საგადასახადო კოდექსის პროექტის განხილვაზე გაირკვა, რომ საგადასახადო შეღავათების თაობაზე საპარლამენტო კომიტეტების არც ერთი შენიშვნა ახალ კოდექსში გათვალისწინებული არ იქნება. თუმცა კოდექსში ერთი ისეთი შეღავათი იქნება, რომელიც მხოლოდ რამდენიმე საწარმოს შეეხება.*

მარიამ ჭაჭავაძე

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის რომან გოცირიძის ინფორმაციით, ამ შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს შორის ს.ს "თბილავიამშენი" და "ელექტროვაგონშემკეთებელი" იქნება.

რომან გოცირიძემ პრემიერ-მინისტრთან ოთხსაათიანი თათბირის შემდეგ განაცხადა, რომ საგადასახადო შეღავათი, რომელიც უცხოეთიდან შემოტანილი წარმოების ძირითადი საშუალებებით (მასალები, კონსტრუქციები) აწყობილი მზა პროდუქციის ექსპორტის დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლებას ითვალისწინებს, მისთვის სრულებით მისაღებია, **"თუმცა "თბილავიამშენი" რომ არა, აღნიშნული საგადასახადო შეღავათის მუხლი კოდექსის პროექტში არ შევიდოდა",** - დასძინა გოცირიძემ.

სხვათა შორის, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ორი კვირის წინ "თბილავიმშენის" შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმში მოქცევის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მეტიც, მან საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილეს დაავალა კიდეც, რომ ერთ კვირაში, მთავრობაში "თბილავიამშენის" ლობისტის ვინაობა დაესახელებინა. თუმცა სამი კვირის შემდეგ გოცირიძე აცხადებს, რომ ის მთავრობამ ამ შეღავათის აუცილებლობაში დაარწმუნა.

რომან გოცირიძის განმარტებით, კოდექსის პროექტი ითვალისწინებს "თბილავიამშენის" მიერ გარემონტებული თურქმენული თვითმფრინავების ექსპორტის დღგ-სგან გათავისუფლებას.

ხსენებული საწარმო უკვე რამდენიმე წელია, თურქმენეთის მიმართ საქართველოს მთავრობის 393 მილიონი აშშ დოლარის ვალის გასტუმრებას ემსახურება, რომელიც ამ დროისთვის 236 მილიონ დოლარამდეა შემცირებული.

"თბილავიამშენის" გარდა ამ ვალის მომსახურებას კიდევ ორი საწრმო "ქართული შაქარი" და "თი-ჯი-თრეიდი" ემსახურება. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით "თბილავიამშენმა" მიმდინარე წელს თურქმენეთიდან გამოგზავნილ ამორტიზებულ თვითმფრინავებს 10 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების რემონტი ჩაუტარა. სულ საავიაციო ქარხანამ 2000 წლიდან მოყოლებული დღემდე 80 მილიონი აშშ დოლარის ტექნიკური სამუშაოები შეასრულა. გარდა ამისა, მიმდინარე წელს სამეწარმეო საქმიანობით თურქმენეთის მიმართ გასტუმრებული ვალიდან 10 მილონი აშშ დოლარი სს "ქართულმა შაქარმა", ხოლო 1 მილიონ 600 ათასი - "თი-ჯი-თრეიდმა" გადაიხადა. ეს უკანასკნელი თურქმენულ ვაგონებს არემონტებს.

გოცირიძის განმარტებით, სამთავრობო შეთანხმების თანახმად, "თბილავიამშენს" ამჟამად გაწეული მომსახურების ღირებულების 70 პროცენტი უბრუნდება, რის შეცვლასაც ფინანსთა სამინისტრო მომავალ წელს გეგმავს. არ არის გამორიცხული, რომ ნოღაიდელის უწყებამ ხსენებულ საწარმოს მომსახურება სრულად, 100 პროცენტით აანაზღაუროს.

# ავტოგასამართ სადგურებზე კონტროლი მკაცრდება

*აქციზის გადამხდელთა ინსპექციას ნავთობპროდუქტების საცალო ქსელში დასაქმებული მეწარმეები განსაკუთრებულ კონტროლზე აჰყავს. ამის შესახებ განცხადება აქციზის გადამხდელთა ინსპექციის სამსახურის უფროსმა დავით გიორგაძემ გუშინ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე გააკეთა.*

ბექა ევგენიძე

**"იმპორტის დროს, სუპერის ხარისხის ბენზინის თვითღირებულება ლიტრზე საშუალოდ 1.05 ლარია. საბითუმო ქსელში ამავე ხარისხის ბენზინის სარეალიზაციო ფასი 1.16 ლარს შეადგენს. შესაბამისად, ოქტომბერში დიდი ბრუნვის მქონე 70 ავტოგასამართ სადგურში (აგს) სუპერის სარეალიზაციო ფასმა 1.30 ლარზე მეტი შეადგინა. 18 აგს-ზე - ფასი 1,30 ლარით განისაზღვრა, ხოლო ექვს ავტოგასამართ სადგურში "სუპერი" 1.30 ლარზე ნაკლებად იყიდებოდა. როგორც გაირკვა, აგს-ების იმ ნაწილს, სადაც "სუპერის" სარეალიზაციო ფასი 1.35 ლარზე ნაკლებია, აღნიშნული ხარისხის საწვავი ან საერთოდ არ აქვთ, ან შეძენილი აქვთ რამდენიმე თვის წინ,"** - განაცხადა გიორგაძემ. ამ და სხვა მრავალ დარღვევათა გამოსასწორებლად აქციზის გადამხდელთა ინსპექციას განსაკუთრებულ კონტროლზე ჰყავს აყვანილი თბილისის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების საცალო ქსელში დაკავებული მეწარმეები, რათა ნავთობპროდუქტები ლეგალურ სფეროში მოაქციოს.

როგორც ფინანსთა სამინისტროში ირწმუნებიან, აქციზის გადამხდელთა ინსპექციის ჩამოყალიბების შემდეგ, აქციზური საქონლიდან საბიუჯეტო შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა. გიორგაძის ინფორმაციით აგვისტოდან სექტემბრამდე ლეგალური გზით შემოტანილი აქციზისა და დამატებითი ღირებულების კუთხით შემოსავლები 3 მილიონი ლარით გაიზარდა. **"ეკოლოგიის გადასახადიდან მიღებული შემოსავლები კი 600 ათასი ლარით. მართალია, აპრილიდან სექტემბრამდე საგეგმო პარამეტრები იზრდებოდა, აქციზის გადამხდელთა ინსპექციამ მოახერხა შესრულების მაჩვენებლის გაზრდაც,"** - აცხადებს გიორგაძე.

აქციზის გადამხდელთა ინსპექციის თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ მსხვილი იმპორტიორების საქმიანობა ყოველდღიურად უფრო გამჭვირვალე ხდება. **"მაისში ნავთობპროდუქტების მსხვილი იმპორტიორების და ავტოგასამართი სადგურების მსხვილი ქსელის მფლობელების სახელფასო ფონდი 20 ათასი ლარიდან 27 ათას ლარამდე გაიზარდა, ხოლო საშუალო ხელფასი ერთ თანამშრომელზე 260-დან 346 ლარამდე, რაც დადებითად აისახა საგადასახადო შემოსავლებზეც,"** - აცხადებს გიორგაძე.

გაცილებით უფრო რთული მდგომარეობაა მცირე ავტოგასამართი სადგურების ქსელში, სადაც ხშირად სახელფასო ფონდი რეალურს ჩამორჩება. სადგურებზე არის არალეგალური რეზერვუარი, რომლის მეშვეობითაც მეწარმეები თავს არიდებენ გადასახადის გადახდას. გარდა ამისა, ასეთი სადგურების მფლობელებს შეცდომაში შეჰყავთ მომხმარებელიც, რადგან მათ ქსელში საერთოდ არ აქვთ "სუპერის" მარკის ბენზინი და დაბალი ხარისხის ბენზინს "სუპერად" ასაღებენ.

შეგახსენებთ, რომ აქციზის გადამხდელმა ინსპექციამ ფუნქციონირება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტში განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად 2004 წლის 5 აპრილიდან დაიწყო.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის ელქტრომომარაგებაში არსებული დეფიციტის შესავსებად სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი კვლავ ვერ ხერხდება. ნიკა გილაურის თქმით, იმპორტის დაწყებას ბარიერს მხოლოდ სომხური მხარის მიერ შემოთავაზებული ელექტროენერგიის მაღალი ტარიფი ქმნის. კერძოდ, "თელასმა" დენის მომწოდებელ კომპანია "საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას" 1 კილოვატსაათ ელექტროენერგიაში 2,7 აშშ ცენტი უნდა გადაუხადოს, მაშინ როცა საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია სხვა სომხურ კომპანია "არმროსგაზპრომს" 1 კილოვატსაათში 2,5 ცენტს უხდის. ამიტომ, გილაურის ინფორმაციით, ხელსაყრელი იქნება, თუ "თელასი" ელექტროენერგიას "არმროსგაზპრომისაგან" მიიღებს. ამ საკითხთან დაკავშირებით სომხურ მხარესთან მოლაპარაკებებს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია (გსკ) აწარმოებს. ენერგოკომპანიაში აცხადებენ, რომ მოლაპარაკებების შედეგი ოთხშაბათისთვის გახდება ცნობილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მთავრობა დღევანდელ სხდომაზე ფინანსური ამნისტიის ახალ სქემას წარმოადგენს. ეკონომიკური განვითარების მინისტრმა კახა ბენდუქიძემ პრემიერ-მინისტრთან გუშინ გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ამნისტია უძრავ-მოძრავი ქონებისა და დამალული გადასახადების ნებაყოფლობით დეკლარირებას ითვალისწინებს. ამასთან, უქმდება ე.წ მილიონიანი ზღვარი, რაც მილიონ ლარამდე ოდენობის გადასახადების დამალვისთვის მეწარმის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლებას ითვალისწინებდა. ამასთან დაკავშირებით, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, რომან გოცირიძე აცხადებს, რომ ფინანსური ამნისტიის ახალ, ნოვატორულ სქემას მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება. **პრაიმ-ნიუსი**

**ს/ს თელასის" განცხადება**

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**28 ოქტომბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
**ყაზბეგის(ნაწილობრივ); ვაჟა-ფშაველას(ნაწილობრივ) და გამსახურდიას (ნაწილობრივ) გამზირების, საირმის მთის, მეგრელაძის, ჩიქოვანის, ბუდაპეშტის, ამბროლაურის, ტაშკენტის, თამარაშვილის, ანტონოვსკაიას, ცინცაძის, ბურძგლას, შევარდენიძის, საირმის ქუჩების მაცხოვრებლებს.**

**29 ოქტომბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
**ყაზბეგის(ნაწილობრივ); ვაჟა-ფშაველას(ნაწილობრივ) და გამსახურდიას (ნაწილობრივ) გამზირების, ცინცაძის, შევარდენიძის ქუჩების მაცხოვრებლებს.**

# ახალ მთავრობასთან BP თავს გერად გრძნობს

*გუშინ ლონდონში BP-ის კვარტალური შემოსავლების პრეზენტაცია გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი BP-ს პროექტებს შორის ერთ-ერთი უდიდესია, საქართველოზე საუბარი არ ყოფილა. საქართველოში BP ფულს ჯერ მხოლოდ ხარჯავს.*

თამარ ხორბალაძე
*ლონდონიდან*

პრეზენტაციის წინა დღეს BP-ს სათაო ოფისში ქართველ ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე, კომპანიის წარმომადგენლებმა საკმაოდ ვრცლად და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გულახდილად ისაუბრეს საქართველოში მათ მიერ წარმოებულ საქმიანობასა და პრობლემებზე.

BP-ში ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურა, ლორდი ჯონ ბრაუნი ქართველ ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ **"ხშირად მთავრობებს აქვთ პრობლემები და ეს პრობლემები ხანმოკლე პერიოდზეა გათვლილი. ბიზნესში ასე ხდება - ჯერ უნდა ჩაიდოს ფული და სარგებელი კი მოგვიანებით მოდის, პოლიტიკოსებს სარგებელი უნდათ დღესვე,"** - ასეთი კომენტარი მოჰყვა "24 საათის" კითხვას ახალ მთავრობასთან ურთიერთობის შესახებ. თუმცა ლორდი ბრაუნი საბოლოო ჯამში მაინც დიპლომატიურია და აცხადებს: **"მიმაჩნია, რომ ახალ მთავრობასთან ვაყალიბებთ კარგ და რეალისტურ ურთიერთობას".**

ლორდ ბრაუნთან შედარებით, ნაკლებად დიპლომატიურია რანგით მასზე ქვემოთ მყოფი, BP-ის რეგიონული დირექტორი ჯეი ბერსონი: **"ახალ მთავრობასთან ჩვენ თავს გერებად ვგრძნობთ - მშობლები დაგვეხოცა და ჩვენ აღსაზრდელად ახალ ოჯახს გადაგვცეს. თან ამ ახალ ოჯახს არ ჰქონდა კარგი წარმოდგენა ჩვენს მშობლებზე. ამიტომ ფიქრობენ, რომ ჩვენც ცუდები ვართ, არც ჩვენი დღიურები უნახავთ, არც ჩვენს მეგობრებს შეეკითხნენ აზრს ჩვენზე,"** - ჩივის იგი, თუმცა, საბოლოო ჯამში საუბრობს იმაზე, რომ ახალ ხელისუფლებასთანაც მოხერხდება ურთიერთობის მოგვარება. მიუხედავად ოპტიმისტური დასკვნისა, ჯეი ბერსონი, რომელსაც, ძირითადად, აფრიკის, ცენტრალური აზიის, რუსეთის და კასპიის რეგიონების პროექტები "აბარია", ქართველ ჟურნლისტებთან საუბრის დროს საჭიროდ მიიჩნევს, გაიხსენოს ერაყის, ლიბიის, ნიგერიის გამოცდილება, სადაც BP-ს ადგილობრივი კომპნიების ნაციონალიზაცია მოახდინა ხელისუფლებამ და აცხადებს: **"მინდა გითხრათ, რომ საქართველოში ჩვენ ამისთვის არ ჩამოვსულვართ. ჩვენს აქციონერებს ეს სულაც არ მოეწონებათ. ისინი ჩვენგან მოგებას ელიან."** ცხადია, BP-ს რეგიონული დირექტორის ეს კომენტარი სასაქართველოს ხელისუფლებისადმი არსებული უნდობლობის საკამოდ დიდ დოზაზე მოწმობს. რაც შეეხება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და უმწვავეს თემას - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოებას, ჯეი ბერსონი აცხადებს, რომ კომპანია პასუხისმგებელია ნავთობსადენის უსაფრთხოებაზე, თუმცა პასუხისმგებლობა მთავრდება იქ, სადაც მთავრდება მისი ქონება. **"აი, BP-ის სათაო ოფისს იცავენ დაცვის თანამშრომლები და ისინი არიან პასუხისმგებლები იმაზე, რაც აქ ხდება. თუმცა შენობის გარეთ ჩვენი და ყველა მოქალაქის უსაფრთხოების დაცვა სახელმწიფოს ევალება,"** - ამობს იგი.

შედარებით კორექტულია ლორდი ჯონ ბრაუნი: **"ნავთობსადენის უშიშროების საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან ეს დაკავშირებულია ჩვენს რეპუტაციასთან. ნავთობსადენის უსაფრთხოებზე პასუხისმგებელია BTC, თუმცა ჩვენ ვმუშაობთ საქართველოს მთავრობასთან და ვიმუშავებთ საერთო სტრატეგიას, რადგან თუ რამე მოხდა, რაც არა მგონია, მთავარია არა პასუხისმგებელის მოძებნა, არამედ სწრაფი რეაგირება,"** - აცხადებს იგი.

საინტერესოა ლორდ ბრაუნის მოსაზრება კავკასიის რეგიონში "გაზპრომის" გააქტიურების თაობაზე: **"ეს არ არის პრობლემა. მთავარია, არსებობდეს კონკურენტული გარემო და არჩევანი ენერგომომწოდებლებს შორის. ჩვენ ასეთ არჩევანს ვქმნით."**

EPRC

## საბიუჯეტო მონიტორინგი

# ოქტომბრის თვის ბიუჯეტის შესრულებას 33.5 მილიონი ლარი აკლია

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 22 ოქტომბრის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულია 96 მლნ ლარი, რაც ნიშნავს, რომ ოქტომბრის თვის საპროგნოზო მაჩვენებლის 129,4 მლნ ლარის შესრულებას 33,5 მლნ ლარი აკლია, რომლის მობილიზებაც მომდევნო 5 სამუშაო დღის განმავლობაში უნდა მოხდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ საშუალო ამოღება არის 6,5 მლნ ლარი დღეში, საპროგნოზო მაჩვენებლის შესრულება პრობლემა არ უნდა იყოს.

თუმცაღა ბევრი იქნება დამოკიდებული რეალურ შემოსავალზე, საიდანაც განისაზღვრება ნოემბრის და დეკემბრის საპროგნოზნო მაჩვენებლები. აუცილებელია, რომ მოხდეს ოქტომბრის თვის გეგმის 129,4 მლნ ლარის გადაჭარბება, რადგანაც წლის ბოლომდე ამოსაღებია 344,5 მლნ ლარი, ანუ დარჩენილ ორ თვეში უნდა მოხდეს 172,2 მლნ ლარის მობილიზება ყოველთვიურად, რომელიც იქნება 2004 წლის სარეკორდო მაჩვენებელი, რადგანაც დღემდე ამგვარი სარეკორდო მაჩვენებელი იყო სექტემბრის თვის მაჩვენებელი 163,7 მლნ ლარი, რომელზე მაღალი მაჩვენებელიც მიმდინარე წელს არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება შესრულების ტენდენციას, სამუშაო დღეების მიხედვით ამ თვეში, გასულ ოთხ თვესთან შედარებით, ყველაზე დაბალი შედეგია. (იხ. გრაფიკი).

რაც შეეხება ხარჯების ნაწილს, ამ დროისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულია 1355 მლნ ლარის ხარჯი, რაც წლიური გეგმის 1855 მლნ ლარის 73 პროცენტია. ხოლო ამ პერიოდის ხაზინის ანგარიშზე ნაშთი არის 86,8 მლნ ლარი. რაც შეეხება სუბსიდიებს და მიმდინარე ტრანსფერებს, რომლის წლიური გეგმა არის 606,7 მლნ ლარი, ამ დროისათვის გაწეულია 391,4 მლნ ლარი, რაც გეგმის 65 პროცენტია, ასევე ხარჯებში დაბალი მაჩვენებელი აქვს კაპიტალურ ხარჯებს, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 87,9 მლნ ლარის 56 პროცენტია ანუ 49,4 მლნ ლარი. ასევე აღსანიშნავია, რომ მუშა-მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურება წლიურ გეგმასთან შედარებით დაფინანსებულია მხოლოდ 66 პროცენტით.




# რევიზიის შედეგად კონტროლის პალატამ სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა

*ორ-სამ კვირაში დასრულდება კონტროლის პალატის მასობრივი რევიზია, რომელიც დაახლოებით 50 საწარმოში მიმდინარეობს. კონტროლის პალატის თავმჯდომარის ზურაბ სოსელიას განცხადებით, საწარმოებში აღმოჩენილი სერიოზული დარღვევების საფუძველზე კონტროლის პალატის მიერ მძიმე აქტები მზადდება. კონტროლის პალატა შემოწმებული ორგანიზაციების მასალებს გენერალურ პროკურორს გადასცემს.*

სოფო თბილელი

კონტროლის პალატა უახლოეს მომავალში საზოგადოებას სახელმწიფო და პრივატიზებულ საწარმოებში ჩატარებული რევიზიების შედეგებს წარუდგენს. სოსელიას განცხადებით, წინასწარი მონაცემებით, კონტროლის პალატის თანამშრომლებმა 50-მდე საწარმოში საკმაოდ მნიშვნელოვანი კანონდარღვევები აღმოაჩინეს. მისივე თქმით, მზადდება საკმაოდ მძიმე აქტებიც, ხოლო რევიზიის დასრულებისას შემოწმების მასალები გენერალურ პროკურატურასა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადაეცემა.

სოსელიას ინფორმაციით, პრივატიზებულ საწარმოებში, ძირითადად დარღვეულია საპრივატიზაციო ხელშეკრულებების პირობები. კონტროლის პალატის ხელმძღვანელის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილი მასალებით დადასტურდება, რომ პრივატიზების პროცესი არასწორად წარიმართა, შესაძლოა, საპრივატიზაციო ხელშეკრულება გაუქმდეს და ქონება სახელმწიფოს დაუბრუნდეს.

ამჟამად, რევიზია კვლავ მიმდინარეობს "თბილგაზში", "მაქსიმ გორკის სახელობის კულტურის და დასვენების პარკში", "საქტრანსპროექტში", "ფოთის გემთმშენებელი ქარხანაში", "ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანაში" და სხვა.

საწარმოების რევიზიის პარალელურად, კონტროლის პალატა ამოწმებს ბაღდათის, დუშეთის რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებსა და "საქტრანსპროექტის" ქონების განკარგვის კანონიერებას.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ზურაბ სოსელიამ "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის დავით გამყრელიძის ბრალდება - კონტროლის პალატიდან მნიშვნელოვანი მასალების უკანონოდ გატანის შესახებ - უარყო. ეს განცხადება გამყრელიძემ გუშინ პარლამენტის სხდომაზე გააკეთა. სოსელიას განმარტებით, კონტროლის პალატიდან პროკურატურას მართლაც აქვს მასალები გატანილი, თუმცა მათი უმრავლესობა ან ასლების სახით არის გატანილი და დედნები ადგილზეა, ან დედნებია წაღებული და ასლები კონტროლის პალატაში ინახება. ხოლო ისეთი საქმეების შემთხვევაში, რომლის არც დედნები და არც ასლები კონტროლის პალატაში არ ინახება, პალატის კონტროლიორებს აღნიშნული მასალების გაცნობის შესაძლობლობა პროკურატურაში აქვთ.

პრესკონფერენციაზე სოსელიამ ისიც განაცხდა, რომ გერმანიის მთავრობა საქართველოს კონტროლის პალატაში მიმდინარე გერმანიის ტექნიკური დახმარების პროექტისათვის 2005-2006 წლებში დამატებით 800 ათას ევროს გამოყოფს. ამჟამად, კონტროლის პალატაში მიმდინარე ტექნიკური დახმარების პროექტის ღირებულება ერთი მილიონი ევრო. ამომავალი წლისთვის გერმანიის დახმარება გაორმაგდება. აღნიშნულ თანხას გერმანიის მხარე კონტროლის პალატის კადრების მომზადებაზე დახარჯავს. სწავლების გარდა, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია კანონმდებლობის სრულყოფა, მეთოდოლოგიების მომზადება და კონტროლის პალატისათვის გარკვეული ოდენობით საორგანიზაციო ტექნიკის შეძენა. დაგეგმილია ქართველ და გერმანელ აუდიტთა ერთობლივი შემოწმებების ჩატარება საქართველოში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე 9-16 ოქტომბერს ბუდაპეშტში გამართულ უმაღლეს მაკონტროლებელ აუდიტორული სახელმწიფო ორგანიზაციების მეთვრამეტე კონგრესს ესწრებოდა, სადაც სოსელიას ნიდერლანდების აუდიტორული ოფისი კონტროლის პალატის ტექნიკური აღჭურვისა და გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის თანადაფინანსებისათვის 2005 წლისთვის 450 ათასი ევროს გამოყოფას დაჰპირდა.

# "გაზპრომი" თბილისისათვის მოწოდებულ აირს აღარ გააძვირებს

დიანა ჩაჩუა

მოსკოვში ვიზიტად მყოფმა "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა დავით მორჩილაძემ რუსული კომპანიის წარმომადგენლებთან შეთანხმებას მიაღწია და 2005 წლის განმავლობაში აირის მოწოდების თაობაზე ხელშეკრულება გააფორმა. შეთანხმების თანახმად გადაწყდა, რომ რუსული გაზის მონოპოლისტი თბილისისათვის მოწოდებულ აირს აღარ გააძვირებს. ამასთან, საქართველოს რვამილიონიანი დავალიანების მიუხედავად, კომპანია არ ითხოვს თანხის წინასწარ გადახდას.

როგორც "24 საათი" უკვე იუწყებოდა, "გაზპრომი" ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის ბუნებრივი აირის 18 დოლარით გაძვირებას გეგმავდა, თუმცა რუსული მხარე დათმობებზე წავიდა და რუსული გაზის კომპანიის შვილობილი კომპანია "გაზექსპორტი" "თბილგაზს" მომდევნო წლის განმავლობაში ათას კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს კვლავ 60 აშშ დოლარად მიაწვდის. **"ჩვენ ხელი მოვაწერეთ ისეთ შეთანხმებას, რომელიც საქართველოს აძლევდა ხელს,"** - აღნიშნა დავით მორჩილაძემ.

"თბილგაზის" ხელმძღვანელის თქმით, "გაზპრომი" თანახმაა, ძველი ვალების გადასახდელად საქართველოსთვის მისაღებ ტარიფზე დათანხმდეს. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში მიღებულ ხელშეკრულებაში არ ჩაიდო ბუნებრივი აირის საფასურის წინასწარ გადახდის პირობა, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ თუ ქართული მხარე სამი თვის განმავლობაში ხელშეკრულების პირობებს დაარღვევს და აირის საფასურს არ გადაიხდის, "გაზპრომს" უფლება ექნება, საფასური წინასწარ მოითხოვოს და თბილისს ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყვიტოს. **"აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება ქართულ-რუსულ დაძაბულ ურთიერთობებში დადებით მოვლენად მივიჩნიოთ. რუსეთში "გაზპრომთან" მოლაპარაკებების დროს საქართველოს წარმომადგენლებს რუსი პოლიტიკოსებიც უჭერდნენ მხარს,"** - განაცხადეს ქართულ კომპანიაში. ამასთან, გარდა მოწოდებული აირის მიმდინარე საფასურისა, "თბილგაზმა" "გაზპრომს" 2004 წელს მოწოდებული აირის დავალიანებაც უნდა გაუსტუმროს.

**Supply of Computer equipment and software for the Penitenitiary services of Georgia**

**EuropeAid/120521/L/S/GE**

**კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა საქართველოს პენიტენციალური სისტემის პროექტისათვის**

**EuropeAid/120521/L/S/GE**

ევროპის კომისიას დაგეგმილი აქვს გააფორმოს კონტრაქტი აღჭურვილობის, კომპუტერული პროგრამის ინსტალაციასა და გაშვებაზე, აგრეთვე ადგილობრივი კომპიუტერული ქსელის შექმნასა და მის დაკავშირებაზე არსებულ ოპტიკურ ქსელთან საქართველოს პენიტენციალური სისტემის რეფორმის პროექტისათვის, რომელსიც ევროპის თანამეგობრობის TACIS-ის პროგრამის ფინანსური დახმარებით ხორციელდება. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:

ევროპის კომისიის დელეგაცია საქართველოსა და სომხეთში.
კონტრაქტებისა და ფინანსური განყოფილება
ნინო ჩხეიძის ქ. N 38, თბილისი 0102
ელ.ფოსტის მისამართი: Delegation-Georgia@cec.eu.int
სატენდერო დოკუმენტების წარდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 25 ნოემბრის 10:00 სთ, ადგილობრივი დროით.

# უკრაინაში წაბლს ბერტყავენ?

პირველი გვერდიდან

ამჟამად, მის მხარეზე მხოლოდ "მეხუთე არხია", რომელსაც, რატომღაც არჩევნების წინ დახურვა დაემუქრა. იუშენკოს წინააღმდეგ კი მიმართულია მთელი ინფორმაციული მანქანა, და არა მხოლოდ უკრაინის, არამედ რუსეთისაც. მას ერთადერთი შანსი აქვს - მოუწოდოს თავის ამომრჩევლებს, გახდნენ საარჩევნო პროცესის დამკვირვებლები და არ მისცენ ხელისუფლებას მათი არჩევანის გაყალბების საშუალება. პარალელურად იუშენკოს ემუქრება მისი კონკურენტის სასარგებლოდ ყალბი ბიულეტენების დიდი ოდენობით ჩაყრის შესაძლებლობა - რუსეთშიც, რასაკვირველია. რატომღაც უკრაინის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაწყვიტა, რომ რუსეთში 400 (!) საარჩევნო უბნის გახსნა იყო საჭირო, თუმცა სრულიად დაავიწყდა, რომ უკრაინელი მოქალაქეები სხვა ქვეყნებშიც ცხოვრობენ და მათაც უნდა მიეცეთ არჩევნების დაფიქსირების შესაძლებლობა.

გუშინ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი უკრაინაში გაემგზავრა. ვიზიტის მიზეზი ფაშისტებისგან უკრაინის 60 წლისთავის აღსანიშნავ დღესასწაულზე დასწრებაა. თუმცა, 31 ოქტომბრს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებამდე სამი დღით ადრე პუტინის ჩასვლა, მით უმეტეს, უკრაინის ტელეარხებით გამოსვლა, ცალსახად აღიქმება წინასაარჩევნო კამპანიაში ჩარევად.

პუტინის არაოფიციალური მხარდაჭერაზე პრემიერ-მინისტრ იანუკოვიჩისადმი აქამდე ნათელი იყო. რუსეთის პრეზიდენტს არაერთხელ უთქვამს, რომ პატივისცემით მოეკიდება უკრაინელი ხალხის არჩევანს და უკრაინელი ხალხის არჩეულ ნებისმიერ კანდიდატთან შეეცდება თანამშრომლობას. თუმცა, თუ გავიხსენებთ რუსეთის ტელეარხების (რომელთა შორის კრემლისგან დამოუკიდებლის მოძებნა საკმაოდ ჭირს) აშკარად სიმპათიებით აღსავსე დამოკიდებულებას იანუკოვიჩისადმი, ცხადია, უკრაინელი ხალხის რომელ არჩევანს გულისხმობს ვლადიმირ პუტინი.



პუტინის ვიზიტი უკრაინაში არჩევნებს არ უკავშირდება, თუმცა, აშკარა "პოლიტიკური ქვეტექსტი" აქვს.

კიევში ჩასვლისთანავე პუტინმა ტელეგადაცემაში მიიღო მონაწილეობა. სამი ეროვნული ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში რუსეთის პრეზიდენტი უკრაინელთა შეკითხვებს პასუხობდა. ამ სამი არხიდან "UT-1"-ია მხოლოდ სახელმწიფო, ხოლო "1+1" და "ინტერი" კერძო მაუწყებლები არიან. ტელეგადაცემა "პრაიმ თაიმში", ადგილობრივი დროით 20.00 საათზე დაიწყო. საგულისხმოა, რომ მსგავსი აქციისთვის ვლადიმირ პუტინს საკუთარი საარჩევნო კამპანიის პერიოდშიც კი არ მიუმართავს.

რუსეთის პრეზიდენტის ტელეგადაცემის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ამუშავდა ინტერნეტ-გვერდი, სადაც მსურველებს შეეძლოთ, კითხვები დაეტოვებინათ. იქვე იყო ყველაზე პოპულარული კითხვების ჩამონათვალიც. ერთ-ერთ პოპულარულ კითხვად ასეთი იყო დასახელებული: "უკრაინის მოქალაქე რომ იყოთ, საპრეზიდენტო არჩევნებში რომელ კანდიდატს დაუჭერდით მხარს?"

უკრაინის ოპოზიციამ უკვე გააკეთა განცხადება, რომ პუტინის ვიზიტი, შესაძლოა, პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის მხარდასაჭერად იყოს გამიზნული. "ჩემთვის სრულიად გასაგებია სახელისუფლებო ისტებლიშმენტის ნაწილის სურვილი, ვლადიმირ პუტინი იანუკოვიჩის "შოუმენად" გამოიყენოს, - ამბობს იუშენკოს საარჩევნო შტაბის უფროსი ალექსანდრ ზინჩენკო, - არ მგონია, რომ მეზობელი ქვეყნის მეთაური ამას გააკეთებს. არჩევნების ბედი არ არის დამოკიდებული პუტინის სიტყვაზე - ამაში შემიძლია დაგარწმუნოთ". გასაგებია ზინჩენკოს სიტყვებიც, - იუშენკოს გუნდს არ სურს რუსეთთან ურთიერთობები საბოლოოდ გაიფუჭოს - იუშენკოსა და მისი "ამერიკელი" ცოლის (სინამდვილეში იუშენკოს მეუღლე უკრაინელი ემიგრანტის შთამომავალია და მისი ოჯახი 13 წლის წინ დაბრუნდა სამშობლოში) მისამართით ისედაც არაკორექტული მინიშნებები კეთდება რუსულ პოლიტიკურ წრეებში. გამარჯვების შემთხვევაში კი, რუსეთთან თანამშრომლობა იუშენკოს გუნდს, ეჭვგარეშეა, მაინც მოუწევს. ამასთანავე, რატომ უნდა გაკეთდეს წინასწარ მკვეთრი განცხადებები - უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდშიც ხომ შეუძლია რუსეთს საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეუქმნას "ნაშა უკრაინას".

სხვათა შორის, ნიშანდობლივია, რომ კიევი ფაშისტი ოკუპანტებისგან 1943 წლის 6 ნოემბერს გაათავისუფლეს, თუმცა ამჯერად უკრაინის გათავისუფლების 60 წლისთავის აღნიშვნა 28 ოქტომბერს - არჩევნებამდე სამი დღით ადრე გადაწყდა. ეს "შეცდომა" აუცილებლად არჩევნებს უკავშირდება, მით უმეტეს, რომ უკრაინის დედაქალაქში ასეთი "დიდი დღისთვის" სამხედრო აღლუმიც არის დაგეგმილი, რომელშიც უკრაინის ყველა სახის შეიარაღებული ძალები მიიღებენ მონაწილეობას. ძნელი არ არის მიხვდე, რისთვის სჭირდება უკრაინის ხელისუფლებას არჩევნების წინა დღეებში დედაქალაქში სამხედრო ძალების მობილიზაცია. ამის შესახებ უკრაინელი ძალოვანები ადრეც მიანიშნებდნენ, როდესაც ხაზგასმით ამბობდნენ, რომ არ დაუშვებენ ქვეყანაში არაკონსტიტუციური გზით ხელისუფლების შეცვლას.

ასე რომ, უკრაინაში წაბლის ხეების დაბერტყვა დაიწყესო... ანუ, კიევში "ვარდების რევოლუციის" მსგავსი მოვლენის განმეორების შანსი სულ უფრო მცირდება.

# დიდ ბრიტანეთში რუსი ჯაშუშები მომრავლდნენ

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება ქვეყანაში რუსული შპიონაჟის მასშტაბებით სერიოზულად შეშფოთებულია. ინფორმაცია ამის შესახებ ბრიტანულმა გაზეთმა Independent-მა გუშინ გაავრცელა.

ბრიტანული სპეცსამსახურების აზრით, დღეისათვის, ისევე როგორც "ცივი ომის" პერიოდში, შპიონაჟის დონე რუსეთის სასარგებლოდაა. სულ მცირე 32 რუსი დიპლომატი ჯაშუშურ საქმიანობას ეწევა. ისინი გაერთიანებული სამეფოს სამხედრო, ტექნიკურ და პოლიტიკურ შესაძლებლობებზე საიდუმლო ინფორმაციას მოიპოვებენ.

როგორც ბრიტანული გაზეთი წერს, რუსეთის საიდუმლო აგენტები ვლადიმირ პუტინის იმ ოპონენტთა და კრიტიკოსთა შესახებ ინფორმაციის მოპოვებითაც არიან დაკავებული, რომლებიც ამჟამად დიდ ბრიტანეთში იმყოფებიან.

კონტრდაზვერვის სამმართველოს - MI-5-ის წარმომადგენლებმა ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრს, დევიდ ბლანკეტს რუსი მზვერავების აქტიურობის შესახებ უკვე მოახსენეს. გარდა ამისა, MI-5-ის თანამშრომლებს სერიოზულად აშფოთებს ისიც, რომ კონტრდაზვერვაზე საბიუჯეტო ხარჯები მხოლოდ იმის გამო განახევრდა, რომ მთელი სახსრები საერთაშორისო ტერორიზმთან, კერძოდ კი, ტერორისტულ დაჯგუფება "ალ-ქაიდა"-სთან ბრძოლაზე იქნა მიმართული.

როგორც Independent-ი იტყობინება, საიდუმლო დოკუმენტში, სახელწოდებით "ჟაშუშური საფრთხე", რომელიც MI-5-ისა და MI-6-ის სპეცსამსახურების ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიქმნა, ნათქვამია, რომ რუსი ჯაშუშები ყველაფერთან ერთად ბრიტანული სამხედრო თვითმფრინავების ფრენებზეც ახდენდნენ დაკვირვებას. ქვეყნის სპეცსამსახურების მონაცემებით, რუსი მზვერავები იმ ბრიტანელ სამხედრო სპეციალისტებზე ნადირობდნენ, რომლებიც საიდუმლო ინფორმაციას ფლობდნენ.

გაზეთი წერს, რომ რამდენიმე რუსი დიპლომატი, რომელიც ჯაშუშურ საქმინობაში იქნა ეჭვმიტანილი, ქვეყნიდან უკვე გააძევეს, მაგრამ აღნიშნული ღონისძიებები არ გახმაურებულა. დღეისათვის, დიდ ბრიტანეთში სულ საგარეო დაზვერვის სამსახურის (ჟგპ) 18 და სახელმწიფო სადაზვერვო სამმართველოს (დპს) 14 ოფიცერი იმყოფება. არსებული მონაცემებით, ყველა მათგანი დიპლომატიური სტატუსით სარგებლობს. ამის გარდა, თითოეულ დიპლომატზე ათობით ინფორმატორი და აგენტი მუშაობს.

სტატიაში მოყვანილია ორმაგი აგენტის ოლეგ გორდიევსკის სიტყვებიც, რომელიც აცხადებს, რომ ყოველი მეორე რუსი, რომელიც დიდ ბრიტანეთში რაიმე მნიშვნელოვან თანამდებობაზე მუშაობს, რუსეთის სპეცსამსახურების ინფორმატორია. ამასთან, ბრიტანული გამოცემის Jane's Intelligence Digest-ის რედაქტორის, ალექს სთენდიშის თქმით, ბოლო დროს გაერთიანებულ სამეფოში რუსი დიპლომატების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და აუცილებელია, ყურადღება მიექცეს იმ ფაქტს, რომ მათი უმრავლესობა რაიმე სახით საგარეო დაზვერვის სამსახურთან არის დაკავშირებული.

რუსული სადაზვერვო სამსახურების დიდი ბრიტანეთით ამგვარად დაინტერესების მიზეზი აშშ-სთან მისი მჭიდრო კავშირები, ნატო-ში საკმაოდ გავლენიანი როლი და ერაყისა და ირანის მიმართ მისი საკუთარი პოზიცია გახლავთ. გაზეთი Independent-ი აღნიშნავს, რომ რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებმა მოცემულ ინფორმაციაზე არავითარი კომენტარი არ გააკეთეს.

*24 საათი*

# შემობრუნება 180 გრადუსით: მუშარაფი ქაშმირის საკითხს ახლებურად უყურებს

პაკისტანის პრეზიდენტის ფერვეზ მუშარაფის მიერ ქაშმირის საკითხის დარეგულირების თაობაზე გაკეთებულმა რადიკალურმა განცხადებამ პაკისტანში მწვავე დებატები გამოიწვია. კერძოდ, როგორც ბიბისი იუწყება, მუშარაფმა ერთ-ერთ ვარიანტად ინდოეთისა და პაკისტანის მიერ ქაშმირის ერთობლივი მართვა წამოაყენა.

პაკისტანის რამდენიმე ოპოზიციურმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ თავიანთი პრეზიდენტის ინიციატივა ღალატად მონათლეს. რაც შეეხება ინდოეთს, დელის შეთავაზებულ წინადადებაზე, ჯერჯერობით, რეაგირება არ მოუხდენია.

პაკისტანის პრეზიდენტის განცხადებით, ისლამაბადის ტრადიციული მოთხოვნა ქაშმირში რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე არაპრაგმატულია, ხოლო ქაშმირის გამყოფი ზოლის მუდმივ საზღვრად დადგენის თაობაზე ინდოეთის მიერ დაყენებული წინადადება - მიუღებელი.

მუშარაფის ახალი ვარიანტის თანახმად, ტერიტორიის ხელახალი გაყოფა უნდა მოხდეს და პრობლემის დარეგულირებაში გაერო-ს მონაწილეობა უნდა გააქტიურდეს. ისლამაბადში ბიბისი-ს კორესპონდენტის ზაფარ აბასის თქმით, "მუშარაფის თამამი ინიციატივა მთელი ქვეყნისათვის ერთგვარი სიურპრიზი იყო."

პაკისტანის პრეზიდენტის მიმართ ყველაზე მძაფრი კრიტიკით ექვსი ისლამური პარტიისაგან შემდგარი ალიანსის წევრები გამოვიდნენ, რომლებმაც მის წინადადებას "ქაშმირის საკითხისადმი ღალატი" უწოდეს.

"ეს 180 გრადუსით შემობრუნება, ქაშმირის პოლიტიკისაგან გადახვევა გახლავთ", - განაცხადა ალიანსის ვიცე-პრეზიდენტმა ჰაფიზ ჰუსეინ აჰმედმა. მისი თქმით, რა იდეებიც არ უნდა ჰქონდეს პრეზიდენტს, პირველ რიგში, მან ეს პარლამენტს უნდა აცნობოს.

ოპოზიციის ერთ-ერთმა გამორჩენილმა ფიგურამ რაჯა ზაფარულ ჰაქმაც უკმაყოფილება ვერ დაფარა. მისი განცხადების თანახმად, მუშარაფის წინადადება პაკისტანისა და ქაშმირის მოსახლეობის ინტერესებში არავითარ შემთხვევაში არ შედის.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ექსპერტის აზრით, აუცილებელია აღნიშნული წინადადების საკმაოდ სერიოზულად განხილვა. "ეს, შესაძლოა, იმ ჩიხიდან გამოსავალი იყოს, რომელშიც ქაშმირთან დაკავშირებული მოლაპარაკებები შევიდა. თუმცა, ყველაფერი ქაშმირის გასამხედროებული და პოლიტიკური დაჯგუფებების რეაქციებზე იქნება დამოკიდებული", - განაცხადა ცნობილმა ექსპერტმა მონის აამირმა.

პაკისტანის ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის მხრიდან მწვავე რეაქცია მუშარაფის შემდეგმა ვარიანტებმა გამოიწვია:

- მთელი ტერიტორიის დემილიტარიზება და ქაშმირის ავტონომიურ რეგიონად გადაქცევა;
- ინდოეთისა და პაკისტანის მიერ ქაშმირის ერთობლივი მართვა;
- ორ ქვეყანას შორის ქაშმირის ზოგიერთი ნაწილის გაყოფა და ქაშმირის ველის ავტონომიურ ტერიტორიად გადაქცევა.

"თუ ორივე ქვეყანა კვლავ თავიანთ პოზიციებზე იდგება, მაშინ კონფლიქტი უახლოესი 100 მანძილზე არ დარეგულირდება", - განაცხადა მუშარაფმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ინდოეთს აღნიშნულ წინადადებაზე მცირედი კომენტარიც კი არ გაუკეთებია. ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, დიპლომატიური უწყება ოფიციალური რექციისათვის, ჯერჯერობით, მზად არ არის.

ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, დელი არ იჩქარებს მუშარაფის წინადადებაზე პასუხის გაცემას. ბევრს მიაჩნია, რომ ამგვარი წინადადებები არა საჯარო განცხადებების, არამედ მოლაპარაკებათა მაგიდასთან განხილვის საგანი გახლავთ.

# "თიბისი ლიზინგი" - ახალი მონაწილე ქართულ საფინანსო ბაზარზე "თიბისი ბანკის" მიერ დაფუძნებულმა სალიზინგო კომპანიამ ბაზარზე სერიოზული პოზიცია დაიკავა

***უკვე 9 თვეა საქართველოს ბაზარზე აქტიურად საქმიანობს სალიზინგო კომპანია "თიბისი ლიზინგი", რომლის დამფუძნებელია სს "თიბისი ბანკი". სალიზინგო ბაზარზე "თიბისი ლიზინგის" შესვლის შედეგად, 2004 წლის იანვარ-სექტემბერში 12-ჯერ გაიზარდა მთლიანი სალიზინგო გარიგებების მოცულობა - 2003 წლის ბოლოს ეს მაჩვენებელი 200 ათას აშშ დოლარს არ აღემატებოდა, დღეისათვის კი 2,5 მილიონს აჭარბებს.***

ამჟამად მსოფლიოში ლიზინგი მრავალმილიარდიან ინდუსტრიას წარმოადგენს. განვითარებულ ქვეყნებში კომპანიების 80% იყენებს ამ ფინანსურ ინსტრუმენტს. ფიქსირებულ აქტივებში მთლიანი ინვესტიციების 1/3 ნაწილი ლიზინგის საშუალებით ხორციელდება.

სს "თიბისი ლიზინგის" ძირითად მომსახურებას ფინანსური ლიზინგი წარმოადგენს - სალიზინგო კომპანია შეისყიდის კლიენტის მიერ შერჩეულ ძირითად საშუალებებს (მაგალითად, საწარმოო მანქანა-დანადგარებს) და გადასცემს მას სარგებლობაში, ყოველთვიური საზღაურის გადახდის სანაცვლოდ. ლიზინგის საზღაურის სრულად გადახდის შემდეგ კლიენტი ხდება ლიზინგის საგნის მესაკუთრე.

გარდა ამისა, "თიბისი ლიზინგი" კლიენტებს სთავაზობს "დაბრუნებით ლიზინგს", რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიებს, გამოათავისუფლონ ფიქსირებულ აქტივებში ინვესტირებული თანხები და შეავსონ საბრუნავი კაპიტალი. დაბრუნებითი ლიზინგის დროს "თიბისი ლიზინგი" შეისყიდის კლიენტის დანადგარებს, თუმცა კლიენტი ჩვეულებრივ აგრძელებს ამ დანადგარებით სარგებლობას და, ლიზინგის საზღაურის სრულად დაფარვის შემდეგ, იბრუნებს საკუთრების უფლებას.

საწყის ეტაპზე "თიბისი ლიზინგის" საწესდებო კაპიტალი 1 მლნ ლარი იყო. 2004 წლის მაისიდან, კომპანიის განვითარების მაღალი ტემპებიდან გამომდინარე, "თიბისი ბანკმა" მიიღო გადაწყვეტილება მის 2 მლნ ლარამდე გაზრდის თაობაზე.

დღემდე "თიბისი ლიზინგს" დაფინანსებული აქვს სამოცამდე პროექტი სხვადასხვა ტიპის დანადგარების შესყიდვაზე, რომელთა ჯამური ღირებულება 2 მლნ აშშ დოლარს აღემატება. თიბისი ლიზინგის კლიენტები არიან: სამედიცინო, პოლიგრაფიული, სატრანსპორტო კომპანიები, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის, აგრეთვე მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში მომუშავე კომპანიები. "თიბისი ლიზინგი" შესაძლებლობას აძლევს ამ კომპანიებს, გააფართოონ არსებული ბიზნესი, გადააიარაღონ მოძველებული მოწყობილობები, შექმნან და განავითარონ ახალი ბიზნეს-ერთეულები.

"თიბისი ლიზინგი" ორიენტირებულია განვითარების პერსპექტივის მქონე მცირე და საშუალო კომპანიებზე, თუმცა მისი მომსახურებით სარგებლობენ მსხვილი კომპანიებიც, რომელთათვისაც განსაკუთრებით მიმზიდველია პროცედურების სიმარტივე.

კომპანიის მიერ პროექტის დაფინანსების მინიმალური მოცულობა 15 ათასი აშშ დოლარი, ხოლო ლიზინგის ვადა 1-დან 5 წლამდეა. კლიენტის მიერ ლიზინგის საზღაურის დაფარვა ყოველთვიურად, თანაბარი თანხის გადახდით ხდება.

რატომ არის კომპანიებისთვის ხელსაყრელი სალიზინგო მომსახურება?

პირველ რიგში, მიშვნელოვანია ის, რომ მას უძრავ-მოძრავი ქონების სახით დამატებითი უზრუნველყოფა არ მოითხოვება. ლიზინგის საგანი თავად წარმოადგენს უზრუნველყოფის საშუალებას.




გარდა ამისა, კლიენტს "თიბისი ლიზინგის" ექსპერტები ეხმარებიან შესყიდვის პროცესის ორგანიზებაში: მომწოდებელთან, სატრასპორტო, სადაზღვევო კომპანიასთან, საბაჟო სტრუქტურებთან ურთიერთობაში. ამასთან, ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა მარტივია და არ არის დაკავშირებული ფინანსურ დანახარჯებთან, ხოლო ლიზინგით აღებულ ძირითად საშუალებებზე ხდება გადასახადების ეკონომია, კერძოდ, დაჩქარებული ამორტიზაციის საშუალებით, ლიზინგი მეწარმეს აძლევს მოგების გადასახადის შემცირების შესაძლებლობას.

ბაზარზე წარმატებული საქმიანობის პარალელურად, "თიბისი ლიზინგი" აქტიურად ავითარებს პარტნიორულ ურთიერთობებს მსოფლიოს წამყვან საფინანსო ინსტიტუტებთან.

2004 წლის სექტემბერში "თიბისი ლიზინგმა" ხელშეკრულება გააფორმა "AgVANTAGE"-თან, ამ პროგრამის კლიენტი კომპანიების ფინანსირებაში თანამშრომლობის თაობაზე. "AgVANTAGE" წარმოადგენს USAID-ს მიერ დაფინანსებულ პროექტს, რომლის მიზანია ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა.

წელსვე "თიბისი ლიზინგმა" მონაწილეობა მიიღო საქართველოს სალიზინგო ასოციაციის დაფუძნებაში, რომლის მიზანია საქართველოში ლიზინგის ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. ასოციაციის ეგიდით მიმდინარეობს მუშაობა საგადასახადო და სამოქალაქო კოდექსში შესატან ცვლილებებზე, ასევე დაგეგმილია რიგი ღონისძიებები ლიზინგის ინდუსტრიის განვითარების მხარდასაჭერად.

*სს "თიბისი ლიზინგი"*

# ვოლკერის სია

## რუსული კომპანიები ერაყელი დიქტატორის ნავთობის ყველაზე მსხვილი რეალიზატორები იყვნენ

*დამოუკიდებელმა საგამოძიებო კომისიამ, რომელიც გაეროს ერაყული პროგრამის "სურსათი ნავთობის სანაცვლოდ" გამოძიებას ატარებდა, იმ კომპანიების საკმაოდ ვრცელი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლებიც სადამ ჰუსეინის რეჟიმის დროს პროგრამის ფარგლებში ერაყული "შავი ოქროს" რეალიზაციას ახდენდნენ. სიიდან ნათელი ხდება, რომ პროგრამის მოქმედების პერიოდში 1996-2003 წლებში ჰუსეინის რეჟიმის მთავარი პარტნიორები რუსული კომპანიები იყვნენ.*

დიანა ჩაჩუა

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მიმდინარე წლის მარტში აშშ-ს მთავარმა საანგარიშო სამმართველომ გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ პროგრამის "სურსათი ნავთობის სანაცვლოდ" ფარგლებში, ქრთამის სახით 10 მილიარდი აშშ დოლარი იქნა გაცემული. აღნიშნული ფაქტების გამოსაძიებლად გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანისა და უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიქმნა კომისია, რომელსაც სათავეში აშშ-ს სარეზერვო სისტემის ყოფილი თავმჯდომარე პოლ ვოლკერი ჩაუდგა.

გასულ კვირას დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის მიერ გამოქვეყნდა სია, რომელშიც სადამ ჰუსეინის დრონინდელი ნავთობის რეალიზატორი 248 კომპანია და 3545 გამყიდველია დასახელებული. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ პროგრამაში "სურსათი ნავთობის სანაცვლოდ" კორუფცია მეფობდა, ხოლო ჰუსეინის რეჟიმმა ერაყის ღარიბი მოსახლეობისთვის განკუთვნილი დახმარებებიდან მილიარდობით დოლარი მიითვისა, აღნიშნული დოკუმენტი კომისიის მიერ მოწოდებული ყველაზე დეტალური ინფორმაციის მატარებელია.

გამოქვეყნებული ვრცელი სიიდან აღმოჩნდა, რომ სადამის დროინდელი ერაყული "შავი ოქროს" ყველაზე დიდი რეალიზატორები რუსული კომპანიები იყვნენ. 64,2 მილიარდი დოლარიდან 19,3 მილიარდი დოლარი ერაყული ნავთობის სახით სწორედ რუსეთში წავიდა. ჩვენს დიდ მეზობელს რეიტინგში საფრანგეთი, შვეიცარია, ბრიტანეთი, თურქეთი, იტალია და ჩინეთი მოსდევენ.

რაც შეეხება სიაში მოხვედრილ იურიდიულ პირებს, რუსული "ზარუბეჟნეფტი" 2,9 მილიარდი დოლარით და პირველი ადგილით, "ალფა-ეკო" 1,7 მილიარდი დოლარით და მეოთხე ადგილით, ხოლო "მაშინოიმპორტი" 1,69 მილიარდი დოლარით და მეექვსე პოზიციით დაკმაყოფილდნენ.

თუმცა ჰუსეინის რეჟიმის დროს ლიდერთან საქმის დაჭერას არც ამერიკული კომპანიები "ერიდებოდნენ". სიაში ოთხი ამერიკული კომპანია მოხვდა - "Chevron" და "Texaco", რომლებიც ბოლო პერიოდში გაერთიანდნენ და ერთობლივი კომპანია "ChevronTexaco Corp." ჩამოაყალიბეს, "Exxon Mobil Corp." და "Phoenix International".

აღსანიშნავია, რომ ვოლკერის კომისიის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში სადამის ნავთობთან მიმართებაში საგრძნობლადაა დაკნინებული ამერიკული კომპანიების საქმიანობის მოცულობა. ერაყული ნავთობის უმსხვილესი ამერიკული რეალიზატორი "Coastal Corp."-ის კუთვნილი, არუბაში განლაგებული ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა იყო, თუმცა 2001 წელს ეს კომპანია "El Paso Corp." -მა შეიძინა და ასეთი ფორმით აგრძელებდა ერაყული ნავთობის შესყიდვას. მას შემდეგ კი რაც ამ კომპანიის ფილიალი "Coastal Petroleum NV" არუბაში დაარეგისტრირეს, მისგან მიღებული ნავთობის ბარელები აღარ ირიცხება ამერიკულად ვოლკერის რეიტინგში. მასში ასევე არ არის გათვალისწინებული ბაგამის კუნძულებზე რეგისტრირებული ამერიკული კომპანია "Bayoil USA Inc."-ის მიერ ნაყიდი ერაყული ნავთობი.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, 482 მილიონი დოლარის ღირებულების ერაყული ნავთობის შესყიდვებით ამერიკას რეიტინგში 26 ადგილი უკავია. მაგრამ, ამერიკული კომპანიების საზღვარგარეთულ ფილიალებსაც თუ გავითვალისწინებთ, ამერიკა აღნიშნულ სიაში მე-13 პოზიციაზე გადაინაცვლებს, ხოლო შესყიდვების მოცულობა 1,2 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. გამოძიების მსვლელობისას კომისიის მიერ მიღებული სამხილები იძლევიან იმის ვარაუდის საშუალებას, რომ ამერიკული ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები ერაყული ნავთობის მნიშვნელოვანი მოცულობის იმპორტს საზღვარგარეთელი მოვაჭრეების საშუალებით ახორციელებდნენ.

პრაქტიკულად, პროგრამის მოქმედების პერიოდში იმ პუნქტს, თუ ვისთან მოხდებოდა შეთანხმება, სადამ ჰუსეინი წყვეტდა. დამოუკიდებელი კომისიის მიერ მიღებული დასკვნების თანახმად, ერაყის ყოფილი ლიდერი უპირატესობას იმ ორ ქვეყანას ანიჭებდა, რომლებიც 1990-იან წლებში ერაყისთვის სანქციების შემსუბუქებას მოითხოვდნენ, ანუ სადამ ჰუსეინი რუსულ და ფრანგულ ბიზნესს უჭერდა მხარს.

როგორც ამერიკული გაზეთის The Wall Street Journal - ის მიმოხმილველები აღნიშნავენ, გამოქვეყნებული კომპანიების რეიტინგი კიდევ უფრო ზრდის იმის ალბათობას, რომ ერაყის ყოფილი ლიდერი ნავთობს გაეროს უშიშროების საბჭოში გავლენის მიხედვით ყიდიდა.

საგულისხმოა, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში აღმოჩენილი იქნა იმ ფიზიკური და იურიდიული პირების სია, რომლებიც პოლიტიკური მხარდაჭერის სანაცვლოდ სადამ ჰუსეინის რეჟიმისგან ფულს და ნავთობის რეალიზაციაზე შეღავათებს იღებდნენ. ამ სიაში საკმაოდ არიან პოლიტიკოსები რუსეთიდან. თუმცა, სიაში პროგრამის "სურსათი ნავთობის სანაცვლოდ" მთავარი ადმინისტრატორი ბენონ სევანიც ფიგურირებდა. თავად სევანი კატეგორიულად უარყოფს ყველა ბრალდებას და ვოლკერის კომისიასთან თანამშრომლობას განაგრძობს.

## მადლობა დავით ყიფიანის ფონდს

მთავრობის მესვეურებმა უამრავ ბავშვს საჩუქრად გადასცეს სახელმძღვანელოები. მათ შორის, ყველაზე მეტად პირველკლასელებმა გაიხარეს თავიანთი პირველი წიგნით - "დედაენით"; და მაინც, გამორჩეული იყო ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვების სკოლა-ინტერნატისა და ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა სიხარული, როდესაც მათ საგანგებოდ მათთვის განკუთვნილი, ლამაზად ილუსტრირებული "დედაენა" მიიღეს საჩუქრად. ეს სპეციალური სახელმძღვანელო წლების განმავლობაში მცირე ტირაჟით იბეჭდებოდა და მუდამ ძნელად ხელმისაწვდომი იყო ასეთი ბავშვებისთვის; ახლა კი ყველასთვის საყვარელი ქართველი ფეხბურთელის - დავით ყიფიანის ფონდის სახელით, სმენადაქვეითებულ ბავშვებზე ზრუნვა მისმა ვაჟებმა - ლევან, ნიკოლოზ და გიორგი ყიფიანებმა ითავეს. მათ სპეციალურად დააბეჭვდინეს წიგნები და სმენადაქვეითებული ბავშვების სკოლა-ინტერნატისა და ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს თავადვე გადასცეს.

ჩვენ, პედაგოგები, ამ ბავშვებისა და მათი მშობლების სახელით, დიდ მადლობას ვუხდით მათ. განსაკუთრებით კი ის გვახარებს, რომ ეს ქველმოქმედება დიდი ფეხბურთელის, დავით ყიფიანის სახელს ატარებს.

*ლამარა სარჩიმელია, დოდო ჩიკვაიძე*

## პლაკატების ღია კონკურსი

კავშირი საფარი აცხადებს პლაკატების ღია კონკურსს თემაზე "ძალადობა ოჯახში". პლაკატების შინაარსი შეიძლება ასახავდეს შემდეგ თემებს: "ძალადობა ბავშვზე", "ძალადობა ქალზე", "ძალადობა მოხუცზე", "ძალადობა ავადმყოფზე".

კონკურსში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარი ნამუშევრების როგორც ელექტრონული, ასევე A2 ფორმატზე დაბეჭდილი ვერსიები 2004 წლის 26 ნოემბრამდე კავშირი საფარის ოფისში (თბილისი შიო მღვიმელის 6 ). ცნობებისათვის დარეკეთ: 23 29 97/22 54 01.

პროექტი ხორციელდება ფილიპ მორისის მენეჯმენტ სერვისის საქართველოს წარმომადგენლობის, ფონდი ევრაზიის და USAID ხელშეწყობით.

## შესაძლებლობაშეზღუდულები ჩივიან

ნანა ყაველაშვილი

*შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ კიდევ ერთხელ სცადა ხელისუფლებისთვის ხმა მიეწვდინა: "გვინდა, კიდევ ერთხელ შევახსენოთ ხელისუფლებას, რომ ჩვენ ვარსებობთ; რომ ყურადღება და ჩვენი უფლებების დაცვა გვჭირდება".*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*"ჩვენ შესაძლებლობები გვაქვს შეზღუდული და არა უნარი".*

კოალიციის წარმომადგენლები გუშინ, 26 ოქტომბერს სახალხო დამცველის ოფისში შეიკრიბნენ და დამსწრე საზოგადოებას მათ მიმართ არსებული დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ ამცნეს. მათი თქმით, ხელისუფლების მხრიდან ინვალიდობის საკითხებზე სახელმწიფოებრივი მიდგომის ნათლად დაფიქსირება არ ხდება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში თვითრეალიზაციისა და ინტეგრაციის ხელშემწყობი პროგრამების მხარდაჭერა სახელმწიფოსგან სულ უფრო მცირდება. ამით იზღუდება შესაძლებლობა იმისა, რომ ინვალიდები საზოგადოებისათვის სასარგებლო და სრულუფლებიანი წევრები გახდნენ.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა აღშფოთებას იწვევს ის, რომ პარლამენტში გაუქმდა ინვალიდთა საკითხებზე მომუშავე ქვეკომიტეტი. აღარ ფუნქციონირებს სახელმწიფო მინისტრთან არსებული ეროვნული საკოორდინაციო საბჭო, რომელიც მათთვის სახელმწიფო დონეზე საკუთარი კანონიერი ინტერესების დაცვის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ხელისუფლებასა და საზოგადოებაში, "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა" ნაცვლად, ტერმინ "უნარშეზღუდულის" დამკვიდრებას აპროტესტებენ.

**"ეს ჩვენი დისკრიმინაციის ერთ-ერთი დასტურია; ჩვენ შესაძლებლობები გვაქვს შეზღუდული და არა უნარი",** - ამბობენ ისინი.

მათი თქმით, დედაქალაქის კეთილმოწყობის სამსახურმა მოშალა თბილისის ქუჩებში არსებული პანდუსები, რომლებითაც სარგებლობდნენ ინვალიდთა ეტლით მავალი პირები, რითაც მათ თავისუფლად გადაადგილების საშუალება მოუსპო. ინვალიდთა ლიგის ხელმძღვანელის გიორგი ძნელაძის თქმით, მერი და საკრებულოს თავმჯდომარე დიდი ხანია, ჰპირდებიან, მაგრამ დღემდე მერიის მიერ ინვალიდთა საჭიროებისამებრ ადაპტირებული არც ერთი ავტობუსი შემოყვანილი არ არის.

**"ქალაქში არც უსინათლოთათვის ადაპტირებული შუქნიშანი არსებობს. საზოგადოებრივ დაწესებულებათა და ობიექტების უმეტესობაში, არსებული კანონის მიუხედავად, პანდუსები არ არის; შემცირდა სმენადაქვეითებულთათვის სასმენი აპარატების შესაძენად გამოყოფილი თანხები; შემოაქვთ ყოვლად უვარგისი, აქტიური ცხოვრებისათვის გამოუსადეგარი საინვალიდო ეტლები; არ სრულდება სმენადაქვეითებულთათვის სატელევიზიო გადაცემების სურდო-თარგმანით უზრუნველყოფაზე კანონის მოთხოვნა; ქვეყანაში ყველა მოსწავლეს დაურიგდა საჩუქრად სახელმძღვანელოები და ჩანთები, გამონაკლისი ინვალიდი ბავშვები აღმოჩნდნენ. მათ სკოლებშიც არ უშვებდნენ",** - ჩივიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს
# საავტომობილო გზების დეპარტამენტის
# ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა
## საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ 2004 წლის 9 თვის შედეგების მიხედვით

2004 წლის 17 ივლისს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის შემოსავლები შესაბამისად განისაზღვრა 65150 ათასი ლარის ოდენობით, რაც გარდამავალი ნაშთის - 1500 ათ. ლარის გათვალისწინებით ჯამში შეადგენს 66550 ათას ლარს.

2004 წლის შემოსავლები 9 თვის მიხედვით განსაზღვრული იყო 56830,4 ათასი ლარით, ფაქტიურად კი საგზაო ფონდის შემოსავლები შეადგენს 59744,2 ათას ლარს, ანუ იგი გადაჭარბებით არის შესრულებული რაც ასახულია ცხრილში N1.

ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის 9 თვის განმავლობაში გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია და ანალიზი კონკრეტულ ციფრობრივ გამოხატულებებში მოცემულია ცხრილში N2.

მთლიანად 9 თვის განმავლობაში ფაქტიური ხარჯები შეადგენს 46040,3 ათას ლარს, საიდანაც გზების მოვლა-შენახვაზე (მიმდინარე და პერიოდული შეკეთება, გზების ზამთრის პერიოდში შენახვა, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები), საპროექტო-საძიებო, სამეცნიერო და ექსპერტიზის სამუშაოებზე, სტრატეგიული მნიშვნელობის ხიდებისა და გვირაბების დაცვაზე და სხვა ამასთან დაკავშირებულ თანმდევ სამუშაოებზე სულ გახარჯულია 23865,1 ათასი ლარი, მსოფლიო ბანკისა და კუვეიტის ფონდის კრედიტებით შესასრულებელ სამუშაოებში თანამონაწილეობის ხარჯები შეადგენს 2287,6 ათას ლარს, უცხოური კრედიტების ძირითადი თანხებისა და მომსახურების პროცენტების გადახდა მოხდა 7160,3 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარიმართა ცენტრალურ ბიუჯეტში, წინა წლებში შესრულებული საგზაო-სამშენებლო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდამ შეადგინა 5560,9 ათასი ლარი.

სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად გადასახდელმა თანხებმა შეადგინა 409,4 ათასი ლარი, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებულ სამუშაოებზე გაწეულმა ხარჯმა 6104,1 ათასი ლარი, ხოლო საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და საქვეუწყებო დაწესებულებების აპარატების შენახვის ხარჯებმა 558,3 ათასი ლარი.

მსოფლიო ბანკის კრედიტით გათვალისწინებული საგზაო-სამშენებლო სამუშაოები, რომელიც სრულდება სხვადასხვა საავტომობილო გზის მონაკვეთებზე, დიდი ნაწილი უკვე დასრულებულია და ნაწილზე მიმდინარეობს სამუშაოები, მათგან მიმდინარე წლის 9 თვეში შესრულებულია 24116,7 ათასი ლარის მოცულობის სამუშაოები (გზის ზედაპირული დამუშავება და რეაბილიტაცია), სულ საერთო სიგრძით 198,8 კმ-ზე, მათ შორის 60 კმ გზაზე და მდ. ცივზე ახალ ხიდზე (სიგრძე 86 მ.) უკვე დასრულებულია სამუშაოები. ზემოთაღნიშნულის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა (პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია) და 2004 წლის ბოლომდე დასრულდება სამუშაოები მთლიანობაში საავტომობილო გზის 123,8 კმ-ზე, აგრეთვე სონდის ხევის ხიდზე სიგრძით 60 მეტრი. 2005 წელს დასამთავრებელი მხოლოდ 15 კმ სიგრძის საავტომობილო გზის მონაკვეთი დარჩება, რომელზეც მიმდინარე წლის 9 თვეში უკვე შესრულებულია 2626,1 ათასი ლარის მოცულობის სამუშაოები.

რაც შეეხება კუვეიტის ფონდის კრედიტით განსახორციელებელ პროექტს, 9 თვეში შესრულებულია 2530,5 ათასი ლარის სამუშაოები საერთო სიგრძით 25,8 კმ გზის მონაკვეთზე და ასევე წლის ბოლომდე კიდევ შესრულდება სამუშაოები საავტომობილო გზის 20 კმ-ზე. მსოფლიო ბანკის და კუვეიტის ფონდის კრედიტით განხორციელებული სამუშაოების მიმდინარეობა ასახულია ცხრილში N 3.

შესრულებული სამუშაოებისა და კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში შეტანილი გადასახადების (გარდა კრედიტებით შესრულებული სამუშაოებისა, ვინაიდან გადასახადების თანადაფინანსება ხდება ცენტრალური ბიუჯეტიდან) ანალიზი ცხადყოფს, რომ 2004 წლის 9 თვეში გადასახადების სახით ცენტრალურ ბიუჯეტში ერთიანი საგზაო ფონდის სახსრებით შესრულებული სამუშაოების საფუძველზე შეტანილია 6 მლნ. ლარზე მეტი, ხოლო უცხოური კრედიტების ძირითადი ნაწილისა და პროცენტების სახით 7 მლნ. ლარზე მეტი, სულ 13 მლნ ლარზე მეტი.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის
ც ნ ო ბ ა
სახელმწიფო საგზაო ფონდის შემოსავლები
2004 წლის იანვარ-სექტემბრის თვეში

ცხრილი № 1

/ოპერატ. მონაც./ ათ. ლარი

| № | მაჩვენებლის დასახელება | 2004 წ. გეგმა | 2004 წ. 9 თვის გეგმა | ფაქტ. ჩარიცხული საგზაო ფონდში 9 თვე | 9 თვის შემოსავ. შედარება გეგმასთან გამოხა. პროცენტ. | 9 თვის შესრულ. შედარება წლიურ გეგმასთან გამოხატ. პროცენტ. | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| | I. შემოსავლები | | | | | | |
| 2 | აქციზი (იმპორტირებული ბენზინის აქციზიდან შემოსავლის 30%) | 18200,0 | 12594,0 | 12361,0 | 98,1 | 67,9 | |
| 3 | საავტომობილო გზებით სარგებლობის გადასახადი | 28500,0 | 28500,0 | 30434,0 | 106,8 | 106,8 | |
| 4 | ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრის გადასახადი | 2750,0 | 2204,0 | 1966,5 | 89,2 | 71,5 | |
| 5 | გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის | 13900,0 | 10662,0 | 11365,4 | 106,6 | 81,8 | |
| 6 | გადასახ. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზენორმატიული დატვირთვისათვის | 900,0 | 711,4 | 801,4 | 112,7 | 89,0 | |
| 7 | საწვავ-საცხები მასალების რეალიზაციის გადასახადი | - | - | 286,3 | - | - | |
| 8 | რიკოთის გვირაბით სარგებლობის საფასური | 900,0 | 659,0 | 851,8 | 129,3 | 94,6 | |
| 9 | გარდამავალი ნაშთი | 1500,0 | 1500,0 | 1677,5 | 111,8 | 111,8 | |
| | სულ საგზაო ფონდის შემოსავალი | 66650,0 | 56830,4 | 59744,2 | 105,1 | 89,6 | |

2004 წლის 9 თვეში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის ხარჯების შესახებ

/ოპერატ. მონაცემები/ ათასი ლარი

ცხრილი №2

| № | ხარჯების დასახელება | 2004 წლის ბიუჯეტის კანონით | შესრულებული სამუშაოების მოცულობა 9 თვეში | საკასო ხარჯი 9 თვეში |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | გზების მოვლა-შენახვის ხარჯები (მიმდინარე და პერიოდული შეკეთება და ზამთრის პერიოდში შენახვა) | 36817.3 | 23,865.1 | 20,128.5 |
| | მათ შორის: | | | |
| ა | გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია | 19,892.3 | 9,895.7 | 8,109.9 |
| ბ | გზების მიმდინარე შეკეთება | 11,500.0 | 9,647.9 | 8,664.5 |
| გ | გზების შენახვა ზამთრის პერიოდში | 2,600.0 | 2,035.5 | 1,400 |
| დ | სხვა ხარჯები: | 2,825.0 | 2,286.0 | 1,954.1 |
| | აქედან: | | | |
| | საპროექტო-საძიებო, სამეცნიერო და ექსპერტიზის სამუშაოები | 1,400.0 | 1,216.2 | 1,041.6 |
| | საზედამხედველო ღონისძიებების ხარჯები | 635.0 | 480.9 | 359.3 |
| | კომპიუტერიზაციისა და ინფორმაციის ხარჯები | 180.0 | 167.4 | 107.5 |
| | სტრატეგიული მნიშვნელობის ხიდებისა და გვირაბების დაცვის ხარჯები | 340.0 | 296.3 | 199.5 |
| | დანარჩენი ხარჯები (რიკოთის საუღელტეხილო საავტომობილო გვირაბის ელექტროენერგიით მომარაგებისა და სხვა ხარჯები) | 270.0 | 195.2 | 186.2 |
| 2 | მსოფლიო ბანკისა და კუვეიტის ფონდის კრედიტებით შესასრულებელ სამუშაოებში თანამონაწილეობის ხარჯები | 5550.0 | 2,287.6 | 2,287.6 |
| | მათ შორის: | | | |
| ა | მსოფლიო ბანკის კრედიტი (3357 GE) | 4040.0 | 2,027.6 | 2,027.9 |
| ბ | კუვეიტის ფონდის კრედიტი (589 kf) | 1510.0 | 260.3 | 260.3 |
| 3 | უცხოური კრედიტების ძირითადი თანხებისა და მომსახურების პროცენტების გადახდა ცენტრალურ ბიუჯეტში | 8,465.0 | 7,160.3 | 7,160.3 |
| | მათ შორის: | | | |
| ა | მსოფლიო ბანკის კრედიტის (2809 GE) ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტების გადახდა | 4,325.0 | 3,259.2 | 3,259.2 |
| ბ | მსოფლიო ბანკის კრედიტის (3357 GE) ათვისებულ ნაწილზე მომსახურების პროცენტების გადახდა | 635.0 | 585.5 | 585.5 |
| გ | კუვეიტის ფონდის კრედიტის ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტების გადახდა | 3,505.0 | 3,315.6 | 3,315.6 |
| 4 | წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა | 5600.0 | 5,560.9 | 5,560.9 |
| 5 | საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქვეუწყებო დაწესებულებების აპარატის შენახვის ხარჯები | 558.3 | 558.3 | 558.3 |
| 6 | სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ხარჯები | 409.4 | 409.4 | 409.4 |
| 7 | მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები | 9,000.0 | 6,104.1 | 4884.2 |
| 8 | კრედიტებისა და გრანტების მომსახურების ხარჯები | 250.0 | 94.8 | 94.8 |
| | ს უ ლ : | 66,650.0 | 46,040.3 | 41,084.0 |

შენიშვნა: 9 თვეში შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და საკასო ხარჯს შორის სხვაობა გამოწვეულია სამუშაოების სექტემბრის თვის შესრულებით, რადგან მისი გადახდა ხორციელდება ოქტომბრის თვეში და იგი 9 თვის საკასო ხარჯში არ აისახება

ცხრილი №3

| № | საავტომობილო გზის დასახელება | სამშენებლო ობიექტის ღირებულება ათ. ლარებში: მთლიანი მოცულობა | მ.შ. 2004 წლის 9 თვეში შესრულებულია | საავტომობილო გზის სიგრძე: მთლიანი | მ.შ. 2004 წლის 9 თვეში შესრულებული | 2004 წლის ბოლომდე ჩაბარდება | 2005 წელში ჩაბარდება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I. მსოფლიო ბანკის კრედიტით განსახორციელებელი სამუშაოები | | | | | | |
| 1 | თბილისი-სენაკი-ლესელიძე | 12,710.7 | 1,436.4 | 81 კმ | 37 კმ | 44 | - |
| 1.1 | ხიდი მდ.ცივზე | 2,958.3 | 180.0 | 86 გრძ.მ. | 86 გრძ.მ. | - | - |
| 2 | სენაკი-ფოთი-სარფი | 1,689.9 | 978.1 | 5 კმ | მიმდინარეობს | 5 კმ | - |
| 3 | სამხედრო გზა | 6,826.1 | 5,141.0 | 15.3 კმ | - | 15.3 კმ | - |
| 3.1 | ხიდი სონდის ხევზე | 3,792.1 | 1,890.9 | 60 გრძ.მ. | - | 60 გრძ.მ. | - |
| 4 | ფოთი-წყალწითელა ხიდი | 3,327.2 | 2,080.1 | 16 კმ | 16 კმ | - | - |
| 5 | თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი | 5,549.4 | 1,988.0 | 29 კმ | - | 24 კმ | 5 კმ |
| 6 | თბილისი-მარნეული | 1,081.4 | 900.0 | 6 კმ | - | 6 კმ | - |
| 7 | მარნეული- სადახლო | 13,663.2 | 7,352.1 | 20.5 კმ | - | 20.5 კმ | - |
| 8 | ხაშური-ახალციხე-ვალე | 4,197.4 | 1,532.0 | 16 კმ | 7 კმ | 9 კმ | - |
| 9 | ზესტაფონი-ბაღდათი | 2,269.9 | 638.1 | 10 კმ | - | - | 10 კმ |
| | ჯ ა მ ი : | 58065.6 | 24,116.7 | 198.8 კმ | 60 კმ; 86 გრძ.მ. | 123.8 კმ | 15 კმ |
| | II. კუვეიტის ფონდის კრედიტით განსახორციელებელი სამუშაოები | | | | | | |
| 1 | ფოთის შემოსავლელი გზა | 9800.9 | 690.9 | 4.8 კმ | 4.8 კმ | - | - |
| 2 | სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთი | 21862.0 | 1839.6 | 57 კმ | 21 კმ | 20 კმ | 16 კმ |
| | ჯ ა მ ი : | 31662.9 | 2530.5 | 61.8 კმ | 25.8 კმ | 20 კმ | 16 კმ |

# კობა ნარჩემაშვილის საქმეზე ევრომონიტორინგი დაწესდა

*ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის დელეგაციის წევრებმა, ბევრისთვის მოულოდნელად, უშიშროების სამინისტროს იზოლატორში მყოფი შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის "მიწვევა" მიიღეს და გუშინ ისინი კობა ნარჩემაშვილს წინასწარი დაკავების საკანში ესტუმრნენ.*

სოფიკო ჩხაიძე

შევარდნაძის ხელისუფლების უკანასკნელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის წევრებს, არასამთავრობო ორგანიზაციათა დახმარებით, შეხვედრის შესახებ თხოვნა ჯერ კიდევ გუშინწინ გადასცა, თუმცა, სულხან მოლაშვილთან ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში რამდენიმესაათიანი ვიზიტის შემდეგ, ევროპელ ექსპერტებს არაფერი უთქვამთ თავიანთ დღის წესრიგში უშიშროების სამინისტროს იზოლატორის მონახულების ჩართვის შესახებ. უკვე გუშინ კი, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე, რომელიც უშიშროების სამინისტროს იზოლატორთან მონიტორინგის კომიტეტის დელეგაციის წევრებზე რამდენიმე წუთით ადრე მივიდა, გაკვირვებასაც კი გამოთქვამდა იმის გამო, რომ ევროპელებმა კობა ნარჩემაშვილთან შეხვედრა მაინც გადაწყვიტეს. თევდორაძის აზრით, ამ გადაწყვეტილების მიღება სულხან მოლაშვილის მონახულებამ და მასთან ხანგრძლივმა საუბარმა განაპირობა. **"სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტეს მათ იმ ყოფილი თანამდებობის პირების მონახულება, რომლებიც ამჟამად პატიმრობაში იმყოფებიან,"** - დაასკვნის ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.

ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის თავმჯდომარემ ჟორზეტ დურიემ და მონიტორინგის კომიტეტის სხვა წევრებმა კობა ნარჩემაშვილთან შეხვედრას, სულხან მოლაშვილთან შედარებით, გაცილებით ნაკლები დრო მოანდომეს.

**"ჩვენ მას დავუსვით სხვადასხვა შეკითხვები. ევროსაბჭო კონტროლზე აიყვანს ამ საქმეს და მონიტორინგს დააწესებს მის მიმდინარეობაზე. თავად დაკავებული ფიზიკურად საკმაოდ ნორმალურად გამოიყურება. ძალადობის არავითარი კვალი არ აღენიშნება. უბრალოდ, გაოცებულია დაკავების გამო,"** - განაცხადა შეხვედრიდან გამოსულმა დურიემ.

კითხვაზე, მიიჩნევს თუ არა ნარჩემაშვილი თავს პოლიტპატიმრად, დიურემ მხოლოდ ის უპასუხა, რომ **"კობა ნარჩემაშვილი საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრია."**

თავად ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს კი, როგორც აღმოჩნდა, ბოლო ხანებში დამკვიდრებული პრაქტიკის მიუხედავად, მაინც იმედი აქვს, რომ გამოძიება მის მიმართ ობიექტურად წარიმართება. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს შეხვედრიდან გამოსულმა ელენე თევდორაძემ აცნობა.


ელენე თევდორაძე იზოლატორში დაუბრკოლებლად ვერც ახლა შევიდა.

რაც შეეხება უშუალოდ იმ თხუთმეტწუთიან შეხვედრას, რომელიც ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრსა და ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის წარმომადგენლებს შორის შედგა, როგორც დაკავებულის ადვოკატის არჩილ კბილაშვილსგან შევიტყვეთ, კობა ნარჩემაშვილი ევროპელ ექსპერტებს მისი დაკავების უკანონობის შესახებ ესაუბრა.

**"კობა ნარჩემაშვილი დარწმუნებულია, რომ იგი მოქალაქეობრივი ვალის მოხდის გამო დააკავეს. როგორც ცნობილია, იგი რევოლუციის შემდეგ საზოგადოებაში პირველად ნანული შევარდნაძის დაკრძალვაზე გამოჩნდა და ამით, ეტყობა, გაღიზიანება გამოიწვია. თავადაც სწორედ ამას ამბობს, რომ მისი დაკავება ექსცენტრიული გაღიზიანების შედეგი იყო,** - ამბობს კბილაშვილი, - **წინააღმდეგ შემთხვევაში, რას უნდა მიეწეროს ნარჩემაშვილის დაკავება? საერთოდ, პირის დაკავებას თავისი საფუძვლები უნდა ჰქონდეს. კერძოდ, ეჭვმიტანილი უნდა ემალებოდეს ან ხელს უშლიდეს გამოძიებას. არც ერთი ეს საფუძველი ნარჩემაშვილის შემთხვევაში არ არსებობდა. მეტიც, ის ამ ბოლო 11 თვის მანძილზე არაერთხელ გაემგზავრა საქართველოდან და უკან დაბრუნდა. ერთადერთხელ დაიბარეს დაკითხვაზე და მაშინაც გამოცხადდა და მოწმის სახით ჩვენება მისცა."**

როგორც ცნობილია, შინაგან საქმეთა ექსმინისტრს გუშინ ბრალი სამი მუხლით წაუყენეს. იგი დადანაშაულებულია საბაჟო წესების დარღვევის მცდელობაში, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და სამსახურებრივ გულგრილობაში.

არჩილ კბილაშვილის თქმით, ეჭვს იწვევს ის ბრალდება, რომლის გამოც კობა ნარჩემაშვილი დააკავეს, ანუ საქმე, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე დაკავებულ ცრემლმდენი გაზის ბალონებს ეხება. როგორც ირკვევა, ამ საქმის ძიება 23 თებერვალს, ირაკლი ოქრუაშვილის გენპროკურორობის პერიოდში შეჩერდა. საფუძველი გახლდათ ბრალეული პირის ვერდადგენა.

**"თავისთავად საეჭვო გახლავთ ის ფაქტი, რომ ამ საქმის ძიების განახლების შესახებ გადაწყვეტილება 19 ოქტომბრით თარიღდება. უფრო სწორად, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე ხელს აწერს საქმის შეჩერების შესახებ დადგენილების გაუქმების გადაწყვეტილებას. მოტივი - უკანონობა. რატომ იყო დადგენილება უკანონო, ამის ახსნა არავის ჩაუთვლია საჭიროდ,"** - ამბობს კბილაშვილი და ეჭვობს, რომ ეს გადაწყვეტილება სულაც კობა ნარჩემაშვილის დაკავების შემდეგ იქნა მიღებული, ოღონდ წინა რიცხვით დათარიღდა.

გაითვალისწინებს თუ არა სასამართლო შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ადვოკატის არგუმენტებს, ამას დღეს შევიტყობთ - კობა ნარჩემაშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხი სწორედ დღეს გადაწყდება.




## მოკლედ

### სპეცოპერაცია "გარდაბნის დაჯგუფების" წინააღმდეგ

გუშინ, დილით, მოსკოვში რუსმა ძალოვანებმა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ოპერაცია ჩაატარეს. სპეცოპერაციაში რუსეთის შსს-სა და სხვა სპეცსამსახურების 600-ზე მეტი თანამშრომელი, მათ შორის სპეცრაზმ "ალფას" სპეციალური ჯგუფის 80 წარმომადგენელი მონაწილეობდა. დილის 6 საათზე დაწყებული ოპერაცია რამდენიმე საათის მანძილზე მიმდინარეობდა და რუსმა ძალოვანებმა მოსკოვსა და მის პერიფერიებში ერთდროულად 40 სახლს შემოარტყეს ალყა. ამოღებულია თვეების წინ გატაცებული 23 უცხოური ავტომანქანა, დიდძალი იარაღი და დიდი რაოდენობით ვალუტა. **"ოპერაცია ჩატარდა შს მინისტრის ბრძანებით და ოპერაციის მიზანია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა,"** - ასეთი განცხადება გაავრცელა რუსეთის შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს წარმომადგენელმა. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ რუსმა ძალოვანებმა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს "დაარტყეს". რუსმა სამართალდამცველებმა დააკავეს "გარდაბნის დაჯგუფების" 12 წევრი. რუსეთის შსს-ს ინფორმაციით, სპეცოპერაცია სწორედ "გარდაბნის დაჯგუფების" (რომელიც რუსეთში ძვირადღირებული უცხოური წარმოების მანქანების გატაცებაზე მუშაობდა) ლიკვიდაციას მიეძღვნა. ძალოვანები ამ ჯგუფზე რამდენიმე თვის წინ დაკავებული მილიციის მაიორის ანდრეი მოროზოვის ჩვენების საფუძველზე გავიდნენ. რუსეთის შსს-ს ინფორმაციით, "გარდაბნის დაჯგუფების" წევრები საქართველოს ერთ-ერთი რაიონის, გარდაბნის მაცხოვრებლები არიან და ძირითადად - ერთმანეთის ნათესავები. წინასწარი მონაცემებით, ჯგუფის წევრები რუსეთში გატაცებულ მანქანებს აზერბაიჯანში, საქართველოსა და ყაზახეთში ყიდდნენ.

გუშინ ჩატარებული სპეცოპერაცია ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და რეზონანსულ ოპერაციად გამოცხადდა. რუსი სამართალდამცველების განცხადებით, დაკავებული ჯგუფის წევრები სხვადასხვა მძიმე დანაშაულებში, მათ შორის რეკეტსა და ადამიანის მკვლელობებშიც არიან ეჭვმიტანილი.

*24 საათი*

### მოსამართლე ბრალდებებს ბრალდებით პასუხობს

უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ბეჟან ხიმშიაშვილი, რომლის კომპეტენტურობასა და პროფესიონალიზმზეც ბოლო დღეებში არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები, ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლები და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე ბევრს მსჯელობდნენ, თავს დამნაშავედ არ თვლის და აცხადებს, რომ შუაღამისას ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მისვლით და საპატიმრო ვადის გაგრძელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების იქ წაკითხვით, არანაირი პროცესუალური ნორმები არ დაურღვევია. მოსამართლე ირწმუნება, რომ მას კანონი აძლევდა უფლებას, ნებისმიერ დროს გაეგრძელებინა პატიმრობის ვადა კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილისთვის.

მოსამართლე ხიმშიაშვილი მის მიმართ გამოთქმულ ყველა ბრალდებას პასუხობს და საკუთარი რეპუტაციის დასაცავად, როგორც თავად აცხადებს, თუკი საჭირო გახდება, სარჩელით მართლმსაჯულებას მიმართავს. მისი მოპასუხეები ომბუდსმენის ოფისი და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე იქნება. "პროკურატურამ შეისწავლოს ჩემი საქმე. მანამდე კი, განსასჯელებს, რომელთა საქმესაც მე ვიხილავ, ჩემს ობიექტურობაში ეჭვი რომ არ შეეპაროთ, შვებულებაში გავდივარ," - აცხადებს მოსამართლე ბეჟან ხიმშიაშვილი.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

### ანკეტა

სახელი, გვარი ..........................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ..........................................................

საკონტაქტო ტელეფონი ..........................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი თორნიკე ბერიშვილი

## ორი ხალხი - ერთი სახელმწიფო

### აფხაზური ალიანსის მიმართვა

ჩემო აფხაზო ძმებო, ოქტომბრის არჩევნებმა **"გამარჯვებულად"** სერგეი ბაღაფში გამოაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ეს საარჩევნო პროცესი ანტიდემოკრატიული იყო და აფხაზი ხალხის ნებას არ გამოხატავდა. აშკარაა, რომ აფხაზები ძალიან უკმაყოფილონი არიან ამ დამახინჯებული და ანტიდემოკრატიული ხასიათის პოლიტიკური პროცესით. ჩვენს ხალხს დემოკრატია კიდევ ერთხელ წაართვეს.

მე სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და მათ კანდიდატებს გაერთიანებისკენ მოვუწოდებ. დრო დადგა, საქართველოსა და აფხაზეთის ორმა უძველესმა ხალხმა ერთიანი ძალით დაიწყოს მუშაობა და 21-ე საუკუნეში ახალი მძლე სახელმწიფო შექმნას. ბუნებრივია, რომ აფხაზეთი საქართველოსთან მომავალ ურთიერთობაში მის სრულუფლებიან პარტნიორად იქნება მიჩნეული.

აფხაზეთის დემოკრატიის წინსვლისა და საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობების დამყარების ძირითადი გადამწყვეტი ფაქტორებია:

**პირველი**, ოქტომბრის არჩევნები გაუქმებულად უნდა გამოცხადდეს და სოხუმში დროებითი მმართველობის საბჭო უნდა იქნეს მოწვეული, რომლის წევრებიც ყველა პოლიტიკური პარტიისა და აფხაზური დიასპორის მონისაც წარმომადგენლები იქნებიან.

**მეორე**, საბჭომ უნდა დაადგინოს 12 თვიანი ვადა ღია, **ლეგიტიმური**, არჩევნებისთვის, რომელსაც მეთვალყურეობას გაერო გაუწევს.

**მესამე**, დროებითი მმართველობის საბჭო ასევე მოამზადებს აფხაზეთის ახალ კონსტიტუციას აფხაზების წინაშე წარსადგენად და რატიფიკაციისთვის. აფხაზეთის მოქმედი კონსტიტუცია მთელ აფხაზურ დიასპორას ხელში აქცევს.

**მეოთხე**, აფხაზი ხალხისთვის, მათ შორის აფხაზეთის დიასპორისთვის უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი, დაბრუნდეს თუ არა აფხაზეთი ისევ საქართველოს შემადგენლობაში, როგორც ფედერაციული ან კონფედერაციული სტრუქტურა.

**მეხუთე**, დამოუკიდებლობა არ არის ერთ-ერთი არჩევანი, ეს ფანტაზიაა. რუსეთის ფედერაციაში შესვლის შემთხვევაში კი მისი მოპოვება ასევე არარეალურია. აფხაზები ქართველების რუსეთთან შეცვლით მაინც ვერ გათავისუფლდებიან.

**მეექვსე**, ფაქტია, რომ რუსეთის ფედერაციას აფხაზეთსა და შავი ზღვის რეგიონში უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ინტერესი აქვს, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია. რუსეთმა აფხაზეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური შეთანხმება უნდა უზრუნველყოს.

**მეშვიდე**, აფხაზეთს გადამწყვეტი ხმის უფლება ექნება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ფიზიკური უსაფრთხოების საკითხებში. ისინი არასოდეს გახდება გირაოს საგანი საქართველოსთან მომავალი ნებისმიერი სახის ურთიერთობის დროს. აფხაზები თავადვე იქნებიან აფხაზეთის ბატონ-პატრონები.

აფხაზური დიასპორა ყურადღებით ადევნებს თვალ-ყურს იმას, თუ როგორ წარიმართა ოქტომბრის არჩევნები და საკუთარ ხალხს დემოკრატიას. ამ არჩევნების საუკეთესო შედეგებით ასევე ამ პროცესის მანიპულირების გამოც შეშფოთებულები ვართ. დემოკრატია აფხაზის საყოველთაო უფლებაა, რომელიც მთავრობამ საკუთარ ხალხს ამ ეტაპზე ისევ წაართვა. ბოლშევიკების დიქტატურის, ტირანიისა და შეურაცხყოფის დრო დამთავრდა. ჩვენი ხალხი მეტს იმსახურებს.

ჩემო აფხაზო ძმებო, ჩვენ შეგვიძლია საკუთარი ბედი 21-ე საუკუნეში. ეს ჩვენი მშვიდობის ხანა იქნება. მაგრამ ჯერ ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ ცუდი ზემოქმედებებისგან და საბჭოთა პერიოდის ძველი ხელოვნური რეალიზმისგან. ჩვენ ქართველებთან ერთად ხალხი **ერთიანი ხალხად გავერთიანდეთ**. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია მოვიპოვოთ ეს ჩვენი საერთო ხვედრი, რომ ორმა ხალხმა ერთიანი სახელმწიფო ავაშენოთ.

*დოქტორი ინალ კაზანი*
*აფხაზური ალიანსის პრეზიდენტი*

## გვინდა, ყველაფერი მალე მოგვარდეს

ლელა მარგიანი

*გალელი ბესო ჯუმუტია სკოლის დამთავრებისთანავე იძულებული იყო, დაეტოვებინა გალი. რამდენიმე წელი ოჯახთან ერთად ზუგდიდში იცხოვრა. იქ დაამთავრა საგუნდო-სადირიჟორო სასწავლებელი და გააგრძელა ოჯახური ტრადიცია - გახდა პროფესიონალი ლოტბარი. პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში და დაიწყო ფიქრი ომის შემდგომ სრულიად ჩამკვდარი გალის კულტურული ცხოვრების აღორძინებაზე. დაბრუნებიდან სამი წლის შემდეგ ოცნება აისრულა. გალში მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი "სამურზაყანო". ბესოს ცოტა ხნის წინათ თბილისში ყოფნისას შევხვდით.*



ანსამბლი "სამურზაყანო".

ბესო ჯუმუტია: "ბავშვთა პირველი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "სამურზაყანო" მე და ჩემმა მეგობარმა ბესიკ ქობალიამ 1998 წელს ქალაქ გალში დავაარსეთ. ძალიან რთული დრო იყო. არაფერი არ მუშაობდა. კულტურის სახლს იატაკი და შესასვლელი კარიც კი აღარ ჰქონდა შერჩენილი. ყველგან ქარი უბერავდა. მეგობრებთან ერთად დავიწყეთ კულტურის სახლის აღდგენა. ყველაფერი ჩვენი ხელით გავაკეთეთ, მერე სოხუმიდანაც შემოგვაშველეს სკამები და სცენის მოწყობილობა. მართალია, იდეალური პირობები არც ახლა გვაქვს, მაგრამ უწინდელთან შედარებაც არ შეიძლება. გალში დამკვრელები არ გვყავდა, მაგრამ ეს პრობლემაც მალე მოვაგვარეთ და ასე დავაარსეთ პირველი "სამურზაყანო". ანსამბლში ამჟამად სამი ასაკობრივი ჯგუფი და სამოცდაათი ბავშვია გაერთიანებული. ბავშვებმა ძალიან მონდომებით დაიწყეს მეცადინეობა, ორ-სამ თვეში უკვე კონცერტებში ვიღებდით მონაწილეობას. მაყურებელს ძალიან მოსწონდა ჩვენი ბავშვების გამოსვლები.

**- ანსამბლში მეცადინეობა ფასიანია?**

- მოგეხსენებათ, უფასო აღარაფერია, მაგრამ ჩვენ კარგად გვესმის, რომ გალში ვერ იქნება ისეთი ფასები, როგორიც თბილისშია. ამიტომ ჩვენთან ფასები სიმბოლურია, მშობლები იხდიან იმდენს, რამდენიც შეუძლიათ. ვისაც კარგი მონაცემები აქვს, ხოლო მისი ოჯახი გადახდისუუნაროა გათავისუფლებულია გადასახადისგან.

**- ძვირადღირებული საცეკვაო კოსტუმების პრობლემას როგორ აგვარებთ?**

- მართალი ბრძანდებით, ფორმების შეკერვა საკმაოდ ძვირია. ამიტომ თავდაპირველად ჩვენც პრობლემები გვქონდა. დიდ დახმარებას გვიწევს ბატონი მურმან მალაზონია-კონცერტებისთვის ზუგდიდში ვქირაობდით ფორმებს და მას გადმოჰქონდა გალში. კონცერტის შემდეგ ისევ უკან ვაბრუნებდით. ასე ვწვალობდით რამდენიმე წელი. ბოლოს როგორც იქნა, გამოგვიჩნდა მფარველი - ბატონი ბადრი პატარკაციშვილი, რომელმაც შეგვიძინა ანსამბლისთვის საჭირო ყოველგვარი ინვენტარი: ჩოხა-ახალუხები, გოგონების კაბები, ფანდურები, სალამურები. ძალიან მადლიერები ვართ მისი. ეს ბავშვებისთვის დიდი სტიმული იყო.

ვოკალურ ანსამბლთან დაკავშირებით მაინც გვაქვს ერთი პრობლემა-ძველი ხმოვანი აპარატურა მწყობრიდან გამოვიდა. ახალი კი ველარ შევიძინეთ. თბილისში რამდენიმე პიროვნებას მივმართეთ დახმარებისთვის (ბატონი ბადრის შეწუხება აღარ გვინდა). იმედია, სხვაც დაგვეხმარება.

**- კონცერტებს სად მართავთ ხოლმე?**

- რამდენიმე კონცერტი გვქონდა სოხუმში, გაგრაში, ტყვარჩელში, გუდაუთაში. მონაწილეობა მივიღეთ აფხაზეთში გამართულ ბავშვთა ანსამბლების რამდენიმე ფესტივალში, სადაც სტაბილურად მეორე ადგილზე გავდივართ. მაყურებულს ძალიან მოსწონს ჩვენი ბავშვების მიერ შესრულებული ქართული, მეგრული და აფხაზური ხალხური ცეკვები და სიმღერები.

**- ქართულ ხალხურ სიმღერებზე როგორი რეაქცია აქვს მსმენელს?**

- ცუდი რეაქცია არა აქვთ. პირიქით, ძალიან მოსწონს მსმენელს როცა ჩვენი ბავშვები გამოდიან. ქართულს ენაცვლება მეგრული, მეგრულს-აფხაზური სიმღერები. ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევით, ჩვენ მხოლოდ ხელოვნებას ვემსახურებით...

**- ანსამბლში მხოლოდ ქართველი ბავშვები გყავთ?**

- არა, ჩვენს ანსამბლში დადიან გალში მაცხოვრებელი აფხაზი ბავშვებიც. არიან ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების შვილები. ზოგს დედა ქართველი ჰყავს, ხოლო მამა-აფხაზი. ბავშვები დიდი ხალისით მეცადინეობენ და ერთმანეთის სიყვარულსაც ეჩვევიან. მათ ურთიერთობის არანაირი პრობლემა არა აქვთ.

**- ენგურს გამოღმა თუ ჩაგიტარებიათ კონცერტი?**

- სამწუხაროდ, ენგურს გამოღმა ჯერ ვერ შევძელით კონცერტის ჩატარება, თუმცა სურვილი ძალიან დიდია. პოლიტიკური და ფინანსური მიზეზების გამო, ეს ჩვენთვის დიდი პრობლემაა. ისე ძალიან გვინდა ზუგდიდში და თბილისში კონცერტების ჩატარება, რომ დავანახოთ მაყურებელს, როგორ ვარსებობთ, ვმუშაობთ და არ დაგვიკარგავს ქართული "მე".

**- რუსეთში თუ ყოფილხართ გასტროლებზე?**

- ჯერ არა. თუმცა აფხაზური მხრიდან შემოთავაზება იყო. ჩვენ ვმეგობრობთ ალიომ არშბასთან, რომელსაც აქვს ანსამბლი "აბაზა". იგი ხშირად დადის ხოლმე რუსეთში. ჩვენც შემოგვთავაზა ერთად გასვლა პეტერბურგში, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, რადგან ქართული პასპორტები გვაქვს და ფსოუზე გადასვლა ჩვენთვის პრობლემაა. დარწმუნებული ვართ, რომ წავსულიყავით, აფხაზეთსა და საქართველოს აუცილებლად ვასახელებდით. რუს მსმენელს მოვასმენინებდით ჩვენს მიერ შესრულებულ ქართულ, აფხაზურ და მეგრულ სიმღერებს. ვაჩვენებდით ცეკვებს - "ყაზბეგურს", "მთიულურს", "აფხაზურ საქორწილოს".

**- კიდევ თუ არსებობს სხვა ანსამბლები გალში?**

- ამჟამად გალში უკვე რამდენიმე საბავშვო ანსამბლი არსებობს. კულტურის სახლში მუშაობს რამდენიმე წრე. გალელი ბავშვები დადიან კარატეზე, ფეხბურთზე. კულტურის სახლში რამდენჯერმე იყო სტუმრად სოხუმის "თოჯინების თეატრი". იყო ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია "სპექტრის" მიერ დაარსებული თოჯინების თეატრიც. მათ ბავშვებს უჩვენეს "კომბლე".

გალში უფროსები შეძლებისამებრ ვცდილობთ, რომ ბავშვებს ყველაფერი გავუკეთოთ, რათა უსაქმოდ არ დარჩნენ და ცუდ გზას არ დაადგნენ. გალში ქართულად და მეგრულად ვსაუბრობთ. საშიშროება ამ მხრივ არ არსებობს. ძალიან გვინდა, მალე ყველაფერი მოგვარდეს.

## აფხაზები ნდობით უნდა დავასაჩუქროთ

*გაერთიანებული მოძრაობა "დაბრუნება", რომელიც სოხუმის გარნიზონის მეომართა კავშირის "ჯიხას" და აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციათა "ლიგას" გაერთიანების შედეგად შეიქმნა, გამოეხმაურა აფხაზეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს.*

თამარ ჭაჭანიძე

"რუსეთი თავის ხელებს კვლავ აფათურებს საქართველოს საშინაო საქმეებში და ის ილუზია, რაც აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებმა გამოიწვია, თითქოს რუსეთის პოლიტიკამ აფხაზეთში კრახი განიცადა, სრული აფსურდია,"- აცხადებენ "დაბრუნებას" წევრები.

ის ფაქტი, რომ "ჩერნომორენერგოს" გენერალურმა დირექტორმა სერგეი ბაღაფშმა დიდი სხვაობით გადაუსწრო არჩევნებში ყოფილ პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯიმბას, რომელსაც საარჩევნო კამპანიის წარმართვაში თავად რუსეთის პრეზიდენტი ეხმარებოდა, რუსული და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. მიუხედავად რუსეთის მოწადინებისა, წინასაარჩევნო პლაკატებს ირონიულად შემორჩა ხაჯიმბას გვერდით მომღიმარი პუტინი, რომელსაც, წესით, აფხაზებისთვის დიდი რუსეთის მფარველობის გახანგრძლივების იმედი უნდა გაელვივებინა. სერგეი ბაღაფშის გამარჯვება ზოგიერთი ქათველისთვის დამაიმედებელი აღმოჩნდა. ორგანიზაცია "დაბრუნებას" წევრების გულისწყრომის მიზეზი სწორედ ეს გახდა. მათთვის და განსაკუთრებით სოხუმელი დევნილებისთვის სერგეი ბაღაფშის პიროვნება კარგად არის ცნობილი. **"იგი ჩემი მეზობელი იყო. მას სტუმარ-მასპინძლობა და სხვა კავკასიური ტრადიციები არ ეშლება, თუმცა, როგორც პოლიტიკოსი დამოუკიდებლად აზროვნებას არ არის მიჩვეული. საბჭოთა ნომენკლატურას გამოვლილი ჩინოვნიკი სრულ მორჩილებასაა ჩვეული. მისი მეუღლე მართლაც ქართველი ახალგაზრდა ქალია, თუმცა ბაღაფშის პროქართულობას ეს ნამდვილად არ ამტკიცებს. პირიქით, ყოველივე ის, რაც მის ქართველებთან სიახლოვეზე მეტყველებს, უფრო საშიში ტენდენციაა. მას თავისი პრეზიდენტობის მანძილზე მუდამ შეახსენებენ, რომ ის ვითომდა ქართველების მხარდაჭერით სარგებლობს და იგი იძულებული იქნება, საქმეებით ამტკიცოს საპირისპირო. ეს კი ქართველებისთვის ნამდვილად არ არის სახარბიელო,"**- აცხადებს "დაბრუნებას" გამგეობის წევრი ზურაბ ფარცვანია. მისი აზრით, სერგეი ბაღაფშის გამარჯვებით არძინბას მკვდარი კლანის ჩანაცვლება ახალი ჯანსაღი ძალით მოხდა.

მართლაც, ორთქლი გამოშვებულია. ცუდი ცხოვრებით ნირწამხდარ აფხაზებს ახალი იმედი გაუჩნდათ. მათ დაამტკიცეს, რომ არ არიან რუსეთის ყურმოჭრილი მონები, მაგრამ არც მისი კეთილგანწყობა დაუკარგავთ. რუსეთი კვლავ რჩება მამა-მარჩენალად. ის კი არავის აპატიებს მისი "ამაგის" უგულებელყოფას.

"დაბრუნებას" თავმჯდომარე მალხაზ პატარაია: **"იყო ასეთი პოლიტიკოსი ზურაბ აჩბა. ისეთივე ტიპის პოლიტიკოსი იყო, როგორც ბაღაფში, ტოტალიტარული გამოცდილებითა და პიროვნული თვისებებით, თუმცა აზროვნებით გაცილებით შორს წავიდა. იგი სეპარატისტული ორგანიზაცია "აიდგილარას" თავმჯდომარის მოადგილე, არძინბას კაბინეტის წევრი და დეპუტატი იყო. აჩბას ერთხელ პრემიერ-მინისტრობასაც კი სთავაზობდნენ. შემდეგ, გარკვეული კლანური დაპირისპირების გამო აჩბა მოსკოვში აღმოჩნდა, საიდანაც გარკვეული განცხადებები გააკეთა. ეს იყო ძალიან პრაგმატული მოსაზრებები. კერძოდ ერთი ის, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა ზღაპარია და მას არავინ ცნობს; მეორე - მან აფხაზებს მოუწოდა დაეწყოთ ქართველებთან საუბარი რუსეთის გარეშე. ამის შემდეგ არ გასულა დიდი დრო და სოხუმში ჩასვლისთანავე აჩბა მოკლეს. ასე რომ იმ პირობებში, როცა რუსეთი სრულად აკონტროლებს აფხაზეთს ჯარით, სპეცსამსახურებით, პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენებით, ქართული ორიენტაცია სასიცოცხლოდ საშიში და სახიფათოა აფხაზური ელიტის ნებისმიერი წარმომადგენლისთვის."**

აფხაზეთთან მიმართებაში მოძრაობის წევრები წინგაგდადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ სტრასბურგში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესიაზე ქართულ-ოსური, ქართულ-აფხაზური კონფლიქტების კონტექსტში, საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საკითხზე დებატების გამართვას, სადაც ქართულმა დელეგაციამ პარლამენტის თავმჯდომარის ქალბატონ ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით წარმატებით გაართვა ამოცანას თავი. ნინო ბურჯანაძემ ევროპის ისტებლიშმენტის გასაგონად რუსეთი "ორმაგი სტანდარტებით" მოქმედებაში დაადანაშაულა.

საქართველოს პრეზიდენტი კი 25 ოქტომბერს ესპანური გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ თუმცა აფხაზეთში სიტუაცია სამხრეთ ოსეთთან შედარებით გაცილებით მტკივნეულია, საქართველოში ეკონომიკის განვითარებასთან ერთად აფხაზეთის ინტეგრაცია საქართველოს ტერიტორიულ სივრცეში ბუნებრივად მოხდება. მან კატეგორიულად გამორიცხა საომარი მოქმედებების აღდგენის შესაძლებლობა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ 1992 წლის ამბები თავისი არსით რუსეთთან კონფლიქტს წარმოადგენდა და კიდევ ერთი ასეთი კონფლიქტი საქართველოსთვის ნამდვილი კატასტროფა იქნება.

გაერთიანებული მოძრაობა "დაბრუნებაც" კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მომხრეა. "გვეყოფა რაც ვიომეთ. აფხაზების კეთილგანწყობის დაბრუნება ახლა ნდობის აღდგენით უნდა ვცადოთ. ნდობა კი საჩუქარია. ჩვენ აფხაზები ნდობითა და სიყვარულით უნდა დავასაჩუქროთ," - აცხადებენ "დაბრუნებას" წევრები და პირველ რიგში საქართველოში დევნილი მოსახლეობის ინტეგრაციის გაცილებით დიდ ხარისხს მოითხოვენ. ჩვეულებრივ, არაელიტარულ აფხაზებს კი, თურმე, რომ მოინდომო თბილისის გარეუბანთან ახლოს, ლილოს ბაზრობაზეც კი შეხვდები, სადაც ისინი სავაჭროდ ჩამოდიან.

## აფხაზეთის მოსახლეობა - მიზნები, შედეგები, პერსპექტივა

დასასრული

### კონკრეტულად რა მიიღო მსხვერპლის ერთმა ნაწილმა - აფხაზმა ხალხმა

სადაა დამოუკიდებელი აფხაზეთი? კი არის თბილისის ცენტრალური ხელისუფლებისგან (დროებით) გამოყოფილი აფხაზეთი, მაგრამ განა თბილისისგან დამოუკიდებლობა საკმარისია იმისათვის, რომ დამოუკიდებელი იყო? განა მოსკოვის ხელქვეითობა და კრასნოდარის გუბერნიის შემადგენლობაში ყოფნის "პერსპექტივა" შეიძლება მივიჩნიოთ ვინმესთვის მით უფრო კავკასიელი ხალხის ნაწილისთვის თავისუფლებად? ნუთუ იმ სახის თავისუფლებისთვის ჩაებნენ ომში აფხაზი ან თუნდაც ჩეჩენი მეომრები, რომელიც აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში ყოფნას გულისხმობს? მე მგონია, ზოგადად კავკასიელი ხალხის მიერ საკუთარი თავისუფლების იდეა უფრო მაღალ ხარისხშია გაცნობიერებული, ვიდრე რუსეთის შემადგენლობაში შესვლაა, თუნდაც ასოცირებულ წევრად. კრემლიდან მართულმა ეთნიკურად აფხაზმა და ქართველმა "პოლიტ-ლიდერებმა" ვფიქრობ, იმის გამო კი არ აომეს ხალხი ერთმანეთთან, რომ აფხაზეთი მართლაც დამოუკიდებელი ყოფილიყო ან ქართული იურისდიქცია უფრო გამყარებულიყო აფხაზეთში, არამედ მათი მთავარი მიზანი იყო ის, რომ აფხაზეთი შემდგომ რუსეთისათვის შეერთებინათ. ამას ქართველი ინსპირატორები საჯაროდ დღემდე ვერ ამხელენ, ხოლო აფხაზი ინსპირატორები ხშირად ახმოვანებენ და ნათლავენ ტაქტიკურ და გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი აფხაზი ერის საქართველოს აგრესიისგან თავის დაცვის ერთადერთ საშუალებად. სინამდვილეში კი აფხაზეთის რუსეთთან შეერთება კონფლიქტის ინსპირატორების ის ნამდვილი მიზანია, რისთვისაც აფხაზებისა და ქართველების პოლიტ-ელიტის დიდი ნაწილი აღზარდა ან გადაიბირა კრემლმა და მისმა სპეცსამსახურებმა და რისთვისაც წამოაწყებინეს ომი აღნიშნულ "პოლიტ-ლიდერებს".

სად არის აფხაზეთის დაპირებული აყვავება? აფხაზეთი ხომ თავისი კლიმატურ-გეოგრაფიული მაჩვენებლებით ყველაზე იოლად ასაღორძინებელი მხარე იყო და რატომ არ იზრუნა რუსეთმა, უფრო სერიოზულად დაეჭირა მხარი აფხაზეთის ეკონომიკური აღმავლობისთვის? პასუხი ნათელია: ამგვარი აფხაზეთის ხილვა მას არასოდეს სურდა. აფხაზეთში დარჩენილმა მოსახლეობამ განვლილ 10 წელიწადში კრემლის და მისი ხელქვეითი ინსპირატორებისგან დაპირებული აყვავების ნაცვლად მიიღო რუსი ოლიგარქების მიერ შესყიდული საუკეთესო კურორტები და სხვა მომგებიანი ობიექტები, სადაც რა თქმა უნდა, აფხაზურ "პოლიტ-ელიტასაც" აქვს წილი, ხოლო რიგითმა ხალხმა კი დამოუკიდებლობის 10 წლისთავზე "მიიღო" ელმავალის რეისი სოხუმი-სოჩი და ბუნდოვანი პერსპექტივა იმისა, რომ ოდესმე გაიხსნება საჰაერო და სარკინიგზო რეისი სოხუმი-მოსკოვი.

### ინსპირატორების ულუფა

რაც შეეხება იმას, თუ რა მიიღო იმ პირთა წრემ - ქართველებმა და აფხაზებმა, რომელთა სახეები და სახელები ასოცირებულია ერთ ან მეორე ეთნოსის "ლიდერებთან", კონფლიქტის გაჩაღებასთან. პირველი შეხედვისთანავე თვალნათელი ხდება, რომ აღნიშნული კატეგორიის "პოლიტიკური და სამეცნიერო" წრეების წარმომადგენელნი - ინსპირატორი პოლიტიკოსები, მინისტრები, დეპუტატები, როგორც სოხუმში, ასევე საქართველოს სხვა ქალაქებში, მათი მოღვაწეობით ხალხისათვის მოტანილი შედეგების თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ დაუმსახურებლად გადაადგილდებიან ესკორტებით თუ ძვირადღირებული უცხოური ავტომანქანებით, ცხოვრობენ ფეშენებელურ სასახლეებში და შვილებს პრესტიჟულ სასწავლებლებში საზღვარგარეთ ასწავლიან.

ისინი და მათი ოჯახის წევრები, მათი ახლობლები, არასოდეს აკეთებდნენ იმას, რისკენაც სხვებს მოუწოდებდნენ, ბრძოლის ველზე გასვლასაც ძირითადად ყოველთვის თავს არიდებდნენ. რამდენადაც მახსოვს, მათი საქმიანობა მათივე რიტორიკული შეგონებებით შემოიფარგლებოდა და ძირითადად მიკროფონებთან, კამერებთან და თათბირებზე აქტიურობდნენ, ხოლო მათი ვინც ირწმუნეს და მოწოდების შესაბამისად იარაღი აიღეს ხელში და მათი ოჯახის წევრების სამწუხარო ბედი ყველამ ვიცით. მარტივად რომ ვთქვათ, რაოდენობრივად ერთმა მუჭა ინსპირატორებმა და ფსიქიკურად არცთუ ჯანსაღმა ხალხმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ორი ეთნოსის სისხლიანი დაპირისპირება გამოეწვია და თვითონ კი ამ კონფლიქტით დღემდე ნაყოფიერად საზრდოობენ.

### კრემლის როლი

ცალკე თემაა რუსეთი, რომელიც ერთი შეხედვით, თითქოს ასე "გულითადად მფარველობს" აფხაზებს, მაგრამ საინტერესოა აფხაზეთის თვითმყოფადობაზე, დამოუკიდებლობაზე, ეკონომიკურ აღმავლობაზე და სხვა ამქვეყნიურ სიკეთეებზე "ზრუნვით დამაშვრალმა" რუსეთმა ამ 11 წელიწადში რატომ არ შექმნა მაქსიმუმ აფხაზეთის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების მექანიზმები. მინიმუმ თვითონ ცალმხრივად მაინც რატომ დღემდე არ აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა? თუ ეს ჯერჯერობით "ვერ მოახერხა", როდისთვის ჰპირდება აფხაზებს მათი დამოუკიდებლობის აღიარებას? ვფიქრობ, დღეს მაინც ყველას კარგად ესმის, რომ თბილისის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ერთ "მშვენიერ" დღეს რომ აღიაროს აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო (თუმცა ეს არასოდეს მოხდება), ამას მსოფლიოში ყველაზე მძაფრი აგრესიით სწორედ რუსეთი შეხვდება, რადგან ეს რუსეთის დაშლისათვის ყველაზე მძლავრი ბიძგი და პრეცედენტი იქნება. 89 ანალოგიური ავტონომიისგან შემდგარ რუსეთს აფხაზეთის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის თვალსაზრისით სასურველ პრეცედენტად ნამდვილად არ მოევლინება. ეს კრემლმაც კარგად უწყის და აფხაზეთის ტერიტორია, საუკეთესო შემთხვევაში, სურს კრასნოდარის გუბერნიის ნაწილად აქციოს. უარეს შემთხვევაში კი - აფხაზეთი იმ ფინიის როლში იყოლიოს, რომელიც სპეციალურად მისთვის გამოჭრილი გარკვეული ზომის თოკზეა მიბმული და ამ თოკის სიგრძის ფარგლებში "თავისუფალი მოძრაობა" შეუძლია.

დამოუკიდებლობის აღიარების კონტექსტში აფხაზებმა ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ საქართველოს საკმაოდ მწირი რესურსები გააჩნია მსოფლიოს გლობალურ პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად და მსოფლიოს ქვეყნების მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის არაღიარება მსოფლიოზე ქართული ზეწოლის შედეგი კი არ არის, არამედ ყველა სახელმწიფოს მიერ იმ ზოგადი პრინციპების გაზიარების შედეგია, რომელიც ნორმად ჩამოყალიბდა მსოფლიოს სახელმწიფოთა ურთიერთობებში. ამ ნორმის მიხედვით, ანალოგიური ფორმით - ეგზომ მასშტაბური სისხლისღვრით, ეთნოწმენდით და ადამიანის უფლებების დარღვევებით სეცესირებული მცირე რეგიონების, ამ შემთხვევაში კი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება თეორიულადაც გამორიცხულია. პრაქტიკულად კი, ამისი განხორციელების რეალური მოწინააღმდეგე, საქართველოს და მისი მეგობარი ქვეყნების გარდა, არის რუსეთი, რომელსაც ნათლად აქვს წარმოდგენილი ის საფრთხე, რისი მოტანაც შეუძლია მისთვის აფხაზეთის დამოუკიდებელობის საერთაშორისო აღიარებას.

მოკლედ რომ ვთქვათ, კრემლს და მის ხელქვეით ინსპირატორებს აფხაზები და ქართველები იმ მოჩხუბარი ნაგაზების როლში ჰყავთ, რომელსაც კერძო მიზნების - ზოგ შემთხვევაში კი სეირის ყურების მიზნით "მიუქსევს" ერთმანეთს, თან "მშვიდობის დაცვის", "ცეცხლის შეწყვეტის" და "ცეცხლის განუახლებლობის" შესახებ ხშირ შეგონებებსაც არ ივიწყებს. რეალურად კი დაპირისპირების სტაბილურად შენარჩუნების და თანაც პროცესებზე კონტროლის არდაკარგვის მიზნით აკეთებს ფარულ, ზოგჯერ ღია სამხედრო-პოლიტიკურ მოძრაობებს და ხან ერთ მხარეს აგულიანებს, ხან-მეორეს. (რუსეთის დუმაში გამოშვებული ორთქლითაც მრავალი ექსტრემისტი პოლიტიკოსის პოლიტ-აგრეგატი იქოქება და მუშაობს). რეალურად კი კრემლი ორივე მხარეს ასუსტებს და თავის გაძლიერებას ესწრაფვის.

### ქართველები დავბრუნდებით აფხაზეთში?!

კრემლმა და მისმა ემისრებმა უნდა იცოდენ, რომ აფხაზები და ქართველები მაინც გამოძებნიან საერთო ენას და ისტორიის სანაგვეზე "წააბრძანებენ" იმ "მოღვაწეთა" სახელებს და საქმეებს, რომლებიც მშვიდობის ნაცვლად ხალხში შუღლს თესავდა და შემდეგ კარგი "ხეირიც" ნახა ამ დაპირისპირებით.

ხვალ თუ ზეგ, ქართველები დავბრუნდებით აფხაზეთში და აღვადგენთ ჩვენს დამწვარ კუთხეს. ქართველები დავბრუნდებით არა იმისათვის, რომ მტრობა და შურისძიება დაუსრულებლად გავაგრძელოთ, არამედ იმისათვის, რომ მტრობა დასრულდეს.

აფხაზეთში 1992 წ-მდე მცხოვრები სხვადასხვა ერის, კონფლიქტის მსხვერპლთა ტკივილს შეიძლება, დროც ვერ მოერიოს - მოსახლეობას ვერაფერი დაგვავიწყებს ხალხის მასობრივი წამების იმ უმძიმეს სურათებს, რაც ჩვენს მეხსიერებაშია და არც უნდა დავივიწყოთ, მაგრამ ეს ფაქტები უნდა გვახსოვდეს არა როგორც მოდელი და მაგალითი სამომავლო თუ სამუდამო ურთიერთობებისა და საფუძველი შურისძიებებისა, არამედ უნდა გვახსოვდეს იმისათვის, რომ ვიცოდეთ და გადავცეთ მომავალ თაობებსაც ის, თუ რა არ უნდა განმეორდეს არასოდეს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში, კავკასიაში და ზოგადაგ პლანეტაზე. ამ მხრივ, ყველაზე მეტად იმ ხალხის იმედი მაქვს, ვინც მისდა საბედნიეროდ, ვერ მოასწრო საბჭოთა მენტალიტეტის შეთვისება და არ არის კრემლიდან მართული, არ გაუვლია ინსპირატორების სკოლა, ხელმძღვანელობს თავისი ერის ინტერესებით, ითვალისწინებს რეალობას და ძალუძს გადადგას კომპრომისული ნაბიჯები საკუთარი ერის მომავლის უზრუნველსაყოფად.

### რა ვქნათ მომავალში?

განვითარებული მოვლენების ანალიზი მარწმუნებს, რომ რიგითმა ხალხმა - ქართველებმა და აფხაზებმა ანუ კონფლიქტის ორად გახლეჩილმა ერთმა მხარემ თვითონ, დამოუკიდებლად, ინსპირატორი ლიდერების დიქტატის გარეშე უნდა გამოძებნოს საერთო ენა და შექმნას საერთო თანაცხოვრების ის მოდელი, რომლის მაგალითებიც უამრავი იყო ქართული-აფხაზურ ურთიერთობებში და მათ შორის საომარი მოქმედებების ესკალაციის შემდეგ.

ომის დროს და შემდეგაც იყო შემთხვევები, როდესაც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ქართველებმა აფხაზები გადაარჩინეს სიკვდილს, აფხაზებმა კი - ქართველები. მეზობლები პურის უკანასკნელ ნაჭერს უყოფდნენ ერთმანეთს, მოხდა "ერთურთის დანდობის" უნიკალური მაგალითები. სწორედ ამგვარი მოვლენებიდან უნდა შეიქმნას მომავალი ურთიერთობის მოდელი.

ძალზედ მნიშვნელოვანია აფხაზი მოსახლეობისთვის იმის განმარტება, რომ რიგითი, პატიოსანი ქართველი მეომრების აბსოლუტური უმრავლესობა არ მიდიოდა აფხაზი ეთნოსის წინააღმდეგ საომრად. ისინი კრემლის იმპერიისა და კონფლიქტის ინსპირატორების მიერ გამოგზავნილი მკვლელებისა და საბრძოლო შენაერთების წინააღმდეგ საბრძოლად მიდიოდნენ.

პოლიტიკურ ჭრილში მოუგვარებელმა და კონფრონტაციულმა საკითხებმა ქართველებსა და აფხაზებს მომავალში მაინც არ უნდა ააღებინოს იარაღი ერთმანეთის წინააღმდეგ.

აფხაზებმა და ქართველებმა თავი უნდა დააღწიონ ერთმანეთის სიძულვილზე დაფუძნებულ აზროვნებას და პროპაგანდას. რაც მთავარია, ყველამ უნდა გაითავისოს, რომ კიდევ ერთი ომი იქნება აფხაზეთის მიწაზე 1992 წლამდე მცხოვრები ხალხის სახალხო-მასობრივი თვითმკვლელობა, არადა, არსებული ვითარების შენარჩუნებას, გაჭიანურებას თუ გართულებასა და კონფლიქტის ინსპირატორთა მხრივ ძირითად პროცესებზე გავლენის არდაკარგვას სწორედ აქეთკენ მივყავართ.

არსებული სირთულეების დაძლევის მიზნით უმჯობესი იქნება "საერთო სახალხო საბჭოს" შექმნა, რომელშიც შევლენ აფხაზეთის საკითხის მშვიდობიანად, მოსახლეობის სასარგებლოდ გადაწყვეტის მოსურნე პიროვნებები და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ არ განახლდეს საბრძოლო შეტაკებები, დაცული იქნეს აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეთნოსის უფლებები, შეწყდეს საომარი რიტორიკა და ერთმანეთის სიძულვილის გამომწვევი საინფორმაციო პროპაგანდა, ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ საერთო შეფასება მიეცეს აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს და იმ პირთა საქმიანობას, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს კონფლიქტის ინსპირირებაში და ხალხს მოუტანეს უდიდესი ტრაგედია

მთლიანობაში კი აუცილებელია, რომ კონფლიქტის მსხვერპლმა ქართველებმა, აფხაზებმა და სხვებმაც ინსპირატორი შუამავლებისა და პოლიტიკოსების გარეშე გაბედულად დროულად აღვადგინოთ პირდაპირი ურთიერთობები და შევქმნათ ერთმანეთთან თანაცხოვრების მშვიდობიანი და ჰუმანური მოდელი.

*კობა ჩოფლიანი, იურისტი*

## სამშვიდობო გვირაბი

ახალი თავშესაფარი ალტერნატივის ნიშნით



B2

## იეზუიტი ბერის სულის წყვდიადი ეროვნულ გალერეაში



B3

## თბილისის ცენტრალურ უბნებში საავტომობილო მოძრაობის განტვირთვისათვის



B8


# ფროდო, ხედავ, იქით ნაპირზე კიდევ გამოჩნდნენ

ბიბი თევზაძე

როგორც იქნა, უმაღლესი განათლების რეფორმაზე აზრი გამოთქვა იმ პიროვნებამ, რომელიც მომხრეების თუ მოწინააღმდეგეების თვალში აღიქმება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მმართველობის ოფიციალური თუ არაოფიციალური სისტემის შემქმნელად: მე ვგულისხმობ ბ-ნ თემურ კობახიძეს, რომელიც წლების განმავლობაში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის დასავლეთ ევროპის ენების და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანია, ამავე დროს, ძალიან ხშირად - ინგლისურ ენაში მისაღები კომისიის თავმჯდომარე და, ამავე დროს, დეკანობიდან და თავმჯდომარეობიდან თავისუფალ დროს, როგორც ამბობენ, ძალიან ბევრ აბიტურიენტს ამზადებს.

ჩემთვის ამ სამი პოზიციის შეთავსება კორუფციაზე მიმანიშნებელია. თუკი ვინმე შემედავება, რომ ჯერ ქრთამის აღება უნდა დაუმტკიცო ადამიანს და მერე დააბრალო, ვეტყვი, რომ მე სულაც არ ვაბრალებ ბატონ კობახიძეს ქრთამის აღებას, არამედ - კორუფციული სისტემის სათავეში ყოფნას - სისტემის, რომლის ძირითადი მახასიათებელი ინტერესთა კონფლიქტი და გაუმჭვირვალობაა.

ამ ფაკულტეტის ზოგიერთ წარმომადგენელზე - მისაღები კომისიის წევრზე - იმასაც კი ამბობენ, რომ ხშირად აბიტურიენტები მათთან ემზადებიან, როგორც კომისიის წევრებთან, ხოლო "რეალურად" - უცხო ენას სხვასთან სწავლობენ. თუმცა, მე ეს უფრო ანეკდოტად მიმაჩნია.

მაგრამ, როგორ პიროვნებასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, ყველას აქვს უფლება, გამოთქვას თავისი აზრი, და მეტიც - მიიღოს პასუხი ამ გამოთქმულ აზრზე. თანაც, მე ამას განსაკუთრებული სიხარულით გავაკეთებ, თუნდაც იმიტომ, რომ როგორც იქნა, ოპონენტმა კონკრეტული პარამეტრები მიიღო: არადა, "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტის მოწინააღმდეგეები ხან ნიუ იორკელ ფიზიკოსებს გვიპირისპირებენ, როგორც გაირკვა - მათთან შეუთანხმებლად (როგორც ბ-მა გია დვალმა მომწერა, არც მას და არც ბ-ნ გაბადაძეს კანონპროექტზე მათეული შენიშვნების გამოქვეყნების უფლება არ მოუციათ), ხან ანონიმური ავტორობით ბუკლეტს აქვეყნებენ, ხანაც დებატებში აგზავნიან წარმომადგენლებს, რომელთა არგუმენტებიც ძირითადად იწყება ფრაზით - როგორც ჩვენ გვითხრეს... როგორც იქნა, ჩვენ წინაშეა ადამიანი, რომელმაც, როგორც ჩანს, წინააღმდეგობის ფრონტის ერთ-ერთი კომისრობა იკისრა.

დავიწყოთ იქიდან, რომ იმ უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც აცხადებს პრეტენზიას თანამედროვეობაზე, კანონპროექტის გაცნობისათვის ინტერნეტის და კომპიუტერის გამოყენებას უჩივის. ამ "ძირითად შენიშვნაზე" პასუხის გაცემით კანონპროექტის ავტორები უკვე დავიღალეთ, მაგრამ კვლავ გავიმეორებ, ჩვენ ხუთი თვის წინ კანონპროექტი ინტერნეტში გამოვაქვეყნეთ მხოლოდ იმიტომ, რომ მუშაობის პროცესში შენიშვნები და წინადადებები მიგვეღო. თანაც იმედი გვქონდა, რომ ამ პროცესში ჩართვის მსურველთა უმეტესობისთვის - უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლებისთვის და სტუდენტებისთვის - ინტერნეტი უცხო ხილი არ უნდა ყოფილიყო. მე დღესაც მგონია, რომ არ შევცდით, მაგრამ ბატონი კობახიძე მაინც ცდილობს, საწინააღმდეგო დაამტკიცოს. გარდა ამისა, სამწუხაროდ, ჩვენში კიდევ მყარადაა დარჩენილი საბჭოთა უმსჯელობა, რომ ის, რაც ასოცირებულია მთავრობის სახელთან და რამენაირად გამოქვეყნებულია, აუცილებლად საბოლოო ინსტანციაა და უნდა ალიქვა როგორც უპირობო მოცემულობა.

ბატონ კობახიძეს კანონპროექტი ინგლისურენოვანი დედნებიდან გადმოთარგმნილი ჰგონია და შემდეგ დიდი მუშაობა ჩაუტარებია ამ მიმართულებით. ეს ალუზია, როგორც ჩანს, კანონპროექტში შემოთავაზებული ანგლო-საქსური განათლების პრინციპებმა გამოიწვია. დღეს ცივილიზებული მსოფლიო შეთანხმდა, რომ ანგლო-საქსური განათლების სიტემა უფრო წარმატებულია, ვიდრე ცენტრალური და ჩრდილო-ევროპული. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ როგორც ბოლონიის პროცესი, ასევე ჩვენი კანონპროექტიც, სწორედ ამ პრინციპებზე დაყრდნობით აპირებს უმაღლესი განათლების სივრცის მოწყობას. მაგრამ ყველა არ ეთანხმება ამ აზრს: ბატონ კობახიძეს ცოტა მეტი რომ ემუშავა ანალოგიების და პრეცედენტების ძიების მიმართულებით, აუცილებლად წააწყდებოდა ევროპელი ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების წარმომადგენელთა მიერ წარმოებულ კამათს, რომლის მიხედვითაც ანგლო-საქსური სისტემის უპირობო უპირატესობის დებულება შეიძლება მიეყენოს მხოლოდ საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებს, მაგრამ არამც და არამც - ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დარგებს. ამიტომ, ამბობენ ეს მეცნიერები - ჩრდილო ევროპულ საგანმანათლებლო სისტემებში არის რაღაც ღირებული, რაც უნდა შევინარჩუნოთ... მაგრამ ეს ისე, ინფორმაციისათვის და ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებისათვის.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*შესაძლებელია, ჩვენს მიერ შემოთავაზებული მართვის სისტემა ჯავახიშვილის სახელობის უნივერისტეტში რთულად ეჩვენებათ, მაგრამ, ჩვენთვის, ავტორიტარიზმთან დაბრუნების მოწოდების გარდა, არც ერთი ყურადსაღები ალტერნატიული სისტემა არ შემოუთავაზებიათ.*

იმედი მაქვს, რომ საკუთარი სპეციალობის გამო, ბატონი კობახიძე მცირედ მაინც ჩახედულია ჩრდილო ევროპული და ანგლო-საქსური უმაღლესი განათლების განვითარების ისტორიაში და, იმედია, იცის, რომ ისინი საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ იგი არ არის არც ისტორიკოსი და არც სოციალური მეცნიერების წარმომადგენელი, და ამდენად, მისთვის შეიძლება არც გამხდარა პროფესიული ინტერესის საგანი, ჩვენში არსებული უმაღლესი განათლება და ზემოთ ნახსენები ორი სისტემა შეედარებინა ერთმანეთთან. შევეცდები, სიცხადე შევიტანო იმ ტერმინოლოგიურ გაუგებრობაში, ბატონმა კობახიძემ რომ სცადა, დაენერგა. ერთადერთი, რასაც ბატონი კობახიძე ცდილობს, არის, აჩვენოს, რომ ჩვენთან და "მათთან" ყველაფერი თითქმის ერთნაირადაა, და რომ ცვლილებები – ცუდ თარგმანზეა დაყრდნობილი, თორემ ისე არაფერი შესაცვლელი არ არის. მე ვეცდები, ვაჩვენო, რომ ასეთი აზრი ან არაკომპეტენტურობის ბრალია (სამწუხაროდ), ან განზრახ იქმნება მკითხველის დაბნევის მიზნით.

როდესაც საქართველოში უნივერსიტეტი შეიქმნა, მისი მოწყობის პრინციპი ჩრდილო ევროპული იყო: ამიტომ გაჩნდა თბილისის უნივერსიტეტის სტრუქტურაში ფაკულტეტის გარდა – კათედრა (გერმანულად lehrstuhl), რომელიც გერმანულ უნივერსიტეტებში იყო და ახლაც რჩება ფაკულტეტის (სხვათაშორის, ჩვენში fakulaet-იც გერმანული ანალოგიით შექმნილი/დარქმეულია და არა ანგლო-საქსური) სამეცნიერო-ადმინისტრაციულ ნაწილად. თანაც, თუკი თანამედროვე ევროპულ უნივერსიტეტებში ყოფილხართ, აუცილებლად შეამჩნევდით, რომ მათ კათედრებზე, როგორც წესი – სამი-ოთხი წევრია, და არა ათი და მეტი – როგორც ჩვენთან. საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტების და ჩრდილო ევროპული უნივერსიტეტების მოწყობა ზოგად საფუძველში ერთნაირია, ოღონდ საბჭოთა სისტემამ ჩრდილოევროპული სისტემიდან შექმნა განსაკუთრებული რამ, რომელსაც მხოლოდ საბჭოთა უმაღლესი განათლების სისტემას თუ დავარქმევთ: მაგალითისათვის კათედრების მოწყობის წესის შედარებაც საკმარისია: ჩრდილოევროპული უნივერსიტეტების ფაკულტეტების კათედრებზე მხოლოდ ერთი ჰაბილიტირებული – ანუ, უმაღლესი რანგის – პროფესორია: ის, ამავე დროს, კათედრის გამგეცაა და ხელმძღვანელობს მისადმი როგორც ადმინისტრაციულად, ასევე მეცნიერულად დაქვემდებარებულ თანამშრომლებს. სხვებს მასზე დაბალი აკადემიური ხარისხი აქვთ და ამ ხარისხს ისინი თანამდებობასთან ერთად თუ მოიპოვებენ – ან მათივე უნივერსიტეტში, თუ კათედრის გამგის ადგილი განთავისუფლდა, ან სხვა უმაღლეს სასწავლებელში. ჩვენში ჩრდილო ევროპული მოწყობის მთავარი პრინციპი დარღვეულია: კათედრაზე შეიძლება რამდენიმე პროფესორი იყოს და ისინი მხოლოდ ადმინისტრაციული თანამდებობით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მათი სამეცნიერო რანგი ერთი და იგივეა.

ახლა ვნახოთ, რა ხდება, ამ მხრივ, ანგლო-საქსურ სისტემებში: ძალიან სამწუხაროა, რომ დეპარტამენტს, სკოლას და კოლეჯს რეალურიდან განსხვავებული მნიშვნელობები აქვს ბატონი კობახიძის წერილში. თუმცა, მე განზრახ არევას ვერ დავაბრალებ: ასეთი აზრი მართლაც შეიძლება წარმოგექმნათ, თუკი მხოლოდ ვებ-საიტით გაიცნობთ აშშ უნივერსიტეტების მოწყობას და მათ გასაგებად მხოლოდ საქართველოს უნივერსიტეტებს გამოიყენებთ ანალოგიად: აშშ უმაღლეს განათლებაში სკოლის (მაგალითად, იურიდიული სკოლა, სამედიცინო სკოლა, სოციალურ მეცნიერებათა სკოლა) ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ბაკალავრიატის შემდეგ სწავლების გაგრძელებაა. ასეთივე ფუნქცია აქვს დეპარტამენტსაც – ანუ, ისინიც ამზადებენ მაგისტრის და ფილოსოფიის დოქტორის პროგრამებით. კოლეჯი, თუკი ის არსებობს, როგორც უნივერსიტეტის ნაწილი, არის ჩვენი გაგებით ფაკულტეტის მსგავსი. თუკი ის არსებობს დამოუკიდებლად – მაშინ ის შეიძლება ამზადებდეს როგორც რაიმე მიმართულების სპეციალისტს, ასევე, იძლეოდეს ისეთ განათლებას, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტს, მცირე ხნით სწავლის გაგრძელების შემდეგ მიიღოს ბაკალავრის ხარისხი რომელიმე უნივერსიტეტში ან გააგრძელოს სწავლა მაგისტრატურის დონეზე.

უმაღლეს სასწავლებლებში სკოლებს აქვთ ისეთივე, ან დაახლოებით ისეთივე ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა, როგორც კოლეჯებს, ანუ, ჰყავთ ხელმძღვანელი, რომელიც, ამავე დროს, მის სამეცნიერო ხელმძღვანელსაც წარმოადგენს. დეპარტამენტებს ჰყავთ მხოლოდ დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალი. თავად დეპარტამენტი არის პროფესორთა ერთობა, რომელიც არსებობს მხოლოდ სამეცნიერო მიმართულების, სასწავლო და კვლევითი პროექტების გარშემო. აშშ უმაღლესი განათლების სისტემაში შეიძლება განსხვავებული მაგალითების მონახვაც, მაგრამ ეს არ არის ამ შემთხვევაში მთავარი: მნიშვნელოვანი ისაა, რომ ადმინისტრაციული ფუნქციები აშშ უნივერსიტეტებში მხოლოდ ფაკულტეტების დონეზე არსებობს, სულ ერთია, ეს ფაკულტეტი (კოლეჯი) ემსახურება ბაკალავრიატის დონის სტუდენტების მიღებას და შემდეგ გარკვეულ სპეციალობებში მათთვის მაგისტრის და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მინიჭებას, თუ ფაკულტეტი (სკოლა) მხოლოდ მაგისტრისა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხებს ანიჭებს. კიდევ ერთი უზარმაზარი სხვაობა ჩვენს და აშშ უმაღლესი განათლების სიტემებს შორის ისაა, რომ აშშ-ს უნივერსიტეტებში არ არსებობს ვიწრო მიმართულების ფაკულტეტი (კოლეჯი), რომელიც ბაკალავრის ხარისხს ანიჭებს. ანუ, იქ "ფიზიკის ფაკულტეტზე" ან "დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე" სკოლის დამთავრების შემდეგ ვერ ჩააბარებ. ჯერ უნდა შეხვიდე კოლეჯში (მაგალითად, როგორც ეს ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტშია, მეცნიერების და ხელოვნების კოლეჯში), მიიღო გარკვეული კრედიტების რაოდენობა, სამი-ოთხი წლის განმავლობაში შეარჩიო შენი სპეციალობა და უკვე შემდეგ შეხვიდე ან რომელიმე სკოლაში, ან სწავლა გააგრძელო რომელიმე დეპარტამენტში.

როგორც ხედავთ, აშშ უმაღლესი განათლების სისტემა და ჩვენი სისტემა იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ მექანიკური თარგმნის სურვილიც კი დამაბნეველია, მით უმეტეს, რომ ამ თარგმანს აწერ იმათ, ვისაც აზრადაც არ გაუვლია ამის გაკეთება. ალბათ, ეს ბრალდებაც გარკვეულ სამეციერო ჩვევებზე/კულტურაზე მიუთითებს.

რაც შეეხება კანონპროექტში აღწერილი ფაკულტეტის მართვის სტრუქტურას, იქ შენარჩუნებულია ის, რაც საერთოა ჩრდილოევროპულ და ანგლო-საქსურ სისტემებში – უნივერსიტეტის ერთეულად – ფაკულტეტის დადგენა, ხოლო ფაკულტეტის მოწყობა – თვითონ უნივერსიტეტისთვისაა დატოვებული.

რაც შეეხება აკადემიურ ხარისხებს: ანგლო-საქსური სისტემის განსხვავება ჩრდილო ევროპულიდან და, მით უმეტეს, საბჭოთა სისტემიდან ის არის, რომ "იქ" ხარისხების მინიჭებით მთავრდება სწავლა, და შემდგომი კარიერა გამოქვეყნებული შრომებით, რეიტინგით და სხვა, ობიექტურობას მიახლოებული კრიტერიუმით განისაზღვრება. საბჭოთა კავშირში დოქტორობა ხშირად ლოიალურობის ჯილდოც კი ხდებოდა, რომელიც "აღიარების" საბურველში იყო გახვეული.

რაც შეეხება "ტექნიკოსის" ტერმინის ვერგაგებას ბატრონი კობახიძის მხრიდან, შემიძლია ვურჩიო, რომ სხვა ქართულ უნივერსიტეტებში იკითხოს, რას ნიშნავს ეს პოზიცია. ამისათვის არ დასჭირდება ინტერნეტში ძებნის რთული პროცესი.

ბატონი კობახიძე განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს მასწავლებლის თანამდებობას და კითხულობს, რატომ მოხვდა ის დამხმარე პერსონალის სიაში. კანონპროექტის, ბოლონიის პროცესის, ანგლოსაქსური განათლების სისტემის მიხედვით, ადამიანი, ვისაც არა აქვს დოქტორის ხარისხი, არა აქვს სრულად მიღებული უმაღლესი განათლება. შესაბამისად, ის, ვისაც არა აქვს სრული უმაღლესი განათლება, ვერ იქნება აკადემიური პერსონალი. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ეს მასწავლებლის თანამდებობაზე მყოფის უპირატესობაცაა: მასზე არ ვრცელდება სავალდებულო საპენსიო ასაკი, ისე როგორც ასოცირებულ პროფესორზე (პროფესორი, კანონპროექტის მიხედვით ხდება ემერიტუსი საპენსიო ასაკის მიღწევასთან ერთად). ანუ, მასწავლებელი შეიძლება იყოს მასწავლებელი მანამ, სანამ ეს უნდა ფაკულტეტს.

მე არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ბატონი კობახიძე უნივერსიტეტის ავტონომიის წინააღმდეგია და ბაკალავრიატის და მაგისტრატურის ბოლოს სახელმწიფო გამოცდების დატოვებას ითხოვს. ასევე, არც იმის გარჩევას დავიწყებ, თუ რას ნიშნავს თანამედროვე სამყაროში უმაღლესი განათლების საფეხურები და პრინციპი "სწავლება მთელი ცხოვრების მანძილზე".

ხშირია შენიშვები, არა მარტო ბატონი კობახიძის მხრიდან, რომ უნივერსიტეტი ისეთი ფენომენია, რომ მასზე ხელისუფლების დანაწილების, ურთიერთკონტროლის და გამჭვირვალობის კრიტერიუმები არ უნდა გავრცელდეს. ეს არგუმენტი არასერიოზულია. შესაძლებელია, ჩვენ მიერ შემოთავაზებული მართვის სისტემა ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში რთულად ეჩვენებათ, მაგრამ, ჩვენთვის, ავტორიტარიზმთან დაბრუნების მოწოდების გარდა, არც ერთი ყურადსაღები ალტერნატიული სისტემა არ შემოუთავაზებიათ.

ახლა კი პასუხს გავცემ იმ შეკითხვებს, რომელსაც ბატონი კობახიძე წერილის ბოლოს სვამს:

1.კანონპროექტის ბოლო ვერსიის ფორმულირების მიხედვით, კანონის მიღება არის რექტორის განთავისუფლების საფუძველი და არა აუცილებელი პირობა. მმართველის ერთადერთი ფუნქცია უმაღლესი განათლების სასწავლებელში არჩევნების მომზადებაა;

2.ახლა ჩაატაროს არჩევნები თუ დაელოდოს კანონის მიღებას, უნივერსიტეტის გადასაწყვეტია.

რაც შეეხება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელშიც, როგორც ბატონი კობახიძე ამბობს, თურმე რეფორმა მთელი მისი ისტორიის განმავლობაში მიმდინარეობს და ყველაფერი კარგადაა: ეს ის უნივერსიტეტია, საიდანაც გააგდეს ივანე ჯავახიშვილი; ეს ის უნივერსიტეტია, სადაც ლექტორები პირდაპირ თუ არაპირდაპირ სტუდენტებს და აბიტურიენტებს ფულს სძალავენ; ეს ის უნივერსიტეტია, სადაც სტუდენტების ერთმანეთისათვის დაპირისპირება მმართველობით ნორმად ითვლება; ეს ის უნივერსიტეტია, სადაც სწავლების ხარისხი კორუფციის ზრდის პროპორციულად ეცემა. ჯავახიშვილის უნივერსიტეტში მუშაობენ ჩემი მეგობრები, რომლებიც ამ პროცესებში არ მონაწილეობდნენ (არც ერთი ახლანდელი თანამშრომელი არ იღებდა მონაწილეობას ჯავახიშვილის გაგდებაში), მაგრამ ის, რაც ხდება თბილისის ივანე ჯავახიშილის სახელობის უნივერსიტეტში, მათი პასუხისმგებლობაცაა.

დაბოლოს, მინდა გაგახსენოთ ინგლისური ლიტერატურის შედევრის, ტოლკიენის "ბეჭდების მბრძანებლის" სიუჟეტი: სამყაროს მომავლის ბედი მთავარი ბრძოლის ველზე არ გადაწყვეტილა. მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ, როდესაც კარგად და ცხადად გვეცოდინება, ვინ გვებრძვის და სად უნდა ვიბრძოლოთ, გვითხრა ტოლკიენმა ამ ნაწარმოებით. საბოლოოდ ყველაზე მრისხანე ძალაც მხოლოდ პატარა და გასაცოდავებულ გოლლუმზე დაიყვანება და დადგება ჩვენ წინ.

## საზოგადოებრივი მოძრაობა განათლების რეფორმის მხარდაჭერისათვის

გუშინ ეროვნულ ბიბლიოთეკაში საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რათა ხელი მოეწერათ მიმართვისათვის, რომელიც ადამიანებს განათლების რეფორმის ძირითადი პრინციპების მხარდაჭერისაკენ მოუწოდებს. აქ იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესების თანამშრომლები, სტუდენტები, მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, მასწავლებელთა პროფკავშირების წარმომადგენლები, მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის წევრები და სხვა. –"**იმისათვის რომ რეფორმა შედგეს, უნდა დაიწყოს საზოგადოებრივი მოძრაობა ამ რეფორმის მხარდაჭერისათვის და ეს მოძრაობა ჩვენ, უბრალო ადამიანებმა უნდა დავიწყოთ,**" – ითქვა შეხვედრაზე. –"**ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ რეფორმების განხორციელებაში საზოგადოებამ აქტიური მონაწილეობა მიიღოს, მნიშვნელოვანია, მხარი დავუჭიროთ ხელისუფლების ასეთ კარგ ინიციატივას, რაც მისგან ისედაც ძალიან მცირე დოზით მოდის. იმ ადამიანებმა, რომლებმაც ეს რეფორმა წამოიწყეს, ძალიან მძიმე ტვირთი იტვირთეს. ბუნებრივია, ამ ცვლილებებს აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვება, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ფუძემდებლურ საკითხებზე ფართო კონსენსუსი იყოს. კამათი ამ პრინციპების რეალიზებაზე უნდა მიდიოდეს და არა, ამ შემთხვევაში, გაურკვეველ, ეროვნულ ღირებულებებზე. რა თქმა უნდა, საზოგადოებაში კანონპროექტების ყველა მუხლის უპირობო მხარდაჭერა არ უნდა არსებობდეს, შესაძლებელია, მათ თაობაზე ბევრიც ვიკამათოთ, მაგრამ აქ წარმოდგენილ პრინციპებს უპირობო მხარდაჭერა სჭირდება**". – განაცხადა შეხვედრაზე დავით უსუფაშვილმა. დასასრულს საზოგადოების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ქვემოთმოყვანილ მიმართვას.

### მიმართვა საზოგადოებას

ჩვენ მიგვაჩნია, რომ განათლების სისტემა არის მთელი საზოგადოების მოდელი და, შესაბამისად, მოქალაქე მთელი ცხოვრების განმავლობაში მოქმედებს იმ პრინციპებითა და ღირებულებით, რომელიც მან სკოლაში თუ უმაღლეს სასწავლებელში ყოფნის დროს შეიმეცნა და შეითვისა. ამდენად, ჩვენ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ვეკიდებით განათლების რეფორმის ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ ზოგადი და უმაღლესი განათლების მოწყობის ძირითად პრინციპებს:

### სოლიდარობის (და არა კონფლიქტის) პრინციპზე დაფუძნებული სკოლის მართვა

**ძირითადი დებულებები:**

1. სკოლის მმართველია სამეურვეო საბჭო რომლის შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები და მშობლები;
2. მასწავლებლებს ირჩევს პედსაბჭო, მშობლებს - მშობელთა სათათბირო;
3. მოსწავლეებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია სამეურვეო საბჭოში განხილულ და განსახილველ საკითხებზე და მიაწოდონ საბჭოს საკუთარი მოსაზრებები;
4. სამეურვეო საბჭო იღებს ყველა გადაწყვეტილებას სკოლასთან მიმართებაში;
5. სამეურვეო საბჭო ირჩევს სკოლის დირექტორს;
6. ზოგადი განათლების დაფინანსების სისტემა ერთ მოსწავლეზეა (per capita) გათვლილი. მთელი თანხა მიემართება უშუალოდ სკოლის ანგარიშზე;
7. სკოლები თავისუფალია ეროვნულ სასწავლო გეგმებზე დაყრდნობით საკუთრივ სასკოლო სასწავლო პროგრამების შემუშავებაში;
8. სამინისტრო სახელმწიფოს სახელით კონტროლს უწევს სწავლების ხარისხს და განიხილავს შედეგებს პედაგოგიურ კორპუსთან ერთად. ამავე დროს, მინიმუმამდეა დაყვანილი სწავლების პროცესში სამინისტროს ჩარევის შესაძლებლობა;

უმაღლესი განათლების არსებული სისტემა ხასიათდება უკიდურესი გაუმჭვირვალობით, მართვის ცენტრალიზებული და კორუფციული მოდელებით, განათლების დაბალი ხარისხით. ჩვენ გვჯერა, რომ განათლების დაბალი ხარისხი აფერხებს საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებას, ზღუდავს ადამიანის პიროვნულ შესაძლებლობებს, ზრდის კორუფციის დონეს და პრაქტიკულად უსპობს ქვეყნის მოქალაქეს ღირსეული ცხოვრების შანსს.

*უმაღლესი სასწავლებლების საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემებში ჩართვაზე და განათლების ხარისხის ამაღლებაზე მიმართული, კოლეგიალობის პრინციპზე დამყარებული მართვის სტრუქტურა:*

**ძირითადი დებულებები:**

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა;
2. სტუდენტების მაქსიმალური მობილობის შესაძლებლობა;
3. სწავლის დაფინანსების სისტემა "ფული მიჰყვება სტუდენტს";
4. სამეცნიერო კვლევების კონკურენციაზე დამყარებული დაფინანსება;
5. ფაკულტეტების დამოუკიდებლობა;
6. სწავლისა და სამეცნიერო კვლევის ერთიანობა;
7. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების მართვის გამჭვირვალე და დემოკრატიული სისტემა;
8. სამინისტრო, სახელმწიფოს სახელით, უზრუნველყოფს აკრედიტაციის პროცესს;

ეს ის პრინციპებია, რომლებიც, ჩვენი ღრმა რწმენით, მიესადაგება თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროს და ჩვენი ეს რწმენა უპირობოა.

ჩვენ თანადგომას და მხარდაჭერას ვუცხადებთ იმ ჯგუფს, რომელიც სახელმწიფოს წინაშე იღებს პასუხისმგებლობას ამ პრინციპების ცხოვრებაში დანერგვასა და მიზანმიმართულ განხორციელებაზე.



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
გოეთე
"ფაუსტი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ალექსანდრე ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟისორი: გ. შალუტაშვილი
ფასი 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"ლიფტში"
კითხულობს მალხაზ აბულაძე.
რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
ფასი: 3 ლარი
დას: 18:00 სთ.

**აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლი**
ახალგაზრდების შემოქმედება
დათო შალიკაშვილი
პანტომიმის სახელმწიფო თეატრი
დას: 16:00 სთ.

**ტრაგიკომედიის თეატრი**
"VENCEREMOS ანუ ჩვენ გავიმარჯვებთ"
რეჟისორი: ვახტანგ ანდიაშვილი
ფასი: 5 ლარი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"ქალი კატა"
დას: 19:30; 22:00 სთ.

"ფარენჰეიტი 911"
დას: 14:00; 16:30 სთ.

**რუსთაველი**
"მეფე არტური"
დას 14:30; 17:00; 19:30 სთ.

"ევროტური"
დას: 12:00; 22:00 სთ.

## გამოფენები

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ძველი თბილისი სახვით ხელოვნებაში"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თბილისური შემოდგომა
(ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა

**TMS**
ფოტოგამოფენა "ჩინეთი 55"

**"ქარვასლა"**
"რისკიანი მოგზაურობა - ქართველი მიგრანტები ნიდერლანდებში"
ფოტოგამოფენა

## დისკუსია

**ჰაინრიჰ ბიოლის ოფისი**
(რადიანის ქ. 5)
თემა: დემოკრატიული რესურსების განვითარება: სად ვეძიოთ?
მომხსენებლები: ლევან ბერძენიშვილი, გიგა ბოკერია (საქართველოს პარლამენტი),
გია ნოდია (კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი)
დას: 17:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# ორმაგი მასტერკლასი მომავალი პიანისტებისთვის

### თბილისის კონსერვატორია ანდრეას სკურასს მასპინძლობს

მადი სერებრიაკოვა

*თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, ბოლო დროს, გახშირდა უცხოელი სპეციალისტების ვიზიტები. მასტერ-კლასების პროგრამები დასავლურ საგანმანათლებლო სისტემაში ძალზედ გავრცელებული მოდელია. ვისაც ამგვარ ღონისძიებაში მონაწილეობა ერთხელ მაინც მიუღია, დამეთანხმება, რომ ასეთი გაკვეთილები ახალბედა მუსიკოსებისთვის საინტერესო გამოცდილებისა და მრავალმხრივი ცოდნის მიმცემია. თბილისის კონსერვატორიის სტუდენტებს კარგად ახსოვთ ჟერომ დიუკროს, ჟერომ პერნოს, კაროლინ დიუმას, ლუდვიგ ბაუმანის და სხვათა, ბოლო დროს ჩატარებული მასტერ-კლასები. ამჯერად, მათ რიგს ანდრეას სკურასი შეემატა. იგი თბილისში ელიზაბეტ გასტის ფონდმა ჩამოიყვანა. პიანისტმა თბილისის კოსერვატორიაში მოღვაწეობა, გუშინ, საკუთარი რეციტალით დაიწყო.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ანრეას სკურასი ყველა ეპოქისა და სტილური მიმართულების მუსიკას თითქმის ერთნაირად ფლობს.*

უკვე 4 წელია ელიზაბეტ გასტის სახელობის ფონდი საქართველოში საქველმოქმედო პროექტებს ახორციელებს. მისი მოღვაწეობის სფეროში შედის როგორც სოციალური პროექტები (ობოლ და ე.წ. ქუჩის ბავშვების განათლებისა და დასაქმების პროგრამები), ასევე სახელოვნებო სპეციალობების სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამა. ამ მიმართულებით, ელიზაბეტ გასტის ინიციატივით საქართველოში, კონსერვატორიაში უკვე რამდენიმე მასტერკლასი მოეწყო. მასში ათეულობით ქართველმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. ელიზაბეტ გასტის ფონდის დახმარებით, გერმანიაში სასწავლებლად გაემგზავრა რამდენიმე სტუდენტიც საქართველოდან. ფონდი ამ ორი მიმართულების ერთმანეთთან ნაყოფიერ დაკავშირებასაც ახერხებს: ელიზაბეტ გასტის სტიპენდიანტი მუსიკოსები თუ მხატვრები საკუთარ ცოდნას უდედმამო და ქუჩის ბავშვებს ახმარენ და და ე.წ. ბავშვთა სახლებში ატარებენ გაკვეთილებს.

ამჯერად, ფონდმა გერმანიაში მოღვაწე პიანისტი ანდრეას სკურასი ჩამოიყვანა თბილისში. პიანისტმა გუშინ კონსერვატორიის დარბაზში გამართა სოლოკონცერტი. დღეიდან კი მისი მასტერკლასების სერიას კვლავ კონსერვატორია უმასპინძლებს.

ანდრეას სკურასი წარმოშობით ბერძენია, მაგრამ გერმანიაში ცხოვრობს. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, იგი აქტიურ საკონცერტო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. სკურასი მიუნჰენის უმაღლეს მუსიკალურ სკოლაში ასწავლის არფასა და ფორტეპიანოზე დაკვრას. ორივე ინსტრუმენტს იგი თანაბარი პროფესიონალიზმით ფლობს და ზოგჯერ ერთსა და იმავე კონცერტზე ორი ინსტრუმენტითაც გამოდის. თბილისის კონსერვატორიაში ქართველ სტუდენტებთან ანდრეას სკურასი დაახლოვებით ერთი კვირა იმუშავებს. მასტერ-კლასის ბოლოს კი მის მიერ მომზადებული სტუდენტები კონცერტს კონსერვატორიის დარბაზში გამართავენ.

ანრეას სკურასი ყველა ეპოქისა და სტილური მიმართულების მუსიკას თითქმის ერთნაირად ფლობს. თუმცა, განსაკუთრებული სიამოვნებით ასრულებს ბაროკოს მუსიკასა და მოცარტის ნაწარმოებებს. გუშინ კონცერტზე პიანისტმა საკუთარი შესაძლებლობები მრავალმხრივ წარმოაჩინა. პირველ განყოფილებაში მოცარტის მეცამეტე სონატა და ფრანკის პრელუდია, ქორალი და ფუგა შესრულა. მეორე განყოფილება კი რომანტიკულ მუსიკას დაუთმო. ვაგნერის "იზოლდას დაღუპვა" (ლისტის მიერ ფორტეპიანოსთვის გადამუშავებული ფრაგმენტი "ტრისტანი და იზოლდადან") და ლისტის ეტიუდები: "მაზეპა" და "პეიზაჟი" ენერგიითა და ექსპრესიულობით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პირველი განყოფილების საკმაოდ იდილიური, ფაქიზი და დახვეწილი ინტერპრეტაციებისგან.

დასასრულს, ანდრეას სკურა "ბისზეც" გამოიხმეს. დარბაზი განსაკუთრებით მოხიბლა სკურასის თანამემამულის, ბერძენი მანოს ხაძიდაკისის პიესამ "უმთვარო ღამე", რომელიც კონცერტის დასავლეთ ევროპული პროგრამის შემდეგ, განსაკუთრებით უცხოდ ჟღერდა. კონცერტი თავისთავად უკვე შესანიშნავი მასტერკლასი იყო მომავალი შემსრულებლებისთვის. დარბაზში, მართლაც, ბევრი სტუდენტი იყო. ხვალიდან კი ეს უკანასკნელნი ანდრეას სკურასისაგან თეორიულ და პრაქტიკულ გაკვეთილებს უკვე მასტერკლასზე მიიღებენ.

# სამშვიდობო გვირაბი

### ახალი თავშესაფარი ალტერნატივის ნიშნით






ვახო ბესელიას ფოტოები

ვერა ნეფარიძე

*აქ არ შეიკრიბებიან ყოფილი და ახლანდელი ახალგაზრდა ბიუროკრატები; აქ მაინც არ დაუკრავენ ფონოგრამას – არასდროს! აქ შეიძლება მოვიდნენ მომავალი ბიუროკრატები, ოდესღაც გარდაუვალი რევოლუციის შემოქმედები, ისინი, ვინც ახლა ალტერნატიული ხელოვნების თაყვანისმცემლები არიან და განსხვავებული აზროვნების ნიშნით გამოარჩევენ საკუთარ თავს დანარჩენი საზოგადოებისგან. კლუბი "გვირაბი", ბოტანიკური ბაღის ასასვლელთან (ასათიანის ქუჩიდან) სწორედ ასეთ საზოგადოებას შეკრებს, დასაწყისისთვის კვირაში ერთხელ.*

თბილისური საკლუბო ცხოვრების მატიანედ ნამდვილად არ გამოვდგები. მე რომ კლუბებში სიარული დავიწყე, ერთი-ორ თაობას ეს საქმე უკვე გამოვლილი ჰქონდა. სად აღარ იკრიბებოდნენ სხვადასხვა დროისთვის განსხვავებული მუსიკის (რაც მხოლოდ მუსიკალური გემოვნების დონეზე არ დაიყვანებოდა) თბილისელი მსმენელები. ჩემი თაობის ადამიანებს უფრო 90-იანი წლების ამგვარი თავშესაფრები ახსოვთ. დამოუკიდებელ საქართველოში ასეთი არც ისე ცოტა იყო, თუმცა რამდენიმე მათ შორის, დღემდე განსაკუთრებულად რჩება. ესენია: "აურა" და UR. "აურამ" ცოტა ხანს იარსება, მაგრამ სახელი მხოლოდ თბილისში კი არ გაითქვა, არამედ "აურას" ევროპაშიც იცნობდნენ, როგორც კავკასიაში ყველაზე თავისუფალი და თანამედროვე ახალგაზრდების ერთადერთ თავშესაფარს. ყველაზე დიდხანს UR-მა იარსება, ლესელიძის ქუჩაზე. მაშინ, როდესაც დახურული დარბაზები ფონოგრამული მუსიკის კერად რჩებოდა, ეს კლუბი ერთადერთი იყო, სადაც საქართველოში მოქმედ ცოცხალ მუსიკოს-შემსრულებლებსა და კოლექტივებს შეეძლოთ შედარებით ფართო აუდიტორიის წინაშე გამოსვლა. ამ შემსრულებლებსა და კოლექტივებს შორის კი, ალბათ, არც ერთია ისეთი, ვისაც ერთხელ მაინც არ მოუხდა მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე ყველაზე ხმაურიან, ლადო ბურდულის სახლში გამოსვლა. ლადო უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ალტერნატიული ხელოვნების უერთგულეს ქომაგად რჩება.

სალონური ტიპის საღამოების პარალელურად ეს მუსიკოსი წლების განმავლობაში მართავდა მუსიკალურ ფესტივალებს, სადაც კავკასიელებთან ერთად მათი ევროპელი კოლეგებიც გამოდიოდნენ. რაც დრო გადის, ჩემთვის მით უფრო გამოცანად რჩება, როგორ შეეძლო ერთ ადამიანს თავი გაერთვა 2-3 დღიანი ფესტივალების ორგანიზებისთვის. ეს, ალბათ, იმის ბრალიცაა, რომ ბოლო დროს მოძალებულ ფესტივალებზე, ორგანიზატორთა სიმრავლის მიუხედავად, ხარვეზებიც საკმაოდ ბევრია. ვინც საქართველოში როკისა და ალტერნატიული მუსიკის განვითარებას თვალს ადევნებს, ალბათ, დამეთანხმება, რომ იმ ღონისძიებათა შორის, რაც უკანასკნელი თოთხმეტი წლის განმავლობაში გამართულა, რაოდენობრივად ყველაზე მეტი ჩვენს მეხსიერებას ლადო ბურდულის ორგანიზებული კონცერტები თუ ფესტივალები შემორჩა. მიზეზი მარტივია: ამ კონცერტებს უბრალო და გულწრფელი იდეები ჰქონდა ყოველთვის. ამ კონცერტებზე შეეძლო თბილისელ მსმენელს გაეცნო მუსიკოსები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, კავკასიისა თუ ევროპის ქვეყნებიდან. და მიუხედავად იმისა, რომ ეს კონცერტები ყოველთვის არაკომერციული იყო, აქ ჩამოსულთა შორის შეიძლება გავიხსენოთ ისეთი საინტერესო შემსრულებლები, როგორებიც არ მოუწვევიათ არც ერთ, ფინანსურად ბევრად უზრუნველყოფილ კონცერტზე. მოკლედ, იმის თქმა მინდოდა, რომ ორგანიზატორის გულწრფელ მონდომებაზე, მართლაც, ბევრი რამაა დამოკიდებული.

ქართული ალტერნატიული მუსიკის მამად აღიარებული ლადო ბურდულის უკანასკნელი წლების მონდომების საგანი კი კავკასიის საერთაშორისო როკფესტივალია, რომელსაც მუსიკოსი თბილისში წელს მეცხრედ მართავს. ფესტივალი კი თბილისში ახალი კლუბის – "გვირაბის" გახსნას ემთხვევა. ამ კლუბის შემოქმედიც, თავიდან ბოლომდე, ლადო ბურდულია.

ბოლო დროს ლადო ისე დუმდა (კონცერტებს კარგა ხანია, აღარ მართავს), ძნელი გამოსაცნობი არ უნდა ყოფილიყო, რომ რაღაცას ამზადებდა. უკანასკნელი თვენახევრის განმავლობაში მუსიკოსმა საკუთარი შემოქმედებითი ძალები ბოტანიკური ბაღის გვირაბში მიმდინარე სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს შეალია. სამაგიეროდ, 30 ოქტომბრიდან ამ გვირაბსა და მის ახლომდებარე ტერიტორიას მუდმივი სტუმრები არა "საეჭვო" მიზნებისთვის გამოიყენებენ. გვირაბში მდებარე კლუბს, ასევე, ერქმევა – "გვირაბი". აქ ალტერნატიული და ელექტრონული მუსიკის საღამოები გაიმართება, დასაწყისისთვის, კვირაში ერთხელ. კლუბი ოფიციალურად შაბათს, კავკასიის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის (რომლის დამაარსებელიც ლადო ბურდულია) ტრადიციული, რიგით მეცხრე, კავკასიის საერთაშორისო როკფესტივალით გაიხსნება.

"ფესტივალის მიზანია თანამედროვე მუსიკის შემსრულებელთა წარდგენა ამიერკავკასიის შიგნით (თუ მის ფარგლებს გარეთ) და ხელის შეწყობა მასში მომუშავე ნიჭიერ მუსიკოს-შემსრულებლების პოპულარიზაციაში, ექსპერიმენტებსა და ძიებებში; ხოლო, მეორე მხრივ, მსოფლიო მუსიკალურ ტელეარხებზე გაუკეთოს მათ წარდგენა, გააცნოს კავკასიის თვითმყოფადი თანამედროვე კულტურა, რომელიც მყარად არის დაფუძნებული ფოლკლორსა და თანამედროვე მუსიკალური მიმართულებების ძიებაში. ჩვენი ფესტივალი ერთი მხრივ, ემსახურება დემოკრატიისა და მშვიდობის თემას ისეთ ფეთქებად და ლოკალური კონფლიქტებით სავსე რეგიონში, როგორიც ამიერკავკასიაა. სადაც ერთად გამოდიან სომეხი, აზებაიჯანელი, რუსი, უცხოელი და ქართველი მუსიკოსშემსრულებლები. მეორე მხრივ კი, მსოფლიოს აცნობებს კავკასიურ თანამედროვე თვითმყოფად კულტურას, რაც თავისთავად ემსახურება კავკასიისა და საქართველოს პოპულარიზაციას, მის ახალი სახით წარდგენას იმ მილიონობით ტელემაყურებლის წინაშე, რომლებიც კავკასიას იცნობენ როგორც მხოლოდ საომარ, კონფლიქტურ, თუ ტერორისტული აქტების ზონას. ჩვენი ფესტივალის პარტნიორები მედიაში არიან ფრანგული მუსიკალური არხი MCM, აგრეთვე ინტერესს ავლენენ ჩვენი ფესტივალისადმი სხვადასხვა საინფორმაციო მაუწყებლობები, ჟურნალისტები უცხოეთიდან. ფესტივალი თხუთმეტი წლის განმავლობაში იქმნებოდა, სპონტანური კონცერტების სახით", - ამგვარად წარადგენს "კავკასიის თანამედროვე ხელოვნების ცენტრი" ფესტივალს, რომელსაც წელსაც ეყოლება სტუმრები კავკასიის რეგიონიდან ჩეჩენი და სომეხი მუსიკოსების სახით; ჩვენთვის კარგად ნაცნობთა შორის კი იქნებიან: "იანგ ჯორჯიან ლოლიტას", "მწვანე ოთახი", "ზუმბა", ბაკურ ბურდული, დი ჯეი ჟორჟიკა. ფესტივალის ტრადიციისამებრ, გვირაბის სცენაზე გამოვლენ ფართო საზოგადოებისთვის უცნობი მუსიკოსები, მათ შორის, საქართველოს რეგიონებიდანაც. მოკლედ, შაბათიდან თბილისში "ანდერგრაუნდი" ბრუნდება. რამდენად დროულია ეს ყველაფერი, ამას კლუბი "გვირაბის" პირველივე ღონისძიება გვაჩვენებს.

# უბისის ფრესკების გადასარჩენად

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს კომპლექსურ პროექტს უბისის ტაძრის ფრესკების გადასარჩენად. პროექტის მიზანია არა მხოლოდ ძეგლის არქიტექტურისა და ფრესკის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, არამედ ამ პროცესში არასახელმწიფოებრივი დოტაციების მოზიდვა, საზოგადოების მხრიდან ძეგლთა გადარჩენის საქმეში პასუხისმგებლობის ამაღლების ხელშეწყობა-დანერგვის გზით. უბისის ფრესკებს უკანასკნელი წლებია ემჩნევა მომატებული ტენიანობა, გათეთრება და ფერის დაკარგვა-დეფორმაცია. ეს საზიანო ვითარება გამოწვეულია ნესტის, წყლის მოძრაობისა და აორთქლების არარეგულირებადი პროცესით, რის მოგვარებასაც არქიტექტურული და გეოლოგიური კვლევები დასჭირდა. დღეისათვის სარეაბილიტაციო პროგრამის პირველი ნაწილი დასრულებულია. სამინისტროს უმთავრესი პარტნიორები არიან: საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი და მხატვრობის ტექნიკური კვლევების ცენტრი - ბეთანია. პირველი ეტაპის სამუშაოები შეასრულა ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ცენტრმა. სამინისტროს ინიციატივით ზამთარში გაგრძელდება სარეაბილიტაციო პროგრამის დამუშავება იტალიელ კოლეგებთან ერთად, გაზაფხულიდან კი ფიზიკური სამუშაოები განახლდება. პროგრამის პირველი ნაწილის მიმდინარეობასთან დაკავშირებით დღეს უბისაში მიემგზავრება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

*24 საათი*

# პრემიერ-მინისტრმა მუსკომედიის თეატრი მოინახულა

მუსკომედიის თეატრი, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა და ქართველმა ბიზნესმენებმა მოინახულეს. ისინი შესრულებული სამუშაოებით კმაყოფილნი არიან. ბიზნესმენების განცხადებით, გაზაფხულისთვის თბილისს საერთაშორისო სტანდარტების მუსიკალური ცენტრი ექნება. მუსკომედიის თეატრი გაზაფხულზე გაიხსნება. თეატრის დასმა პირველი სპექტაკლისთვის მზადება უკვე დაიწყო.

შეგახსენებთ: მუსკომედიის თეატრის შენობას სარეაბილიტაციოდ რამდენიმე თვის წინ 20-მდე ქართველმა ბიზნესმენმა გამოუყო თანხა.

*მედია-ნიუსი*

# იეზუიტი ბერის სულის წყვდიადი ეროვნულ გალერეაში

## წყვდიადი კი ბატონო, სადაა ნათელი?

სოფო კილასონია

ის, რომ უცხოელისთვის, მით უმეტეს, ევროპელისთვის საქართველოში ყველა კარი იოლად იღება, ისიც კი, რაც ქართველებისთვის ხშირად მყარადაა ჩარაზული - ახალი ნამდვილად არაა. ასე ხდება ყველა სფეროში, როგორც ჩანს, ხელოვნებაშიც. მაშინ, როდესაც ნებისმიერ სამხატვრო გალერეაში ნამუშევრების გამოფენის ერთი დღე ასობით დოლარი უჯდება მხატვარს (რაც დიდ სირთულეებს უქმნის ამ უკანასკნელს), ხოლო ეროვნული გალერეა მხოლოდ ღირსეულთა შორის რჩეულთა ხვედრია, ისიც სიცოცხლის ბოლოს ან სულაც მის შემდეგ, ბუნებრივია, რომ სარეკლამო აფიშა - "ანსელმო პერი 13 ოქტომბერი - 3 ნოემბერი სურათების ეროვნული გალერეა" ყურადღებას იქცევდა. ან კი როგორ შეიძლება მხატვრობის მოყვარულთა ინტერესი არ გამოეწვია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პატრონაჟით იტალიის საელჩოს მიერ მოწყობილ ჩვენთვის უცნობი, იტალიელი თანამედროვე მხატვრის გამოფენას თბილისის ყველაზე დიდ საგამოფენო დარბაზში.

გამოფენის გახსნაზეც მრავალმა უცხოელმა და ქართველმა მოიყარა თავი. მანამ, სანამ ექსპოზიციას გადაავლებდნენ თვალს, უსასყიდლოდ დარიგებულმა, მაღალი პოლიგრაფიული ნიშნით გამორჩეულმა, ანსელმო პერის სურათების ალბომმა (სახელწოდებით "ნათელი წყვდიადის მიღმა") და მშრალმა კერძებმა გაახალისა მისული საზოგადოება. შემდეგ ჩვეული საუბრები (როგორც ყოველთვის, იშვიათად მხატვრობაზე) და აღფრთოვანებული იტალიურ-ქართული შეძახილები. ამ საერთო არაჩვეულებრივ განწყობას კი ხალხის ის საკმაოდ დიდი გუნდი აგვირგვინებდა, რომელიც ერთ კუთხეში მიმჯდარ მხატვარს - ანსელმო პერის (ავტოგრაფების მისაღებად) ერტყა გარს. ამას კი მოსდევდა მხატვრობით დაინტერესებულ სტუმართა მცდელობა დაენახათ ყოფილი კომუნისტის, ათეისტის და ამჟამად იეზუიტების ორდენის წარმომადგენლის, კათოლიკე ბერის ნამუშევრები, სწორედ ის, რომლითაც (როგორც მისსავე წიგნის წინასიტყვაობაში ამოვიკითხეთ) იტალიის საელჩომ თბილისელებისთვის თანამედროვე იტალიური მხატვრობის გაცნობა გადაწყვიტა. არადა, თვალის ერთი შევლებითაც ჩანს, რომ პადრე ანსელმო არათუ თანამედროვეობაში ეძებს მისთვის ლოგიკურად აუცილებელ სულიერებას მხატვრობისათვის, არამედ საგულდაგულოდ ცდილობს საკუთარ ნამუშევრებს არქაული იერსახე მიანიჭოს, რაც ოსტატურად გამოსდის კიდეც. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ მსგავსი მცდელობები საფუძველშივე ახშობს ავტორისეულ ინდივიდუალობას, ხოლო სურათი "რომელიღაცა" ძველი ნამუშევრის ასლს ემგვანება. ასეთი



*ნათელი წყვდიადის მიღმა.*

შთაბეჭდილება იქმნება, თითქმის ყოველთვის და გარკვეულწილად ამ შემთხვევაშიც. თუმცა, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ამ გამოფენის შემდგომ პადრე ანსელმო პერის, მეტსახელად ნძერმუს, შემოქმედების სხვათა ნამუშევრებს შორის გარჩევა ამ გამოფენის მნახველთ გაუჭირდებათ.

სურათების ეროვნულ გალერეაში წარმოდგენილი მრავალი სურათის მიუხედავად, შორიდან ისინი თეთრი კედლების ერთნაირ შავ ლაქებად გვეჩვენებიან. მართლაც, მუქი კოლორიტი და მძიმე შესრულების მანერა, რემბრანდტის, ვან გოგისა და სხვა მრავალთა გავლენა ისაა, რაც ნძერმუს ყველა სურათს აერთიანებს და რაც "საკუთარი" გააჩნია (თუ შეიძლება ასე ითქვას) პადრეს. ფანერაზე სქლად დადებული ზეთის საღებავი კი ის მასალაა, რომლითაც იეზუიტი ბერი საკუთარ ბნელ სამყაროს იგონებს. სიმძიმე, რომელსაც ფერის გაუმჭვირვალობა, არა მუქი, არამედ ბნელი ფერები იწვევს, პირველია, რასაც მაყურებელი განიცდის. თუმცა, ამასაც აიტანდა გამოფენაზე ინტერესით მოსული ადამიანის თვალი, მას რომ საინტერესო მხატვრული სახეები, კომპოზიციური გადაწყვეტები და ან მხატვრის სიბრტყეზე აღქმული მომხიბვლელი იდეები ელოდეს წინ.

რელიგიური, მეტაფორულ-სიმბოლური თემები და პორტრეტები – ასე შეგვიძლია ზოგადად გამოვარჩიოთ ნამუშევრები, თუმცა რომ არა განმარტებითი წარწერები, ეს ნამდვილად გაგვიჭირდებოდა. ანსელმო პერის მხატვრულ სამყაროში ხომ ყველაფერი მეორდება – სილუეტები, კოლორიტული კომბინაციები, ჰორიზონტები. თანაც ისე ხშირად მეორდება ეს ყოველივე, რომ სურათების ერთიმეორისგან გარჩევა გვიჭირს. მხატვრული გადაწყვეტის გარდა, მრავალ ნახატს საერთო დრამატიზმი აერთიანებს. "ჩამოღვენთილ" საღებავებში მოციქულთა, ვაჭართა, ბოშათა თუ პატიმართა ლანდები და სახეები მოჩანან. სახეები, რომლებსაც თვალები არ აქვთ, თუმცა მაინც იყურებიან. მართალია, ეს დრამატიზმი რაღაც ეტაპამდე შთამბეჭდავია, თუმცა იმდენად განმეორებადი, "ამოწურულის" შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ იგი მხატვრის თვითმიზანი უფროა, ვიდრე მისი სულიერი, ემოციური განწყობა. მუქი წითელი, ყავისფერი, ოხრისფერი და შავი ის ფერებია, სადაც მხატვარი შიგადაშიგ ურევს მოთეთრო ყვითელ ლაქებს, რასაც მისი ალბომის წინასიტყვაობაში, ნძერმუს მხატვრობისადმი აშკარად არაობიექტური თეორეტიკოსი "წყვდიადის ნათელს" უწოდებს. წყვდიადი კი ბატონო, მაგრამ სადაა ნათელი? – იბადება პასუხგაუცემელი კითხვა. ის ღია ფერის ლაქები მის სურათებში ხომ თეთრი და ყვითელი საღებავებია და სხვა არაფერი. თუმცა, მხოლოდ ეს არ გვაოცებს ზემოაღნიშნულ ("ნათელი წყვდიადის მიღმა" - შესავალი) ტექსტში. ანსელმო პერის შემოქმედების შემფასებელი პადრეს მხატვრობას იმის გარდა, რომ "სულის მალამოდ" მოიაზრებს, ირიბად რემბრანდტისა და ვან გოგის მოსწავლეობასაც სწამებს. მაინც რა აიღო ჩვენმა თანამედროვემ მათგან? მხოლოდ ფორმალური მხარე და, შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში, კომპოზიციური გადაწყვეტა. უხეშად რომ ვთქვათ: მისი მონასმი და მასალა მასალად რჩება და ფორმად არ იქცევა, როგორც პირველის შემთხვევაში და ვერც მეორის ფერთა სინათლეს, "სიცხოველესა და ვნებას" ვხედავთ სადმე.

შესაძლოა, ანსელმო პერის ზოგიერთი სურათი ცალკე აღებული (თუნდაც საკმაოდ საინტერესო და გამორჩეული სერია "ხილვა წითელ პარასკევს", რომელიც მთელს დარბაზშია გაფანტულ-ჩაკარგული) ბევრად უფრო საინტერესო იყოს, ვიდრე მოცემული ექსპოზიცია საერთოდ, სადაც კარგად ჩანს, რომ ყოველი მხატვრული სახე, მეთოდი და იდეური გადაწყვეტა მხატვრის მთავარ მოტივად იქცა, მოტივი, რომელიც ყველგანაა და ამიტომაც ასე ღლის დამთვალიერებლის თვალს. ამას ემატება შეუსაბამობა ნამუშევრებსა და თავად მათ სათაურებს შორის და მრავალი კითხვა, მაგალითად: რა აიძულებს სასულიერო მოღვაწეს, კათოლიკე ბერს დახატოს "პატრიოტი", რომელიც ნახევრად ფანტასმაგორიულ, არასასიამოვნო ცხოველს ჰგავს, "ნათელი სამყარო" და "სამოთხე" - სადაც სრული ქაოსია და პორტრეტები, რომელშიც ადამიანთა სახეები უსულო ნიღბებს ჰგვანან, და კიდევ ერთი - რატომაა ყველგან წყვდიადი?

საინტერესოა, მაინც რა იგულისხმა წიგნის ავტორმა, როცა სათაურად მას "ნათელი წყვდიადის მიღმა" დაარქვა. მაინც რა უნდა დაინახოს თბილისელმა დამთვალიერებელმა იქ, სადაც სიბნელეა, მის მიღმა კი, უბრალოდ, სიცარიელე. ამაზე მსჯელობამ, შესაძლოა, შორსაც წაგვიყვანოს და პასუხიც ვერ გვაპოვნინოს. ასეა თუ ისე, 3 ნოემბერს სურათების ეროვნულ გალერეაში ერთიცა და მეორეც დასრულდება. დასასრულს კი, მას შემდეგ, რაც იტალიელთა მიერ მოწყობილ გამოფენაზე ამდენი ვიმსჯელეთ, ორიოდე სიტყვით კიდევ ერთ გამოფენას უნდა შევეხოთ, თანაც, აუცილებლად.

გალერეა "ბაიაში" უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს და დღესაც გრძელდება გამოფენა "კოლექციიდან კოლექციამდე", ექსპოზიცია ქართული მხატვრობის ყოველი თაობის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი წარმომადგენლის (გაბაშვილი... კაკაბაძე, ქიქოძე, ახვლედიანი, ფარჯიანი და სხვა) მეტად საინტერესო ნამუშევარს მოიცავს. შარდენზე მისულთ ნამდვილად ელით ჭეშმარიტი მხატვრობა და აშკარა "ნათელი ფერწერაში".

# სექს-სიმბოლოსა და ვაზის მიქსი

## ნანი კალიფორნიულად

თამარ ბაბუაძე

ქართული ღვინო ახლა იკიდებს ფეხს საერთაშორისო ბაზარზე და მას ნანის ვენახები აქვს გასაქაჩად. კალიფორნიული ღვინო უკვე გაქაჩულია, მაგრამ ვარსკვლავური ხიბლის შესანარჩუნებლად თუ გასამყარებლად საკუთარ ნანის ისიც მიმართავს – ნაპა ველიში ასხამენ ღვინოს მერილინის ვენახებიდან და ამით ერთმანეთს უკავშირებენ შტატის ორ სიამაყეს – უდიდეს სექს-სიმბოლოს, მერილინ მონროსა და ვაზის ნაჟურს.

ახალი სახეობა, ღვინო "მერილინი" კოლექციიდან "ველვეთ" გახლავთ. სხვათაგან ის ასაცლელი ეტიკეტით გამოირჩევა. კლიენტი შეიძენს ბოთლს, ფრთხილად ააცლის წებოთი დაკრულ ეტიკეტს და გამოაჩენს ქვეშ დამალულ ფოტოს, რომელზეც შიშველი მერილინ მონრო წითელი ფარდის ფონზე დგას და გულიანად იცინის. თითოეული ბოთლი საიმედოდაა შეფუთული, დანომრილია და 225 დოლარი ღირს.

ღვინო "მერილინს", დახვეწილი გემოს გარდა, კიდევ ერთი პლუსი აქვს. ზემოთ ხსენებული ფოტო ისტორიულია. ის გახლავთ სერიიდან "წითელი ველვეტი", რომელმაც მერილინ მონრო, ფაქტობრივად, ვარსკვლავად აქცია.

სურათი ტომ კელის სტუდიაშია გადაღებული, 1949 წელს, მაშინ, როცა მონრო ჯერაც უცნობი მსახიობი იყო. თომ ქელი მას ჰოლივუდში, სანსეტ ბულვარზე შეხვდა. გოგონა მცირე ავტოავარიაში მოხვდა და ქუჩაში დაბნეული იდგა, ქელიმ მას ხუთდოლარიანი მისცა, ტაქსისთვის და თავის სტუდიაში დაპატიჟა გადასაღებად. მერე მონრო შიშველი პოზიორობის იდეასაც სიამოვნებით დათანხმდა და ასე შეიქმნა ხსენებული "წითელი ველვეტის" სერია, რომლის საშუალებითაც, მერილინ მონრო მეოცე საუკუნის უდიდესი სექს-სიმბოლო გახდა. ქელის ფოტო ახლახან "ფლეიბოიმაც" გამოიყენა თავისი უზარმაზარი საიუბილეო ნომრისთვის...



*ღვინო მერილინ მონროსგან.*

თომ ქელის სტუდიას ახლა თითქმის აღარავინ იცნობს, მაგრამ, როგორც ხედავთ, თავის დროზე, ჰოლივუდური თანავარსკვლავედის ცენტრში ტრიალებდა. ეს ის დრო იყო, როცა მსახიობები თავად დადიოდნენ ფოტოსტუდიებში სურათების გადასაღებად, მათგან ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი კი მერილინი იყო.

დღეს საქმეს თომ ქელი უმცროსი განაგებს და საკმაოდ წარმატებულადაც. მან მოახერხა და "წითელი ველვეტის" სერიის პიკანტური ფოტოები სარფიანად გაყიდა –ჯერ შვეიცარიული არმიის დანებისთვის და მერე 1950-იანი წლების კალენდრებისთვის. ახლა უკვე საქმიანი პარტნიორების ამ ნუსხას ნაპა ველის ღვინოებიც შეუერთდა. ქელი ვარაუდობს, რომ ღვინის ბიზნესთან საქმის დაჭერა კიდევ უფრო ააყვავებს მის სტუდიას და მამის ფოტოარქივის მიმართ ინტერესსაც გაზრდის.

შიშველი მერილინ მონროს ეტიკეტის ქვეშ დაბეჭდვის იდეა კი ბევრს არ მოსწონს. ისინი ამბობენ, რომ მონროს სახელის ასეთი კომერციალიზაცია არ შეიძლება. თუმცა, ამ არგუმენტს ქელი ასე პასუხობს:

"მამაჩემს რომ ენახა თავისი ფოტო ღვინის ბოთლზე, ძალიან გაეხარდებოდა. ღვინის ბოთლზე გამოჩენა მერილინ მონროს იმიჯს სულაც არ ამდაბლებს. დღეს ხომ მისი თაყვანისმცემლების რიცხვი კიდევ უფრო დიდია, ვიდრე წინათ იყო. მათ კი მონროს ნახვა ყველგან სურთ".

ქელის შეხედულებას ჟურნალი "ვაინ სფექთეითორიც" იზიარებს. მისი მონაცემებით, "მერილინ მერლოს" ღვინის ბრენდი ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდია. კოლექცია "ველვეთი" მერილინის საშუალებით მალე ძალიან ძვირფასი სასმელი გახდება. "იდეა ძალიან ჭკვიანურია. თანაც ეს ორმხრივი სარგებელია – ღვინოს ეხმარება მონრო, ღვინო კი – მონროს საკუთარი იმიჯის გაცოცხლებაში", - აცხადებს კლარკ კიდერი, რომელსაც ვარსკვლავის შესახებ ხუთი წიგნი აქვს გამოცემული.

ღვინო "მერილინი" კი კაბერნესავინიონისა და მერლოს ყურძნის ნაზავია. ბოთლებზე "წითელი ველვეტის" სერიის ათი ფოტოა გამოყენებული. მათზე მერილინი სულ შიშველია, მაგრამ ბოთლების ამორალობის გამო სკანდალის ატეხვას არავინ აპირებს, ჯერჯერობით ფემინისტებიც დუმან, იმისდა მიუხედავად, რომ ნაპა ველის ღვინოები პირდაპირ ღაღადებენ – ღვინო და ქალი მამაკაცის წარმოსახვაში აი, ასეთ ასოციაციებს იწვევსო. "მერილინის" შემქმნელები კი იმედოვნებენ, რომ მათი წამოწყება, სწორედ ამ უნიკალური მიქსის გამო, წარმატებას მოიტანს. მათ ხომ, უბრალოდ, ძველი ჭეშმარიტება მერილინ მონროს სილამაზის შესახებ სათავისოდ გამოიყენეს და სექს-სიმბოლოც შესაფერისი იმიჯით წარმოაჩინეს – შიშვლად.

მოკლედ, ნანის ვენახების მოკრძალებული თუ მოსაწყენი, შავსა და მწვანეში გადაწყვეტილი ხიბლისგან განსხვავებით, მისი კალიფორნიული ვერსია გაცილებით უფრო მხიარული და სექსუალურიცაა. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელებმა გაცილებით უკეთ გამოიყენეს თბილისქალაქური "ღვინო, დუდუკისა და ქალების" კონცეფცია და დუდუკის გარეშე დანარჩენი ორი კომპონენტის გაზავება გემოვნებითა და ერთგვარი ვნებითაც შეძლეს. ქართველებმა კი ნანის ნანისავე ხიბლიც დაუკარგეს. ალბათ, საერთოდ არ იფიქრეს კონცეფციაზე, კერძოდ კი, იმაზე, თუ რის გამო ახსოვთ და უყვართ მომღერალი; ანდა მოუხდებოდა თუ არა საერთოდ ღვინოსა და ქალის აზრობრივ კავშირს ნანი ბრეგვაძის დარბაისლური იმიჯი; და თუ მოუხდებოდა (ვივარაუდოთ, იმიტომ, რომ ასეთივე დარბაისლური ღვინოს დაწურვა იყო ჩაფიქრებული და არა ისეთის, ხსენებულ ქალაქურ სიმღერაზე მისაყოლებლად რომ გამოდგება), როგორ, რა ფერებით შეიძლებოდა ამ კავშირის გადმოცემა და რატომღაც ამისთვის ნანი შავებში გამოაწყვეს.

...ალბათ, მიხვდებოდით, მერილინ მონრო მხოლოდ საბაბი და მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ შეიძლება კონკრეტული ვარსკვლავის კონკრეტული იმიჯის გამოყენება სრულიად განსხვავებული პროდუქტის რეკლამისთვის. სინამდვილეში კი ქართული რეკლამის ბედკრულობაზე მინდოდა, კიდევ ერთხელ დამეჩივლა, ღვინო ნანის ვენახებიდან ხომ ამის საუკეთესო მაგალითია...

### სამსონ ლეჟავას სვეტი

# ძველი თბილისი - უმაღლესი კულტურული ფასეულობის სრული დაუფასებლობა



დასრულდა პოსტრევოლუციური ეიფორიის დრო. ამჟამად ძალზე მნიშვნელოვანია პირუთვნელი პოზიციის გამოხატვა იმ უმწვავეს პრობლემებთან დაკავშირებით, რომელთა გადაუჭრელობაც საქართველოს კვლავ და კვლავ, სამარცხვინო ჩამორჩენილობას უქადის. ამ თვალსაზრისით, ერთი ყველაზე მტკივნეული მოვლენათაგანი ძველი თბილისის გაუთავებელი რბევა-აოხრება, მისი ამოძირკვის დაუოკებელი და შლეგური მიზანსწრაფვაა.

რამდენიც არ უნდა აღიმაღლონ ხმა ამ უმსგავსობის წინააღმდეგ კერძო პირებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მასმედიამ და სამწუხაროდ, შედეგთა მიხედვით, ჯერჯერობით სრულებით არაეფექტურად, რიგმა სახელმწიფოებრივმა უწყებებმაც, გადამწყვეტია მთლიანად ქვეყნის, საკუთრივ სახელმწიფოს დამოკიდებულება ძველი თბილისისადმი, რომელიც როგორც ადრე, ისე ამჟამადაც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. სწორედ კულტურის პოლიტიკის ფაქტობრივი არარსებობაა, ძველ თბილისს საბოლოო განადგურებას რომ უქადის – რაც უდიდესი დანაშაულია საკაცობრიო კულტურის წინაშე.

მაინც რა ფასეულობა ისპობა? უთუოდ იმგვარი, რომელიც დიდად სცილდება საქართველოსა და მთლიანად კავკასიის ფარგლებს. ის წარმოადგენს სწორედაც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის უაღრესად მნიშვნელოვან ფენომენს, ინფორმაციული სიღრმით სრულებით ტოლღირებულს ძველი ვენეციისა, პარიზისა, პეტერბურგისა, შანჰაისა თუ კაიროსი. ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა რახანია აღიარეს ძველი თბილისის უნივერსალური მნიშვნელობა, მაგრამ ქალაქი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ჯერაც ვერ აღმოჩნდა წლების მანძილზე ხელისუფლების სრული უგულისყურობის, მენეჯმენტის უქონლობისა და უგვან "მასშტაბურ" ახალმშენებლობათა გამო, რომელიც XX-XXI საუკუნეთა მიჯნის ბარბაროსობის უთვალსაჩინოეს მაგალითად დარჩება. ესაა თანამედროვე საქართველოს სავალალო სახე, ეჭვმიუტანლად რომ ნათელჰყოფს მძვინვარე აგრესიას კულტურისადმი, ტრადიციისა და სულიერი მემკვიდრეობისადმი.

თბილისმა ათეულობით საუკუნის უსასტიკეს დარტყმებს გაუძლო, მაგრამ მიუხედავად მრავალგზისი მიწასთან გასწორებისა, გამოავლინა საკვირველი სიცოცხლისუნარიანობა. უმთავრესია, რომ არ მომხდარა ტრადიციის წყვეტა - ვლინდებოდა მხოლოდ მისი სახეცვალება. XIX ს. და XX ს-ის დასაწყისშიც, ჩვენმა საქალაქო ხუროთმოძღვრებამ მოქნილად აითვისა ახლებური ევროპული ხუროთმოძღვრების ფორმები, ინტენსიურად გადაასხვაფერა გათავისებული აღმოსავლური ტრადიციები, და, პირველ ყოვლისა, კვლავაც წარმოაჩინა ეპოქის სავსებით შესატყვისი, მეტად ორიგინალური საკუთარი საალმშენებლო "ენა". აქ ჩამოყალიბდა უღრმესი ამქრული გამოცდილებისა და მაღალი რანგის სწავლული არქიტექტურის მართლაც უნიკალური სინთეზი.

თბილისი მდიდარია კლასიციზმის, ეკლექტიზმის, მოდერნის, ნეოკლასიციზმის ჩინებული მაგალითებითაც და ადგილობრივი ტრადიციის ამ მიმდინარეობებთან უჩვეულო დიალოგის გამომხატავი, პირველხარისხოვანი ნიმუშებითაც. თბილისური ეზო, აივანი, სადარბაზოს კარი, კიბე, ლითონისა თუ ხის ჭიშკრები – ყოველი ეს შემადგენელი, თბილისური "მაკროხუროთმოძღვრების", როგორც სისტემური მოვლენის მთლიანობაში, ზედმიწევნითაა ჩართული. თბილისის ხუროთმოძღვრება ორნამენტულ სტრუქტურათა განსაკუთრებული ნაირგვარობითა და ხარისხითაც გამოირჩევა. აქ ჩამოყალიბდა გახსნილობისა და მოფარგლულობის უიშვიათესი, პარადოქსული ბალანსიც, მაგრამ ეს ყველაფერი როდია. თბილისის უადრეს ტრადიციულ უბნებში, შემორჩენილია განაშენიანების ძველთაძველი "ტოპოგრაფია", ხვეულ ქუჩათა რთული ქსელი, რომელიც XIX საუკუნეშიც ცოცხალ ფენომენად დარჩა. ამდაგვარ "მაკროდისლოკაციას" ამჟღავნებს შენობათა ურთიერთგანპირობებული განთავსების ძირეული ლოგიკა, რომელსაც თავისი მრავალფუნქციური საფუძველი ჰქონდა – სადაც რელიეფზე მორგების, სათავდაცვო, ეკონომიკურ, ტერიტორიულ, მსოფლხედვით და ა.შ. სხვადასხვა რიგის, მაგრამ მჭიდროდ ურთიერთშეკავშირებულ ფაქტორთა მთელი წყება იჩენდა თავს. გარდა ნაგებობათა თავისთავადი პლასტიკურ-ხატოვანი ღირსებისა, სწორედ მათი შეკავშირების წესი, ბმა, უწყვეტი ურთიერთგანპირობებულობა სძენდა თბილისს განუმეორებლობას, ზოგან კი აღქმის მეტად სპეციფიკურ, თითქოსდა "კინემატოგრაფიულ" დინამიკას.

ძველმა თბილისმა მრავალგზისი გაპარტახების მიუხედავად, თავისი გეგმარება და განთავსება ჯერ კიდევ შეინარჩუნა. ახლაც კი მთლად ბოლომდე მომსპარი არ არის (მიწისძვრისა და უპატრონობის მიუხედავად) მისი "ფესვი" (ნანა ყიფიანი), რომელიც მრავალგან ტლანქად და უწყალოდ იქნა "ამოგლეჯილი" უფაქიზესი კონტექსტიდან. თანაც, არაერთგან ძველებური სარდაფებიც შემორჩა, რომელნიც XIX საუკუნემდელ თბილისზე ფასდაუდებელ მონაცემებს გვაწვდის (მაია მანია).

ამრიგად, ალაგ-ალაგ, თუგინდ კუნძულებად კიდევ გადარჩა თბილისის ბირთვი, რომლის ახალი "შედევრებით" დანაგვიანება და არსებითად სრული განადგურება გულში დანის ჩაცემის ტოლფასია ქალაქისათვის.

არანაკლები მნიშვნელობისაა დედაქალაქის უფრო მოგვიანებით აშენებული ის ნაწილები, რომელნიც ადამიანური მასშტაბით, მაღალი საალმშენებლო ოსტატობით, გარკვეული მულტიკულტურულობით, განუმეორებელი სითბოთი და კომუნიკაციურობით გვიზიდავს. ამ მყუდრო და თანადროულად ინტენსიურ გარემოში, ქალაქის ბირთვის თავისებურ გაგრძელებაში, ბოლო დრომდე შინაურად აღიქვამდი თავს. ახლა კი ეს არის დაქცევის პირას მისული სივრცე, სადაც ხშირად სოციალურ ნულად ქცეული ადამიანები იერით მიმზიდველ, მაგრამ დროებით და სახიფათო თავშესაფრებად ქცეულ სახლებში შეყუჟულან. მათი მომავალი მყიფეა, არამდგრადი, ხოლო სულიერი მდგომარეობა უაღრესად მძიმე. მოსახლეობის პრობლემათა მოგვარება კულტურული მემკვიდრეობის მოსპობის ხარჯზე კი სრულიად ამორალური და დაუშვებელია. აუცილებლად უნდა გამოიძებნოს ღირსეული, ცივილიზებული გამოსავალი ამ კრიზისული ვითარებიდან.

სახელმწიფომ (თუკი იგი ასეთად თვლის თავს), ბოლოს და ბოლოს, უნდა იტვირთოს ძველი თბილისის პრობლემის გადაწყვეტა. ესაა პოლიტიკური საკითხი, ესაა ქვეყნის პრესტიჟის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, რომლის მოუგვარებლობა საქართველოს ავტორიტეტისათვის ძალზე საზიანო იქნება. ხაზგასასმელია, რომ ძველი თბილისის გადარჩენაზე ზრუნვა არ გულისხმობს მის პასიურ შენარჩუნებას მხოლოდ "რომანტიკულ-ესთეტიკური მიზნებით", არამედ სულიერ ფასეულობათა სათანადოდ პატივმიგებისა და ფხიზელი პრაქტიციზმის შეხამებას. საქმე ისაა, რომ ძველი თბილისი პოტენციალურად ყველაზე მომგებიანი და მრავლისმომტანი ბიზნეს-სივრცეცაა - ცხადია სტრატეგიულად სწორად გათვლილი, შეუბღალავი ფუნქციური ადაპტაციის შემთხვევაში. ერთხელ და სამუდამოდ და კატეგორიულადაც უნდა გამორიცხოს ძველი თბილისის ბრწყინვალე ხუროთმოძღვრების განადგურება, მისი ყოვლად უზნეო, კრიმინალური ჩანაცვლება მახინჯი, ეკონომიკურად სრულიად უპერსპექტივო (მით უფრო მიწისქვეშა კომუნიკაციების ძალიან საშიში მოუწესრიგებლობისას) და "დღევანდელ კვერცხზე" უმეცრად გათვლილი, სარეველასავით მოდებული "გიგანტებით". თუკი ეს გადამწყვეტთაგანი ამოცანა დღევანდელი ხელისუფლების მიერ იქნება გაცნობიერებული, ეს მისი ცივილურობის დასტური აღმოჩნდება, ხოლო ამ ამოცანის გადაუწყვეტელობით იგი სრულებით არასახარბიელო ვერდიქტს გამოუტანს საკუთარ თავს. სხვა ალტერნატივა არც არსებობს. მაშინ ჩვენი პრეზიდენტის ხმამაღალი განცხადება ქართველთა "უძველეს ევროპელობაზე" მხოლოდ უნიადაგო, ლიტონ ფრაზადღა დარჩება.

ძველი თბილისის პრობლემებს შემდგომში სხვადასხვა კუთხით განვიხილავთ.

მოკლედ

## კიგანს მსაჯის შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ



ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ (FA) პრემიერლიგის კლუბის "მანჩესტერ სიტის" მთავარ მწვრთნელს კევინ კიგანს "მანჩესტერ სიტისა" და "ნიუკასლის" მატჩის მსაჯის შეურაცხყოფაში დასდო ბრალი. ამ თამაშში კიგანის გუნდი დამარცხდა (3:4).

მატჩის შემდეგ წაგებული გუნდის მწვრთნელმა საჯაროდ შეიტანა ეჭვი მსაჯის კომპეტენტურობაში და განაცხადა, რომ მსაჯის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა თამაშიც არასწორი გზით წარმართა.

ბრიტანეთის საინფორმაციო წყაროების ცნობით, კიგანს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მიერ დასმულ შეკითხვებზე 9 ნოემბრამდე მოუწევს პასუხის გაცემა.

## ბექჰემმა ვარჯიში დაიწყო

ინგლისის ეროვნული ნაკრების კაპიტანი და მადრიდის "რეალის" ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი 9 ოქტომბერს უელსის წინააღმდეგ თამაშის დროს მიღებული ტრავმის შემდეგ, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გამოჯანმრთელდა და ესპანური კლუბის ვარჯიშშიც მიიღო მონაწილეობა.

როგორც მოგეხსენებათ, ინგლისისა და უელსის ნაკრები გუნდების თამაშისას ბექჰემი უელსელ ბენ ტეტჩერს იმდენად უხეშად დაეჯახა, რომ ტრავმა მიიღო. მატჩის შემდეგ საავადმყოფოში მისულ ფეხბურთელს ნეკნის მოტეხილობის დიაგნოზი დაუსვეს.

ესპანური მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, ვარჯიშზე "რეალის" ინლისელმა ლეგიონერმა მხოლოდ 15 წუთი ირბინა და შემდეგ სატრენაჟორო დარბაზში დაბრუნდა. "ტრავმა ისევ მაწუხებს, მაგრამ მგონია, რომ ორი კვირის შემდეგ სრულიად ჯანმრთელი დავუბრუნდები სათამაშო მოედანს," - განაცხადა ბექჰემმა.

## ფორმანი ყავის კომპანიას უჩივის



კრივში სუპერმძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონმა ჯორჯ ფორმანმა ჩიკაგოს კომპანიას Karibu Foods სასამართლოში უჩივლა და თავისი ფოტოსურათის უკანონო გამოყენებაში დაადანაშაულა. ამ კომპანიის პროდუქციის რეკლამისთვის გაკეთებულ ფოტოზე ფორმანს ხელში ფინჯანი ყავა უჭირავს.

თავად ყოფილი ჩემპიონი აცხადებს, რომ არც Karibu Foods-ის წარმოებული ყავა გაუსინჯავს ოდესმე და არც კომპანიის მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე დათანხმებულა, რომელიც პროდუქციის რეკლამაში მონაწილეობას შეეხებოდა. ასე რომ, შეიძლება ყავის რეკლამაზე გამოსახული ჯორჯ ფორმანის ფოტოსურათი მონტაჟიც კი იყოს.

## რუნიმ ნაჩუქარ საათში თავადვე გადაიხადა ფული

უეინ რუნის საცოლემ კოლინ მაკლაფლინმა საქმროს დაბადების დღეზე ძვირფასი ნივთი აჩუქა (ამ დღეებში ფეხბურთელს 19 წელი უსრულდება), თუმცა, ფული არა საკუთარი, არამედ საქმროს ჯიბიდან გადაიხადა. მან 15 ათასი გირვანქა სტერლინგი მისცა "ფრანკ მიულერის" ფირმის საათში და საყვარელ ადამიანს "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "არსენალის" მატჩის წინა დღეს მიართვა.

"ფრანკ მიულერის" ფირმის საათი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. რამდენიმე დღის წინათ იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ ამ ფირმის საათი ამერიკის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს აჩუქა. ოქროსა და პლატინისგან დამზადებული საათი ბრილიანტის თვლებითაა გაწყობილი. ამიტომ, მიულერის თქმით, იგი ნამდვილად ღირს ის თანხა, რამდენადაც ყიდიან.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

ფეხბურთი

# მორიენტესი არსადაც არ მიდის

*შარშანდელი სეზონი ფერნანდო მორიენტესისთვის ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. ზაფხულში ის თავის მშობლიურ "რეალს" დაუბრუნდა და თითქოს ყველაფერი კარგად უნდა ყოფილიყო. თუმცა, სამეფო კლუბმა მაიკლ ოუენის სახით კიდევ ერთი თავდამსხმელი შეიძინა და მორიენტესის საქმეებიც გართულდა. სასტარტო შემადგენლობაში ის ჯერ არც ერთხელ არ გამოჩენილა. სასტარტოს ვინ ჩივის, შეცვლებზეც მეტისმეტად იშვიათად უწევს გამოსვლა. ასეთმა ვითარებამ ძალაუნებურად წარმოშვა ჭორები იმის შესახებ, თითქოს მორიენტესს ისევ მოუწევს "რეალის" დატოვება. იმასაც ამბობენ, ფერნანდო "ლივერპულში" აპირებს გადასვლასო.*
*თუმცა, თავად ფეხბურთელი და კლუბის ხელმძღვანელობა ამ ინფორმაციას უარყოფენ. პრეზიდენტი პერესი აცხადებს, რომ "მორიენტესი არ იყიდება". თავად ფერნანდოს აზრს კი ქვემოთ შეიტყობთ.*



*მორიენტესი მადრიდის მიტოვებას არ აპირებს.*

**- გაღელვებთ თუ არა ის ფაქტი, რომ ყველა გუნდიდან თქვენი შესაძლო წასვლის შესახებ ლაპარაკობს?**

- დიახ. თანაც, ყველას ჰგონია, რომ გუნდიდან წასვლის შესახებ განცხადებებს თავად მე ვაკეთებ. ეს არ არის მართალი, მე ბედნიერი ვარ მადრიდში. ვნახოთ, რამდენად პატიოსნები არიან ეს ადამიანები, რომლებიც ჩემი სახელით ლაპარაკობენ და სრულიად არ აინტერესებთ, თუ რას ვფიქრობ სინამდვილეში. მე მშვიდად ვარ, კლუბიდან წასვლას ნამდვილად არ ვაპირებ.

**- მაგრამ თქვენ გაქვთ წინადადებები...**

- როდესაც ამა თუ იმ გუნდს ფეხბურთელები აკლია, ცხადია, ისინი აკვირდებიან იმ ფეხბურთელებს, რომელთაც იშვიათად უწევთ თამაში. ის, რომ სხვა გუნდები ჩემით დაინტერესდნენ და მათგან წინადადებებს ვიღებ, დიდი პატივია ჩემთვის, თუმცა, "რეალში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

**- კამაჩომ გთხოვათ, რომ გუნდში დარჩენილიყავით, რადგან თქვენი იმედი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ მოვიდა ოუენი...**

- მსგავსი რამეები ფეხბურთშიც ხდება და ცხოვრებაშიც. დღევანდელი დღით უნდა იცხოვრო. ვინც ამას არ აკეთებს, თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენის საფრთხე ემუქრება. ჩემს ირგვლივ შექმნილი ვითარება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ცხოვრებაში არაფრისგან არ ხარ დაზღვეული, თუმცა, ეს სიძნელეები უნდა გადალახო. არ ველოდი, რომ მოვლენები ასეთი სცენარით განვითარდებოდა, მაგრამ დანებებას არ ვაპირებ.

**- ჩავარდნები თუ გახასიათებთ?**

- არა, იმიტომ რომ უდიდესი ენთუზიაზმით ვვარჯიშობ, სახლში მისვლის შემდეგ კი ბოლომდე ვითიშები. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვიფიტებოდი. ჩემი პროფესიით სიამოვნებას ვიღებ მანამ, სანამ ორგანიზმი არ დაიღლება.

**- იმედგაცრუებული ხართ?**

- ის, რაც ფეხბურთის ირგვლივ ხდება, ნაკლებად მაღელვებს. მე მხოლოდ საფეხბურთო მოედანი და მეტოქის კარი მაინტერესებს. ყველაფერი დანარჩენი არ შედის ჩემი ინტერესის სფეროში. საუკეთესო ფეხბურთელები საუკეთესო გუნდებს ქმნიან და მე ერთ-ერთ ასეთ გუნდში ვთამაშობ.

**- რას იტყვით იმაზე, რომ კლუბი თქვენს გაყიდვას არ აპირებს?**

- ვფიქრობ, ყოველთვის კარგია, როდესაც ხელმძღვანელობა თავის ხელქვეითს ნდობას უცხადებს. ვარაუდობენ, რომ აქ კონტრაქტის ამოწურვამდე ვითამაშებ, რაც ჩემი დიდი სურვილიცაა.

**- რას იტყვით თქვენს გარემოცვაზე?**

- არაფერს. რა უნდა თქვან მათ? ჩემს ირგვლივ მყოფი ადამიანების სურვილია, მე გამუდმებით ვითამაშო.

**- სათამაშო პრაქტიკის უქონლობა ნაკრებში მოხვედრის შანსს შეგიმცირებთ...**

- თავდაპირველად კლუბის ძირითად შემადგენლობაში უნდა მოიპოვო ადგილი, შემდეგ კი ნაკრებში. ნაკრებში გამოძახება პრობლემა იქნება, თუ შენ სათამაშო პრაქტიკა არა გაქვს. ეს მე კარგად მესმის.

**- თქვენ თავდამსხმელი ხართ. საინტერესოა, როგორ აღიქვამთ იმ ფაქტს, რომ თქვენს გუნდს ასე იშვიათად გააქვს გოლები?**

- ეს, მართლაც, კურიოზია, რადგან ნათლად ჩანს გუნდის პოტენციალი, ნახევარდაცვის პოტენციალი, რომელმაც თავდამსხმელებს უნდა მიაწოდოს ბურთი. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ გუნდს ასე ცოტა გოლი აქვს გატანილი.

# დინამოელი



ოლეგ რომანცევი მოსკოვის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი გახდა. ეს ინფორმაცია კლუბის პრეს-ატაშემ ალექსანდრ ლვოვმა გაავრცელა. მოსკოვის "სპარტაკისა" და რუსეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი "დინამოში" სამი წლის განმავლობაში იმუშავებს.

კლუბის ოფიციალური საიტი იტყობინება, რომ სამშაბათს, დილის ვარჯიშის დროს, ნოვოგორსკის ბაზაზე "დინამოს" გენერალურმა დირექტორმა იური ზავარზინმა ფეხბურთელებს ოლეგ რომანცევი გუნდის მთავარი მწვრთნელის რანგში წარუდგინა. მას დაეხმარებიან გონტარი, ნიკულინი, კობელევი. რაც შეეხება ვიქტორ ბონდარენკოს, ის თავის მომავალ გეგმებში ჯერ არ გარკვეულა და შეიძლება კლუბი დატოვოს.

სეზონის დასრულებამდე "დინამოს" მწვრთნელად რომანცევის დანიშვნის შესახებ ინფორმაცია ადრეც ვრცელდებოდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც 16 სექტემბრიდან მწვრთნელი, რომელსაც რუსული ფეხბურთის ბოლო ათწლეულის წარმატებები უკავშირდება, მეორე მოსკოვურ გუნდ "სპარტაკში" მუშაობისას, მოსკოვის "დინამოს" კონსულტანტად დაინიშნა.

თუმცა, ამ ცნობამ "დინამოს" კლუბის ხელმძღვანელობა არ გაახარა. იმ დროისთვის კლუბსა და რომანცევს შორის თანამშრომლობის არავითარი დოკუმენტი არ არსებობდა. იყო მხოლოდ წინასწარი შეთანხმება. ალექსანდრ ლვოვმაც განაცხადა, რომ სეზონის ბოლომდე რომანცევი მწვრთნელ-კონსულტანტად დარჩება.

"სეზონის ბოლომდე რომანცევი მწვრთნელ-კონსულტანტის ხარისხს არ შეიცვლის, - ამბობს ლვოვი, - შემდეგ კი, არ არის გამორიცხული, ის გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდეს. თუმცა, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ შეძლებს კლუბი ურთულესი ამოცანის გადაწყვეტას - პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებას. და, რაც მთავარია, ისურვებს თუ არა ოლეგ რომანცევი, სათავეში ჩაუდგეს გუნდს. სეზონის ბოლომდე ის სიტუაციას დააკვირდება".

მოვლენები კი იმგვარად განვითარდა, რომ რომანცევს აღარ მოუხდა დიდხანს დაკვირვება. ის "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ვიქტორ ბონდარენკოს ნაცვლად დაინიშნა. ბოლო ტურებში გუნდი იმდენად ცუდად თამაშობდა, რომ საერთოდ გაუგებარი გახდა, რა საჭირო იყო ჩეხი გჟებიკის გათავისუფლება. უარესად არც ის წარმართავდა საქმეს.

მას შემდეგ, რაც ბონდარენკო კლუბს ჩაუდგა სათავეში, მოსკოვის "დინამოს" მფლობელი შეეცვალა. კლუბის პრეზიდენტი გახდა ბიზნესმენი ალექსეი ფედორიჩევი, რომელმაც ამბიციური გეგმები გამოაქვეყნა და ხმამაღლა განაცხადა, რომ მზად არის, კლუბის განვითარებისთვის სერიოზული ინვესტიციები დააბანდოს. ბონდარენკო კი ახალ ამოცანას აშკარად არ შეესაბამებოდა. ამჟამად გუნდი სატურნირო ცხრილში მე-14 ადგილზეა და გასავარდნ ზონასთან მხოლოდ ოთხი ქულა აშორებს.

დარჩენილ სამ მატჩში "დინამოს" ადგილის შესანარჩუნებლად "როტორთან", "ყუბანთან" და "როსტოვთან" მოუწევს ჭიდილი. ამას წინათ მთავარი მწვრთნელი შეიცვალა "ყუბანმაც". რომანცევის დანიშვნა ამ მოვლენას, ალბათ, არ უკავშირდება. თუმცა, მწვრთნელის შეცვლას გუნდის თამაშში გარკვეული გამოცოცხლება სდევს თან და ამის ხარჯზე შეიძლება "ყუბანმაც" უშველოს თავს. ასეთ მდგომარეობაში "დინამოსთვის", უბრალოდ, დაზღვევა იყო საჭირო და კლუბმაც ადეკვატური ნაბიჯი გადადგა.

მით უფრო, რომ რომანცევი სწორედ თავისი ემოციური ხასიათით არის ცნობილი, რომელსაც ფეხბურთელების შეჯანჯღარება შეუძლია. ავის მსურველებს შეუძლიათ შენიშნონ, რომ რომანცევს კლუბის გადარჩენისთვის არასოდეს უბრძოლია, ამიტომ მას ამგვარი გამოცდილება არა აქვს. "სპარტაკში" მოღვაწეობის პერიოდში ის მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოდა. თუმცა, მწვრთნელისთვის ახლობელია სიტუაცია, როცა საჭიროა, ყველა მატჩში შედეგი მიიღოს. ასეთი პერიოდი ერთხელ უკვე იყო მწვრთნელის ცხოვრებაში. 1998-1999 წლებში, შესარჩევ ტურნირში წარუმატებელი სტარტის შემდეგ რომანცევმა რუსეთის ნაკრები კინაღამ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა.

"დინამოში" მუშაობა რომანცევს კიდევ იმიტომ უნდა გაუიოლდეს, რომ ის კლუბში თავის ძველ ნაცნობთან, სპარტაკელ იური ზავარზინთან ერთად იმუშავებს. სახალხო გუნდში მუშაობის პერიოდში ამ ტანდემის მოღვაწეობა წარმატებული იყო. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, თვალი მივადევნოთ ოლეგ რომანცევის მუშაობას მოსკოვის "დინამოში".

ჭადრაკი

# ქალებმა სამეულს უწიეს

საჭადრაკო ოლიმპიადაზე მეათე ტურის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა საქართველოს ქალთა ნაკრებმა. შვედეთის გუნდის მშრალზე დამარცხებით (3:0) ქართველებმა სამეულში შეაბიჯეს და ახლა 19,5 ქულით მე-3 - მე-5 ადგილებს იყოფენ ამერიკელებთან და ინდოელებთან. ამასთან, მეორე ადგილზე მყოფ უნგრეთის ნაკრებთან სხვაობა მხოლოდ 0,5 ქულაა. გუშინ ქართველი ქალები სწორედ ინდოეთის ნაკრებს ხვდებოდნენ.

უარესადაა ვაჟების საქმე. ერთ დროს მერვე ადგილზე მყოფი გუნდი, რომელიც 2 ქულით ჩამორჩებოდა მესამეადგილოსანს, ახლა 23,5 ქულით მე-19 - 23-ე იყოფს და მესამე ადგილზე მყოფისგან ჩამორჩენაც სამ ქულამდე გაიზარდა. ეს იმ დროს, როცა ოლიმპიადის დასრულებამდე სამი ტურიღაა დარჩენილი. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ მეათე ტურში ქართველებს უგრეთის ნაკრები ჰყავდათ მეტოქედ და შეხვედრაც ყაიმით - 2:2 დასრულდა. გუშინ ქართველთა მეტოქე იყო ბელორუსის ნაკრები, რომელსაც, საქართველოს ნაკრების მსგავსად, 23,5 ქულა ჰქონდა მოპოვებული.

რაგბი

# ქართველები სამხრეთში

## რუსეთთან მატჩისთვის მზადება დღეიდან იწყება

პაატა თოთაძე

რუსეთ-საქართველოს სარაგბო დაპირისპირებამდე სამ კვირაზე მეტია დარჩენილი, მაგრამ საინფორმაციო ბრძოლა უკვე დაიწყო. ქართული რაგბის მხარდამჭერი საიტის სატიტულო გვერდზე ცოტა ხნის წინათ გაჩნდა ბანერი, საქართველო რუსეთის არმიის გარეშე და ამის მსგავსი. საიტზე შესულები კიდევ არაერთ საინტერესოს აღმოაჩენთ, ვფიქრობთ, ზოგჯერ ზედმეტს და უადგილოს. ყოველ შემთხვევაში, მსუქანი ქალების ფოტოს გაშვება მინაწერით "ყრატ ნადო მენშე" არაფერს გვმატებს.

ამას, ბუნებრივია, უმალ მოჰყვა რეაქცია რუსების მხრიდან, თანაც, მათთვის დამახასიათებელი - მაგათ დენი და გაზი უნდა გავუთიშოთ და მერე ნახავენ, ვინ რას წარმოადგენს. ეს კიდევ რბილადაა ნათქვამი, თორემ უარესსაც ნახავთ. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც ამგვარს არ კადრულობენ და სხვებსაც გონიერებისკენ მოუწოდებენ. ერთი სიტყვით, როგორც აქამდე ხდებოდა, თამაშის წინ ერთმანეთს არ ინდობენ და ამ დაპირისპირებისადმი ინტერესი ამიტომაც ორმაგად იმატებს ხოლმე. ჰოდა, სატურნირო მდგომარეობის გარდა იმიტომაც ვესწრაფით ასე ერთმანეთის დამარცხებას. წლეულს ეს ერთადერთი მატჩი იქნება ნაკრების მონაწილეობით, დანარჩენები მომავალ წელს გაიმართება. რუსეთი რუსეთად და სატურნირო თვალსაზრისით ბორჯღალოსნებს თებერვალსა და მარტში ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელით - 5 თებერვალს პორტუგალიასთან და 12 მარტს რუმინეთთან. პორტუგალიასთან მატჩის გამართვა თავდაპირველად მარტში იყო ნავარაუდევი, მაგრამ პორტუგალიელთა თხოვნით თარიღმა 5 თებერვლისთვის გადაიწია. არადა, ჩვენს გუნდს თებერვალში სამხრეთ აფრიკაში უწევს სტუმრობა და პორტუგალიასთან თამაში, ალბათ, ამის მერე უფრო სასურველი იყო.

დღეს საქართველოს ნაკრები სამხრეთ ამერიკაში მიემგზავრება. ბორჯღალოსნები 30 ოქტომბერს ურუგვაის, ერთი კვირის შემდეგ კი ჩილეს ნაკრებს შეხვდებიან და შინ 9 ნოემბერს დაბრუნდებიან. ამ დროისთვის ჩამოვლენ ფრანგი ლეგიონერებიც, რომლებიც გუნდს სამხრეთამერიკულ ტურნეზე ვერ გაყვნენ (ორის გარდა) და ნაკრებიც უკვე მთელი დატვირთვით დაიწყებს მზადებას რუსებთან მოახლოებული მატჩისთვის. ნაწილობრივ მზადება უკვე დღეს იწყება, სამხრეთ ამერიკაში წამსვლელთაგან ხომ ბევრს მოუწევს 20 ნოემბერს რუსების წინააღმდეგ თამაში. სამხრეთ ამერიკაში ნაკრების მწვრთნელებმა მალხაზ ჭეიშვილმა და დავით ჩავლეიშვილმა 26 მოთამაშე წაიყვანეს:

*შერკინების პირველი ხაზი:* აკაკი სანაძე (ლოკომოტივი), ნიკო ჭავჭავაძე (ყოჩები), მიხეილ სუჯაშვილი და ირაკლი ნინიძე (ენისეი, რუსეთი), დავით ზირაქიშვილი (ობენი, საფრანგეთი), დავით გასვიანი (შალონი, საფრანგეთი)

*მეორე ხაზი:* მამუკა გორგოძე, სანდრო მჭედლიშვილი, ზაზა ვალიშვილი, არჩილ კოპალეიშვილი (ყველა ლელო)

*მესამე ხაზი:* ბექა სარდანაშვილი (ლელო), დავით ბოლღაშვილი და როინ ჩიკვაიძე (იმედი L - აკადემია), ბესიკ უდესიანი (შალონი, საფრანგეთი), ზვიად მაისურაძე (უოლსოლი, ინგლისი)

*შერკინების ნახევარმცველი:* ბიძინა სამხარაძე (უოლსოლი, ინგლისი), ვახტანგ ფაილოძე (ყოჩები)

*თავისუფალი ნახევარმცველი:* მერაბ კვირიკაშვილი და ოთარ ბარკალაია (ლელო)

*უკანა ხაზი:* გიორგი შკინინი (ხულიგანა), გიორგი ელიზბარაშვილი, მალხაზ ურჯუკაშვილი, ირაკლი მაჩხანელი (იმედი L - აკადემია), ზვიად კობერიძე, ლექსო გუგავა (ლოკომოტივი), ლაშა ფირფილაშვილი (ლელო).

რაც შეეხება რუსეთის ნაკრებს, ჩვენი მეტოქე დღეიდან იწყებს მზადებას. უფრო სწორად, დღეს უნდა შეიკრიბონ მორაგბეები, ვარჯიშს კი ხვალიდან დაიწყებენ. რამდენიმე დღეში რუსები საფრანგეთს გაემგზავრებიან, სადაც შეკრებას გაივლიან და ორ ტესტ-მატჩსაც გამართავენ იქაურ კლუბებთან. საფრანგეთშივე გადაწყდება შემადგენლობის პრობლემებიც. რამდენიმე რუსი მორაგბე უარს ამბობს ნაკრებში თამაშზე და, როგორც კავშირის ხელმძღვანელობა აცხადებს, ეს საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება. მათ შორის არიან სერგეევი და გრაჩოვი, დღეისთვის საუკეთესო რუსი მორაგბეები. ერთადერთი, რაც ცნობილია და წყალი არ გაუვა, ის არის, რომ დიატლოვი არ ითამაშებს. მან უარი განაცხადა თამაშზე იმ მოტივით, რომ ტრავმა აქვს და სამკურნალოდ დრო სჭირდება.

კრივი

# კლიჩკო კაზინოში იჩხუბებს

გაირკვა კრივის მსოფლიო საბჭოს ვერსიით (WBC) მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის დრო და ადგილი. უკრაინელი ვიტალი კლიჩკო ბრიტანელ დენი უილიამსთან მატჩში დაიცავს ტიტულს. ეს 11 დეკემბერს ლას-ვეგასში მოხდება. ბრძოლას კაზინო Mandalay Bay უმასპინძლებს.



კლიჩკო ვილიამსთან საბრძოლველად ემზადება.

კრივის მსოფლიო საბჭოს კონგრესმა, რომელიც ტაილანდში გაიმართა, თავისი ჩემპიონი ვიტალი კლიჩკო გაათავისუფლა პირობისგან, რომ ჩემპიონს ექვსი თვის განმავლობაში უნდა დაეცვა ტიტული. ეს გადაწყვეტილება იმით იყო ნაკარნახევი, რომ ჩემპიონობის ოფიციალური პრეტენდენტი ჯეიმს ტონი 23 ნოემბერს რუდელ ბუკერთან მატჩში დაშავდა და გამოსაჯანმრთელებლად უფრო მეტი დრო მოითხოვა.

WBC-ის რეიტინგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტონი პირველ ადგილზეა, მაგრამ ამ შემთხვევის შემდეგ სარეიტინგო კომისიამ გადაწყვიტა, პრეტენდენტის ადგილი ვაკანტურად ეცნო და მის გამოსავლენად მინიტურნირი მოეწყო. სწორედ ამ ტურნირის გამარჯვებული გახდებოდა ვიტალი კლიჩკოსთან შეხვედრის უმთავრესი და ოფიციალური კანდიდატი.

პრინციპში, ვიტალისთვის არავის დაუშლია ტიტულის კეთილი ნებით დაცვა, თუ უკრაინელი ასეთ სურვილს მაინც გამოთქვამდა. აქ ერთადერთი პირობა ის იქნებოდა, რომ კლიჩკოს მეტოქე რეიტინგის მიხედვით პირველ 15 კაცში უნდა ყოფილიყო. არჩევანი შეჩერდა 31 წლის ბრიტანელ დენი უილიამსზე, რომელმაც ამას წინათ თვით მაიკ ტაისონი დაამარცხა.

ის, რომ ვიტალი კლიჩკო დენი უილიამსს შეხვდებოდა, ჯერ კიდევ 10 სექტემბერს იყო ცნობილი, როცა კლიჩკომ და უილიამსის პრომოუტერმა ფრენკ უორენმა ლოს ანჯელესში ამ მატჩზე კონტრაქტს მოაწერეს ხელი. თავიდან ვარაუდობდნენ, რომ ბრძოლა 7 დეკემბერს ნიუ იორკის Madison Square Garden-ში გაიმართებოდა, თუმცა, გუშინ ცნობილი გახდა, რომ მატჩი ოთხი დღით გვიან, ოღონდ სხვა ქალაქში - ლას ვეგასის კაზინო Mandalay Bay-ში, ყველა დიდი ბრძოლის ტრადიციულ არენაზე გაიმართება.

ამას წინათ ვიტალი კლიჩკომ და დენი უილიამსმა ამერიკელი ჟურნალისტებისთვის გამართეს სატელეფონო პრესკონფერენცია, რომელზეც მედიას მომავალი ბრძოლის შესახებ უამბეს. უილიამსმა თქვა, რომ ამ ბრძოლისთვის მზადების პროცესი ჯერ კიდევ ოთხი კვირის წინ დაიწყო და ამჟამად უკეთეს ფორმაშია, ვიდრე მაიკ ტაისონთან შეხვედრამდე.

უილიამსის თქმით, მისი ბევრი თანამემამულე მიიჩნევს, რომ ის ამერიკიდან ჩემპიონის ქამრით დამშვენებული დაბრუნდება, თუმცა ბუკმეკერული კანტორები სხვაგვარად ფიქრობენ. მათ ფსონებში კლიჩკო აშკარა ფავორიტია.

ვიტალიმ კი აღნიშნა: ბედნიერია, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ რინგზე რომ ბრუნდება და ქომაგებს შეჰპირდა, რომ ბრძოლისთვის საუკეთესო ფორმაში იქნება. მან აღიარა, რომ კორი სანდერსთან ბრძოლის დროს ორივე ხელის მტევანი დაიზიანა, თუმცა, ახლა თავს კარგად გრძნობს და ამ კვირაში ვარჯიშსაც დაიწყებს.

კლიჩკოს თქმით, ის თვალს ადევნებს დენი უილიამსის სპორტულ კარიერას და იცის, რომ ძლიერი მეტოქეა. ამ დროისთვის კლიჩკოს უილიამსის მრავალი ბრძოლის ვიდეოჩანაწერი აქვს ნანახი და შესწავლილი. ამიტომ კარგად იცის, თუ რას უნდა ელოდოს მისგან. "ჩემპიონის ტიტულის დაუფლება რთული საქმეა, მაგრამ მისი შენარჩუნება უფრო ძნელია, - განაცხადა კლიჩკომ, - უილიამსთან ბრძოლაში მინდა, წარმოვადგინო ყველაფერი, რისი გაკეთებაც შემიძლია. ეს, რასაკვირველია, გამიჭირდება, მაგრამ მსურს ყველას დავანახო, რომ უილიამსზე ძლიერი მოკრივე ვარ და, შესაბამისად, მაიკ ტაისონზე ძლიერიც გახლავართ. ეს რთული ამოცანაა, მაგრამ მე მზად ვარ, ამოვხსნა იგი".

თავის მხრივ, უილიამსმა აღნიშნა: "მე ჩემი ნიჭისა და თავის რეალიზაცია სწორედ იმიტომ ვერ მოვახერხე, რომ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის დიდ ტვირთს ვიღებდი და რინგზე დაძაბული გამოვდიოდი, - განაცხადა დენი უილიამსმა, - ახლა ნერვების მოთოკვა ვისწავლე და რინგზე მშვიდად, ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე გამოვდივარ. მე ტაისონის დამარცხებისთანავე დავბრუნდი საწვრთნელ დარბაზში და ამ ბრძოლას უაღრესად სერიოზულად მივუდექი. მე ტაისონზე გამარჯვებისგან მიღებული დიდება არ მყოფნის. მე მეტი მსურს. ერთადერთი საშუალება, რაც უფრო მეტ დიდებას მომიტანს, ვიტალი კლიჩკოზე გამარჯვებაა და მე სწორედ ამას ვაპირებ".

შეგახსენებთ, რომ კლიჩკოსთან ბრძოლის სურვილი რუსმა ნიკოლაი ვალუევმაც გამოთქვა. თუმცა, ეს ბრძოლა, ალბათ, უახლოეს მომავალში არ გაიმართება, რადგან სატიტულო ბრძოლა უკრაინელ გიგანტს დეკემბრისთვის აქვს დაგეგმილი.

ფორმულა 1

# სამეფო რბოლების დარდიმანდული

*სამეფო რბოლების ბოლო ეტაპის, "ბრაზილიის დიდი პრიზის" დამთავრების შემდეგ, ტრადიციისამებრ, საჯინიბოებმა და მათმა მესაჭეებმა ლაზათიანად მოულხინეს. თუმცა, "ინტერლაგუშის" წვეულებაზე მარტო მოღიმარ სახეებს როდი ნახავდით. წარმოიდგინეთ ორი წვეულება: ერთი დადარდიანებულთათვის და მეორე – უფრო დადარდიანებულთათვის. პირველი წვეულება "მაკლარენ-მერსედესთან" შოტლანდიელი დევიდ კულტჰარდის გამოსათხოვარი გახლდათ, მეორე კი – მასპინძელ რუბენს ბარიკელოსი.*

გიგა გურასაშვილი

შოტლანდიელის დაღვრემილობა გასაგებია – საჯინიბოს ეთხოვება. აი, ბარიკელოს კი ის ადარდებდა, რომ მშობლიური "ინტერლაგუშის" ფინიშის ხაზი პირველმა ვერ გადაკვეთა. ამდენწლიანი სტაჟის მერე მისთვის ისევ აუხდენელ ოცნებად რჩება სამშობლოში გამარჯვება. მართალია, წლევანდელი მესამე ადგილით საკუთარი შედეგი გააუმჯობესა, მაგრამ ოცნებისთვის ეს ვერაფერი ნუგეშია. ოცნებად კი, როგორც გითხარით, "ინტერლაგუშზე" გამარჯვება აქვს. თუ თვალს გადავავლებთ სკუდერიელის ადრეულ ბრაზილიურ შედეგებს, ვნახავთ, რომ მისი საუკეთესო რბოლა მეოთხე შედეგით დასრულებულა.

ახლა კი წვეულებას გადავავლოთ თვალი. ბარიკელოსი არ იყოს, ნაძალადევი ღიმილი დასთამაშებდათ სახეზე ფერარელებს. უფრო სწორად, მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ეტაპით იმედგაცრუებულნი ჩანდნენ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მათმა გამწევმა ძალამ, მიხაელ შუმახერმა, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, უგერგილოდ იასპარეზა (მეშვიდე შედეგი). რუბინიომ კი, მართალია, კვარცხლბეკზე ასვლის პატივი მოიპოვა, მაგრამ პირველობა სხვას დაუთმო. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ყელში სასმელი არ გადასდიოდათ და პირში - ლუკმა. სულ რაღაც ორიოდე ჭიქა ბრაზილიური კოქტეილი "კაიპირინი" მოწრუპესო.

ეს, რაც შეეხება, ზოგადად სიტუაციას. ისე კი, უგუნებობისა რომ არაფერი ეტყობოდა მიხაელ შუმახერს, არც ეს გამოჰპარვია ვინმეს. ამბობენ, კოლეგებზე უკეთ მიხაელმა მოილხინა, თანაც, დილამდე ფეხი არ მოუცვლიაო. ჰო, მართლა, "შუმის" გვერდს უმშვენებდა თანამეცხედრე კორინა და რამდენიმე მეგობარი. წვეულების დამთავრებისთანავე მიხაელმა, თანამეინახეებიანად, შინისკენ - შვეიცარიისკენ მოკურცხლა.

რომ არ დაგვავიწყდეს, საათის ისარი უკან დავატრიალოთ და იმაზეც ვთქვათ, რაც ორად გაყოფილ წვეულებამდე მოხდა. შევიჭყიტოთ "ინტერლაგუშის" ტრასაზე, სადაც, ასევე ტრადიციისამბერ, 2004 წლის სეზონის დამთავრების აღსანიშნავად ფოტოობიექტივების წინ საჯინიბოთა მესაჭეებს უხმეს. სავალდებულო ფოტოსესიაზე 20 მრბოლი იდგა.

ის იყო, ყველამ მისთვის განკუთვნილი ადგილი დაიკავა, რომ... მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონისთვის განკუთვნილ საჩემპიონო ადგილზე მიხაელის ნაცვლად... ვირი მოკალათებულიყო. ბევრი იმსჯელეს თუ ცოტა, მიხაელის კოლეგებმა გადაწყვიტეს, ეოხუნჯათ და შუმახერის ადგილზე სახელდახელოდ გასაბერი ვირი დასვეს. ვირი კი უთხოვებიათ "იაგუარის" საჯინიბოსგან, რომელიც თურმე ბოლო რამდენიმე ეტაპზე იმ ვირუკელას თან დაატარებდა. რისთვის – ვერ გეტყვით. ამასობაში ფოტოაპარატებიც აჩხაკუნდნენ და აციმციმდნენ. სურათი კი ასეთი გამოვიდა: მოხითხითე პილოტები და ვირთან ხელჩაკიდებული მიხაელის თანაგუნდელი რუბენს ბარიკელო. ამბობენ, ამას რუბინიოს გარდა ვერავინ მოიფიქრებდაო. მერე, როგორც იქნა, შუმახერიც გამოჩნდა, ცოტა შეყოვნდა და... თანაგუნდელს კალთაში ჩაუჯდა.

ახლა თვალი გადავავლოთ იტალიურ პრესას, რომელიც სკუდერიელთა ბრაზილიურ რბოლას კრახს უწოდებს.

"Gazzetta dello Sport": "მონტოია იცინის (რბოლა მოიგო კოლუმბიელმა ხუან-პაბლო მონტოიამ, რომელმაც, სხვათა შორის, "BMW-უილიამსის" რიგებში ბოლო რბოლა ჩაატარა, რადგან ახალ სეზონს "მაკლარენ-მერსედესის" კოკპიტით შეხვდება.-რედ.) – ბარიკელო ტირის. სუპერ-მონტოია ბარიკელოს სამშობლოში იმარჯვებს. "შუმი" კი მეშვიდე შედეგით კმაყოფილდება. ეტყობა, ფინალური რბოლის წინ ის აზრებით უკვე შვებულებაში იყო. მან გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა, დანარჩენი კი მისთვის მნიშვნელოვანი არაა. ბარიკელომ ოცნება ვერ აისრულა".

"Corriere dello Sport": "კონკურენტების მიერ დამარცხებული ბარიკელო ტირის. სან-პაულუში ბარიკელოს იმის დამტკიცება სურდა, რომ იგი დიდი მრბოლია. მას ეს არ გამოუვიდა. მას შემდეგ, რაც მიხაელმა ჩემპიონატი მოიგო, ეტყობა, კონცენტრაცია დაკარგა".

"Corriere della Sera": "მონტოია "უილიამსს" ისე ემშვიდობება, რომ "ფერარის" სახეს ღიმილი შორდება".

"Tuttosport": "მონტოია ჩემპიონატის ბრწყინვალე ფინალს ზეიმობს. ის, რომ ბრაზილიის დიდი პრიზი მიხაელის არ იქნებოდა, თავიდანვე იყო ცნობილი. "შუმი" ეცადა, ჩემპიონატი გამარჯვებით დაესრულებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ახლა შეუძლია, ზამთრის არდადეგებზე იფიქროს".

"La Repubblica": "ბარიკელო წვიმიანმა ამინდმა დააღალატა. მამაცმა რუბენსმა კვლავაც იმედგაცრუება იგემა. მან მოსაგებად ყველაფერი გააკეთა. ფაქტია, კიმი რაიკონენთან ("მაკლარენის" ფინელი პილოტი მეორე იყო.-რედ.) და მონტოიასთან ბრძოლა ვერ შეძლო. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ "ფერარი" მიხაელზეა დამოკიდებული. გერმანელის გარეშე სკუდერია აგებს. დადგა დრო, მას ახალგაზრდა მეწყვილე მოუძებნონ".

კალათბურთი

# ვინ, რა, როგორ NBA-ში

## დასავლეთ კონფერენცია

სანდრო ნავერიანი

**12. "მემფის გრიზლის"**

**სასტარტო ხუთეული:** ჯეისონ უილიამსი, სტრომაილ სვიფტი, პოუ გაზოლი, შეინ ბატიე, ლორენსენ რაიტი.

შარშანდელი სეზონი მემფისელი გრიზლებისთვის სულაც არ იყო გამორჩეული, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს გუნდი ხანმოკლე ისტორიას ითვლის. ერთადერთი, რაც შარშანდელ სეზონში "მემფის გრიზლისის" კალათბურთელებმა შეიძინეს, ეს არის გამოცდილება და შეთამაშება. არადა, ამ გუნდში არიან ისეთი კალათბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ უფრო მაღალი მიზნებისთვის იბრძოლონ, ვიდრე აღწევენ. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მატჩებს რეგულარულად ვადევნებ თვალყურს, მაინც არ შემიძლია, სათანადოდ შევაფასო ამ გუნდის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამის მიზეზი კი, ალბათ, ის არის, რომ დაბალი დონის კლუბების მატჩებს იშვიათად ვუყურებ. და მაინც, ვეცდები, რამე გითხრათ მემფისურ გუნდზე. ამ გუნდის ყველაზე გამორჩეული კალათბურთელია ესპანელი ლეგიონერი პოუ გაზოლი. მან შარშან დიდი სარგებლობა მოუტანა თავის გუნდს. სწორედ ამიტომ "მემფის გრიზლის" ხელმძღვანელობა წლევანდელ სეზონში პოუ გაზოლზე დიდ იმედს ამყარებს. გაზოლი, თავის მხრივ, წელებზე ფეხს იდგამს, რომ მოახლოებული რეგულარული ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩაატაროს და თავის გუნდს პლეი-ოფში გასვლაში დაეხმაროს. ესპანელის გარდა, გუნდში კიდევ ბევრი მაღალი დონის კალათბურთელია. სტრომაილ სვიფტი და შეინ ბატიე გამოცდილი ენბიეიშნიკები არიან. ამიტომ მათზე ბევრი იქნება დამოკიდებული. ასევე, გუნდში არის ძალიან სასარგებლო მოთამაშე ბონზი უელსი, რომელსაც ყველაფერი ეხერხება: კარგად თამაშობს ფარქვეშ და დაცვაში. კარგი, დაყენებული ტყორცნა აქვს საშუალო დისტანციიდან. და, საერთოდ, ბონზი უელსი თავს მშვენივრად გრძნობს მაშინ, როდესაც ის ფარქვეშ არის. "მემფის გრიზლის" რიგებში კიდევ ერთი მეტად საინტერესო კალათბურთელია. ეს მაიკ მილერია. მილერზე ვერ ვიტყვით, რომ სათადარიგო კალათბურთელია, მაგრამ არც ისე ხშირად უწევს სასტარტო ხუთეულში თამაში. თუმცა, მას შესწევს ძალა, საჭირო ქულები მოუტანოს საკუთარ გუნდს. მას არაერთხელ გადაურჩენია "მემფის გრიზლისი" წაგებას. საერთო ჯამში, "მემფის გრიზლის" საკმაოდ შეთამაშებული გუნდია და, არა მგონია, რეგულარულ სეზონში 20-25 გამარჯვების მოპოვება გაუჭირდეს.

**13. "ლოს-ანჯელეს კლიპერსი"**

**სასტარტო ხუთეული:** შოუნ ლივინგსტონი, კორი მაგეტი, ბობი სიმონსი, კრის ვილკოქსი, კრის კამანი.

უკვე რამდენი წელიწადია, რაც ორი ლოსანჯელესური კლუბი -"ლეიკერსი" და "კლიპერსი" ერთმანეთს ეჯიბრებიან, მაგრამ ეს დაპირისპირება ყოველთვის ლეიკერების სასარგებლოდ მთავრდება. არ ყოფილა სეზონი, რომ "კლიპერსს" "ლეიკერსისთვის" ეჯობნოს. მაგრამ, მოდი, შევეშვათ "ლოს-ანჯელეს ლეიკერსს" და "ლოს-ანჯელეს კლიპერსზე" ვილაპარაკოთ. რა შეიძლება ითქვას ამ გუნდზე? ბევრი არაფერი. უბრალოდ, ვცადოთ და მისი შანსი შევაფასოთ: გუნდმა შეიძინა საკმაოდ კარგი კალათბურთელი კერი კიტლზი, რომელსაც ჯერჯერობით ტრავმა აქვს და საკონტროლო მატჩებში ვერ მონაწილეობს. სავარაუდოდ, რეგულარული სეზონის დაწყებისთვის (შეგახსენებთ, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული სეზონი 2 ნოემბერს იწყება) კერი კიტლზი მწყობრში ვერ ჩადგება. რაც შეეხება კრის კამანს, ის გამოცდილი და, რაც ყველაზე მთავარია, ათლეტური აღნაგობის ცენტრია. არა მგონია, მისთვის ძნელი იყოს დანარჩენ ცენტრებთან ორთაბრძოლა. ერთადერთი, ვის წინააღმდეგაც მას ყოველთვის უჭირდა თამაში, ეს შაკილ ო`ნილია. შონ ლივინგსტონს და ბობი სიმონსს შეუძლიათ ბურთის თრევა, რაც ასე ძალიან სჭირდება "ლოს-ანჯელეს კლიპერსს". შარშანდელი წარუმატებლობა, შეიძლება ითქვას, სწორედ იმის ბრალი იყო, რომ კალიფორნიულ გუნდს არ ჰყავდა ისეთი კალათბურთელი, რომელიც ბურთის დაჭერას და შემდეგ კარგ გადაცემას შეძლებდა. ამის გამოსწორება ლივინგსტონს და სიმონსს შეუძლიათ. ლაიონელ ცალმერსი, რომელიც ნული ნომრით იასპარეზებს, კალათბურთელთა იმავე კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ, რომელსაც ლივინგსტონი. საერთოდ, კარგია, როდესაც გუნდში რამდენიმე ტექნიკური კალათბურთელი გყავს, მაგრამ ხშირად ეს არეულობას იწვევს და გუნდი ვერ ახერხებს ხარისხიანი კალათბურთის თამაშს. ვფიქრობ, "ლოს-ანჯელეს კლიპერსს" პლეი-ოფში გასვლის არავითარი შანსი არა აქვს.

TV-პროგრამა

### ოთხშაბათი. 27 ოქტომბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ვეს ანსელდი
06:30 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2003. პირველი წრე. "NEW YORK KNICKS" - "TORONTO RAPTORS". მე-5 მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 უკრაინის ჩემპიონატი. ""დნეპრი" – "მეტალურგი"
14:00 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:00 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "ვოლფსბურგი"
18:00 "წვრილმანები". უკრაინა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე
18:30 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "არსენალი"
21:35 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
22:10 თავისუფალი დარტყმა
22:25 იტალიის ჩემპიონატი. "ლეჩე" - "ინტერი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:25 გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" - "ვერდერი"
02:10 02:10-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ჯერი ლუკასი
04:00 NBA TV. წინასასეზონო მატჩი. "BOSTON CELTICS" - "DETROIT PISTONS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

10:00, 11:00, 14:15, 22:00 პრესცენტრი
10:25, 11:25, 14:30 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჭადრაკი. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა ესპანეთში
11:45 ჭადრაკი. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა ესპანეთში
12:15 "ბილიარდის მეუფენი"
12:45 ჩოგბურთი. ATP ტურნირი - "St. Petersburg Open"
14:50 "ჰოკეი-პლუს"
15:05 "ვარსკვლავური სამშაბათი"
16:10 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი - "SKATE AMERICA". ქალები. წყვილები. საჩვენებელი პროგრამა. შესვენებისას (16:25) – პრესცენტრი
18:55 ჰოკეი. NHL-ის ყველა ვარსკვლავთა მატჩების რეტროსპექტივა. 2003 წელი. შესვენებისას (19:00) – პრესცენტრი
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 "ჰოკეი-პლუს"
22:45 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი - "SKATE AMERICA". საჩვენებელი გამოსვლა
01:15 ახალი ამბები
01:30 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
02:40 02:40-დან 04:45-მდე შესვენება
05:45 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. "ფლამენგო" – "სანტოსი". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:30 თავგადასავლების რეიდი
11:00 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები - 2004
12:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ავსტრიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი შვეიცარიაში
20:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი შვეიცარიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:30 ჩოგბურთი. ATP ტურნირი შვეიცარიაში
22:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი შვეიცარიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 გოლფი. ევროპული ტური ესპანეთში. სპეციალური მიმოხილვა
00:00 გოლფი. US PGA. სპეციალური მიმოხილვა
01:00 აფროსნობა
01:30 მულტისპორტი ოთხშაბათობით
01:45 ახალი ამბები
02:00 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები - 2004
03:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა

## ეროვნული თვითშეგნების კონსტრუირება



არავის ეპარება ეჭვი, რომ გერმანელ პოეტსა და დრამატურგს, **ფრიდრიხ შილერს** ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის გერმანული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში. მაგრამ ისიც შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მისი ისტორიული დრამები — "მარიამ სტიუარტი" და "დონ კარლოსი" — ისტორიული ფაქტების ერთობ ტენდენციურ და მცდარ აღწერაზეა დაფუძნებული. ორივე ისტორიული პერსონაჟი შილერთან თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის მებრძოლ სიმბოლოდ იქცა, მაშინ როცა შოტლანდიელი დედოფლისა და კუზიანი ესპანელი უფლისწულის რეალური ხასიათი და მათი ისტორიული როლი სრულიად არ შეესაბამება შილერის მიერ აღწერილ მხატვრულ სახეებს, უფრო მეტიც პოეტური გამონაგონის დიამეტრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს...

მაგრამ ეროვნული თვითშეგნება არასოდეს თაკილობს მითოლოგიაზე ან თუნდაც აშკარა ისტორიულ ტყუილზე დაფუძნებულობას. ბევრ ქართველს გაუკვირდება, რომ ვახტანგ გორგასლის სახელგანთქმული ხოხობი იაკობ გოგებაშვილის მხატვრულ გამონაგონს მიეკუთვნება.

თუმცა არსებობს კიდევ ერთი საფუძველი. ევროპის ნებისმიერი ისტორიკოსი დაამოწმებს, რომ საზოგადოებრივი იდენტურობა ხშირად განისაზღვრებოდა, ასე ვთქვათ, საპირისპიროდან საკუთარი თავის გამოყოფითა და "სხვისი" უარყოფით. მაგალითად, საფრანგეთში ჰუგენოტების თვითშეგნება კათოლიციზმის მიუღებლობით განისაზღვრა, ხოლო ინგლისში — ლოზუნგით "ძირს პაპიზმი!". სხვათა შორის, ინგლისში ამ ლოზუნგმა ეროვნული იდენტურობისთვის არსებითი მნიშვნელობა XIX საუკუნემდე შეინარჩუნა, ჩრდილოეთ ირლანდიაში კი დღესაც მოქმედია.

საპირისპიროს ხაზგასმის "მეთოდი" ფართოდაა გავრცელებული ნებისმიერ კულტურაში. მაგალითად, იაპონია XVII-XIX საუკუნეებში საკმაოდ იზოლირებული სახელმწიფო იყო. მოსახლეობაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა კორეელი ელჩების ვიზიტები, რომლებსაც იაპონელი დაბალი სოციალური კლასის წარმომადგენლები დიდ დღესასწაულებზე თეატრალურად წარმოადგენდნენ ხოლმე, როგორც რაღაც განსხვავებულსა და ეგზოტიკურს, რაც საკუთარი თავის შემეცნებასა და გარემოდან გამოყოფაში ეხმარებოდათ.

ამგვარ საზღვრებს კულტურული, ანუ სიმბოლური ეწოდება. ეროვნული თვითშეგნების კონსტრუირებისას უდიდესი როლი ეკისრება სტერეოტიპებს: "პაპისტის" სტერეოტიპი პროტესტანტის შეგნებაში და ის არსებითად მცდარი მაგრამ ქმედითი წარმოდგენები, რომლებიც ქრისტიანებმა შეიქმნეს ებრაელებსა და მუსლიმებზე. თავის დროზე, იდენტურობის შექმნის ამგვარ მექანიზმს ზიგმუნდ ფროიდმა "მცირე განსხვავებათა ნარცისიზმი" უწოდა. ხომ გაგიგონიათ, რა სიამაყით იტყვიან ხოლმე — "ქართველი ამას არ იზამდა" — როცა უცხოელის შეუჩვეველ ქცევას ან თუნდაც სახის გამომეტყველებას დაინახავენ.

კონტრრეფორმაციის დროს ევროპაში წარმოიქმნა ასეთი ტიპის ნარცისიზმი, რომელმაც ერთგვარი ფორმალიზებული სახე მიიღო და ცნებებადაც კი ჩამოყალიბდა. ამ პერიოდს ეკუთვნის შეხედულება განსაკუთრებული "ინგლისური სისხლის" შესახებ. ესპანეთში კი ამავე დროს წარმოიქმნა წმინდა კათოლიკური სისხლის მითი — limpieza de sangre. რომ არ ყოფილიყო პოლიტიკური დაპირისპირება ელისაბედსა და ფილიპეს შორის, ალბათ ინგლისელი სკვაირები და ესპანელი იდალგოები ნაკლებად ყოყლოჩინები იქნებოდნენ.

ერთი სიტყვით, ეროვნული თვითშეგნება, რომელმაც ევროპაში სწორედ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო განვითარება როგორც პროტესტანტული რეფორმაციის ერთ-ერთმა შედეგმა, თავისი არსით არტეფაქტს ან გამოგონებას წარმოადგენს. და არა მარტო ევროპული — ყოველგვარი იდენტურობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ხელოვნების ნიმუში და გამონაგონი. მართალია, ეს უკანასკნელი ტერმინი საკმაოდ დრამატულია, რადგან ისეთ წინასწარგანზრახულობას გულისხმობს, რომელიც რეალურად არასოდეს ხორციელდება, მაგრამ ხალხური ზღაპრების შექმნის მექანიზმიც ხომ ასევე გამოუკვლეველი და ბუნდოვანია, თუმცა არავის ეპარება ეჭვი იმაში რომ გამონაგონთან გვაქვს საქმე. რენესანსული ინგლისური ლიტერატურის შესანიშნავმა მკვლევარმა, გრინბლატმა, ინგლისური ეროვნული თვითშეგნების წარმოშობას შემდეგი სათაური შეურჩია: "საკუთარი თავის მოდელირება" — Self-fashioning. მოგეხსენებათ, სიტყვით fashion ინგლისურ ენაში მოდა აღინიშნება. თვითშეგნება ერისათვის მეტ-ნაკლები გემოვნებით შერჩეული სამოსია — სამოსი კი დროთა განმავლობაში იცვითება ან მოდიდან გამოდის. ოღონდ ცვლილებების ფაქტი კოლექტიურ მეხსიერებაში არ ინახება. ადამიანთა ერთობები ჯიუტად ივიწყებენ იმას, რომ ოდესღაც სხვანაირად ფიქრობდნენ, სხვანაირი ღირებულებები ჰქონდათ.

ოდესღაც მართლაც ფიქრობდნენ, რომ ეროვნული ქცევები, რიტუალები, საყოველთაოდ მიღებული ტექსტები რაღაც უფრო ღრმასა და დაფარულს "ირეკლავდნენ" ან "გამოხატავდნენ". მაგრამ ამგვარი თვალსაზრისი, ერთი მხრივ, ძალიან რედუქციონისტულია (რაღაც მუდმივსა და გახევებულზე დაჰყავს ადამიანთა საზოგადოება), მეორე მხრივ კი, მეცნიერებისგან შორს მყოფი (იძულებული ვხდებით, შემოვიყვანოთ ისეთი გაურკვეველი ცნებები, როგორიცაა "ერის სული", "ეროვნული ხასიათი" და ა. შ.). ამიტომ, გრინბლატის მაგალითი ნაყოფიერი გამოდგა და მეცნიერები დღეს უკვე საყოველთაოდ იყენებენ ტერმინს "კონსტრუირება".

უახლესმა გამოკვლევებმა ისიც ცხადყო, რომ ერთი და იგივე ადამიანები სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვანაირად წარმოადგენენ საკუთარ თავს. ასე რომ, თვითშეგნება არა მარტო დროსა და სივრცეზეა დამოკიდებული, არამედ ვითარებაზეც.

ეროვნული თვითშეგნების კონსტრუირებას ხელს უწყობს მითები. ამგვარი მითების ერთგვარი ბუმი იყო სწორედ XVI საუკუნეში. მაგალითად, იტალიური ქალაქის, პადუას დაარსებას ანტიკურ გმირს, ტროელ ანტენორეს მიაწერდნენ. ასევე მნიშვნელოვანია რიტუალები: მთელ ევროპაში, ესპანეთიდან ხორვატიამდე, იქ, სადაც ქრისტიანობა ისლამს ესაზღვრებოდა, დღემდე ყოველწლიურად წარმოადგენენ "მავრებსა" და "ქრისტიანებს" შორის რიტუალურ ბრძოლებს. ინგლისში, 5 ნოემბერი, გაი ფოქსის დღესასწაული წარსულში "რომის პაპის კოცონზე დაწვის" რიტუალით აღინიშნებოდა — ამგვარად ფიქსირდებოდა ინგლისური პროტესტანტული თვითშეგნების არსებითი ელემენტები. იგივე არსებითი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ პროტესტანტულ ქვეყნებში მცხოვრები კათოლიკეები უფრო მკაცრად ინახავენ მარხვებს, ჰოლანდიელებს კი აკვიატებამდე აჰყავთ თავიანთი მისწრაფება სისუფთავისადმი. გავიხსენოთ ერთი ადგილი გიორგი მთაწმინდელის წერილებიდან, როცა ის გმობს მარხვაში თევზის ჭამისაგან თავშეკავების ჩვეულებას. არგუმენტი შემდეგია: ჩვევა შემოვიდა "სამგზის წყეულთა სომეხთაგან".

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი თვითშეგნების წარმოშობაში არის "სოციალური მეხსიერება" — ის, თუ ვინ ვართ დღეს, დამოკიდებულია იმაზე, ვინ ვიყავით წარსულში. მაგრამ ჩვენი შეხედულება საკუთარ წარსულზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა თვალით ვუყურებთ აწმყოს. XVI საუკუნის ჰოლანდიაში წარმოიშვა მითი, რომ ძველი ბატავები (ჰოლანდიელთა წინაპრები) მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ რომს. ამით ცდილობდნენ კათოლიციზმთან თანამედროვე უთანხმოებებისთვის ისტორიული რეტროსპექტივის მინიჭებას. ასე რომ, თუ დღეს ვინმე ამტკიცებს, რომ წარსულში საქართველოს საერო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა. ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ ძალიან სურს ეკლესია დაუსჯელობისა და უკანონობის პლაცდარმად აქციოს.

# კათოლიკური რეფორმაციის ომები

ინგლისის დედოფალი, ელისაბედ პირველი ერთობ სკეპტიკურად ეკიდებოდა რელიგიურ საკითხებს — მისთვის ერთადერთი მნიშვნელოვანი საკითხი სახელმწიფოს კეთილდღეობა იყო. ამიტომაც ცდილობდა კომპრომისის მიღწევას სამ ძალას შორის: კათოლიკეები, ანგლიკანები და კალვინისტი პრესვიტერიანელები. ამ სამმაგ ბალანსირებაში ძირითადი მეთოდი იყო შინაგანი პრობლემების საგარეო ასპარეზზე გადაყვანა და იქ, ნისლიანი ნაპირებისაგან შორს გადაწყვეტა.

ელისაბედმა რელიგიური ომები საკუთარ სამეფოში იმით ჩაახშო, რომ საკუთარი ქვეშევრდომები მეკობრეებად აქცია და მსოფლიო ოკეანის უკიდეგანო სივრცეში გააგზავნა ნადავლის და არა ჭეშმარიტების საძიებლად.

ამგვარი გადაწყვეტილების ეფექტურობა ერთ ძალიან საშიშ გვერდით ეფექტს შეიცავდა: ზღვაზე გასვლა ნიშნავდა ესპანეთთან ღია კონფლიქტს. ესპანეთს ზღვებზე ბატონობა სასიცოცხლოდ სჭირდებოდა, რადგან სხვანაირად ვერ მოახერხებდა ამერიკაში, იტალიასა და ფლანდრიაში თავის სამფლობელოებთან თავისუფალი კომუნიკაციის დამყარებას. ორი საზღვაო სახელმწიფოს დაპირისპირება ადრე თუ გვიან ომში უნდა გადაზრდილიყო. ელისაბედი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ დაძაბულობა რაც შეიძლება ნელა განვითარებულიყო, სანამ ინგლისის ფლოტი საბრძოლველად საკმარის ძალებს შეიძენდა.

თავისი მეფობის პირველ წლებში ელისაბედი ძალიან ფრთხილად ეპყრობოდა ესპანეთის მეფეს, ფილიპე მეორეს. ყველანაირად ცდილობდა მისი შესაძლო მრისხანების წინასწარ ჩაქრობას და ამის გამო ცოლობასაც დაჰპირდა. მხოლოდ ხანდახან აძარცვინებდა ესპანურ სავაჭრო ხომალდებს, მერე კი მთელ დანაშაულს თავის ადმირალებს აჰკიდებდა ხოლმე და ზოგჯერ მათი დასჯის ინსცენირებასაც ახდენდა.

ყველა გზა ხსნილი იყო: შოტლანდია უკვე აღარ უშლიდა ხელს, ვერც სამოქალაქო ომში ჩაფლული საფრანგეთი უწევდა მეტოქეობას. ასე რომ, ელისაბედი თავისუფლად შეუდგა სახელმწიფოს აღმშენებლობას. წარმატება საოცარი იყო, ერთნაირი ყველა სფეროში — ხელოვნება, კულტურა, ეკონომიკა, ადმინისტრაცია, ჯარი... მაგრამ ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმ მშვიდობის წყალობით, რომლის უზრუნველყოფა ელისაბედმა თავისი პირადი ნიჭით შეძლო.

ელისაბედი საიდუმლოდ უჭერდა მხარს ფლანდრიელ ამბოხებულებს, რომლებიც ნელ-ნელა სისხლისგან ცლიდნენ ესპანეთის სამხედრო პოტენციალს. ფილიპე ისევე იყო ჩაფლული ამ გაუთავებელ ომში, როგორც აშშ — ვიეტნამში, ან სსრკ — ავღანეთში. და სანამ ესპანელებს ფლანდრიელთა ეროვნული გმირი, ტილ ულენშპიგელი კუდით ქვას ასროლინებდა, ელისაბედი ხანგრძლივ და უპერსპექტივო ომში ჩაურევლად ითბობდა ხელს თავისი ერთგული მეკობრეების მოტანილ ნადავლზე.

და მაინც, XVI საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ინგლისი ჯერ არ გასულიყო დიდ საერთაშორისო ასპარეზზე და ესპანელებისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს ოსმალეთის იმპერია წარმოადგენდა. მათი სახმელეთო ჯარი იმხანად უნგრეთში იყო დისლოცირებული და ფილიპეზე მეტად მის ბიძას, ავსტრიის იმპერატორს, ფერდინანდს აწუხებდნენ. მაგრამ ესპანელთათვის უმთავრესი მტერი თურქული ფლოტი იყო.

თვითონ თურქები არასოდეს ყოფილან ყოჩაღი მეზღვაურები, მაგრამ მათი ძირითადი იმედი, ამ მხრივ, 25.000 ქრისტიანი მონა იყო. ორი რენეგატი იტალიელი ადმირალიც ჰყავდათ — **ეული ალი** და **ჩიგალა**. ამათ იალქნისა და საჭის მართვა არ ესწავლებოდათ. თურქთა მთავარი საზღვაო პლაცდარმი იყო ალჟირი: აქედან აწარმოებდნენ ელვისებურ შეტევებს ხმელთაშუა ზღვის პორტებზე. კუნძული მალტა თურქთა ბატონობას მხოლოდ **ლა ვალეტის** გმირობის წყალობით გადაურჩა. 1569 წელს კი თურქებმა ტუნისი დაიპყრეს. ერთი წლის შემდეგ კვიპროსის ჯერი დადგა. კუნძული მაშინ ვენეციის კოლონია იყო. მისი მმართველი, მარკანტონიო ბრაგანდინი და მისი მეომრები თურქებმა დიდი წინააღმდეგობის შემდეგ ამოჟლიტეს.

სწორედ კონტრრეფორმაციის სულისკვეთებამ შეაერთა ესპანეთის, სავოის, გენუისა და ვენეციის შეიარაღებული ძალები "ურწმუნოთა" წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობისათვის. 1571 წელს ევროპელთა გაერთიანებული ფლოტი, რომელსაც დონ ხუან ავსტრიელი, ფილიპე მეორის ნახევარძმა სარდლობდა, ლეპანტოს მახლობლად, ხმელთაშუა ზღვის წყლებში დაუპირისპირდა თურქებს. ორმოცდაათი თურქული ხომალდი ჩაძირეს, ასჩვიდმეტი კი დაატყვევეს. ეს საბრძოლო წარმატება შეიძლება საბოლოო გამარჯვებადაც ქცეულიყო, ევროპელებს რომ პოლიციური ზომები გაეტარებინათ თურქი მეკობრეების წინააღმდეგ და მათი აფრიკული ბანაკები გაენადგურებინათ. ამის მაგიერ, გამარჯვებულები დაიშალნენ, ტუნისი, ტრიპოლი და სხვა მნიშვნელოვანი ნავსადგურები მუსლიმთა ხელში დატოვეს, ხმელთაშუა ზღვა კი წინანდელზე უფრო სახიფათო გახდა ქრისტიანებისთვის.



*პაოლო ვერონეზე - ლეპანტოს ბრძოლა*

ფილიპეს დეზერტირობა გამართლებული იყო. იგი იძულებული იყო, უმთავრესი ძალებისთვის ფლანდრიაში მოეყარა თავი, სადაც ესპანელები ბუზებივით იხოცებოდნენ. მეამბოხეების დანაკარგიც დიდი იყო. მიუხედავად ამისა, მათი რიცხვი იზრდებოდა. ბოლოს და ბოლოს ესპანელები ფლანდრიის სამხრეთ პროვინციებს დასჯერდნენ — იმ ტერიტორიას, რომელზეც დღეს ბელგიაა განლაგებული. ჩრდილოეთის მხარემ, რომელიც დღეს ჰოლანდიას უჭირავს, დამოუკიდებლობა შეიძინა და თავის საოცარ ნაციონალურ თავგადასავალს დაუდო საფუძველი.

იმავე წლებში ფილიპემ პორტუგალიის ანექსია მოახდინა. აქ ძლიერი ფლოტი დახვდა, რომელიც არა მარტო თავისი მატერიალური ბაზით, არამედ უმდიდრესი სანაოსნო გამოცდილებით იყო გამორჩეული. ამან კიდევ უფრო გაამწვავა ინგლისთან ურთიერთობა. მაგრამ ანგლო-ესპანურ კონფლიქტს მთავარი სტიმული კათოლიკურმა ეკლესიამ მისცა, რადგან პაპი დარწმუნებული იყო: ელისაბედი ევროპაში პროტესტანტული წინააღმდეგობის მთავარი საყრდენია. ამიტომაც ეძახდნენ "უკეთურ იეზაბელს" — ძველი აღთქმის პერსონაჟის მიხედვით. პაპი სამოთხესაც დაჰპირდა მას, ვინც ელისაბედს მოკლავდა!

აქედან აშკარაა, რამდენად იყო გადაჯაჭვული ერთმანეთზე ესპანეთის საკითხი და კონტრრეფორმაციის ბედი ევროპაში.

მაგრამ ინგლისი, რომლის წინააღმდეგ ფილიპე ჩქარობდა თავისი უშველებელი სამხედრო ძალის დაძვრას, უკვე აღარ იყო ის ძველი, ღარიბი და დაქუცმაცებული ქვეყანა, რომელიც ელისაბედმა მემკვიდრეობით მიიღო თავისი დისაგან. ქალწულმა დედოფალმა თავისი სიბრძნის წყალობით დაამყარა შინაგანი წესრიგი, გააჯანსაღა ფინანსური პოლიტიკა და მთელი სამეფო სამშენებლო მოედნად აქცია. ერთადერთი ავანტიურა, რომელში ჩაბმის უფლება მისცა საკუთარ თავს, ირლანდიის დაპყრობა იყო, სადაც ელისაბედის გენერლები და გუბერნატორები მოსახლეობის გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. სწორედ ამ გარემოებამ დაარწმუნა ფილიპე, თითქოს საბოლოო დარტყმისთვის შესაფერი მომენტი დადგა.

1588 წელს ლისაბონიდან აფრები აუშვა სახელგანთქმულმა "უძლეველმა არმადამ". ესპანურ ფლოტს შეადგენდა 130 ხომალდი ბორტზე 30.000 მეომრითა და 2.400 ქვემეხით. ინგლისელ ადმირალთა განკარგულებაში ამის ნახევარიც არ ყოფილა. სამაგიეროდ, ისინი ნამდვილი ადმირალები იყვნენ, საზღვაო ბრძოლების ათწლეულებში გამობრძმედილნი და ხელქვეითადაც ნამდვილი მეზღვაურები ჰყავდათ.

ესპანელები კი, როგორც ხმელეთის მცხოვრებლებს შეეფერებათ, ფიქრობდნენ, რომ ხომალდი ჯარის გადამყვანი უბრალო საშუალებაა და მისი გამოყენება ბრძოლაში არავითარ სპეციფიკას არ მოითხოვდა. ესპანური ხომალდები ზომით ინგლისურზე დიდი, მაგრამ გაცილებით ნელი და მოუხეშავი იყო. ესპანელებისთვის ერთადერთი ცნობილი ტაქტიკა აბორდაჟი იყო, ანუ მეთოდი, როცა ხომალდი მტრის გემს პარალელურად აკვრის ბორტით და მეტოქე გემზე შეიარაღებულ რაზმს აგზავნის. გასაგებია, რომ მათ საზღვაო ბრძოლის სახმელეთო ბრძოლად გადაქცევა სურდათ. პრობლემა ისაა, რომ ნამდვილი მოწინააღმდეგე არასოდეს ეთანხმება შენს წინასწარ დაგეგმილ მოქმედებას. მოხერხებული და სხარტი ინგლისური ხომალდები ესპანელებს მიახლოების საშუალებას არ აძლევდნენ. დიდი სისწრაფით ტრიალებდნენ ესპანელთა ცხვირწინ და მარჯვედ უმიზნებდნენ თავიანთი უფრო შორსმსროლელი ქვემეხებით, თვალსა და ხელს შუა ქრებოდნენ და თითქმის იმწამსვე ესხმოდნენ თავს სულ სხვა მხრიდან.

როცა ფლანდრიის ნაპირებს მიუახლოვდა, "უძლეველი არმადა" გვარიანად შეთხელებული და ბრძოლის უნარდაკარგული იყო. ესპანელებმა ფლანდრიაში გადმოსხდომა ვერ გაბედეს. დარჩენილი ძალების გადასარჩენად მათ ინგლისისა და შოტლანდიის გვერდის ავლით სცადეს შინ დაბრუნება. სრულიად უგუნური გეგმა იყო და კატასტროფითაც დასრულდა.

ფილიპეს, რომელიც თავის სამფლობელოთა მრავალრიცხოვანი კოლექციისთვის ინგლისის დამატებასაც ფიქრობდა, მშობლიურ ნაპირთან ფლოტის უბადრუკი ნაგლეჯი დაუბრუნდა. ესპანეთი სამუდამოდ გამოეთხოვა ოკეანეზე ბატონობის ოცნებას.

უკანასკნელი იმედი საფრანგეთის დაჩოქების ცდა იყო. მით უმეტეს, რომ იქ დინასტიური კრიზისი მძვინვარებდა. ვალუათა გვარის უკანასკნელი შთამომავალი, ანრი მეორისა და ეკატერინე მედიჩის ვაჟი უშვილოდ გარდაიცვალა და ტახტი ენრიკო ნავარელს გადაულოცა, მომავალ ანრი მეოთხეს, რომელიც ჰუგენოტთა "კანდიდატურა" იყო. თუ ეს ყმაწვილი მართლაც ავიდოდა ტახტზე, კათოლიკური ეკლესია საბოლოოდ დაჰკარგავდა პროტესტანტთა ლუკმად ქცეულ საფრანგეთს. ამ შემთხვევაშიც ესპანეთის მეფემ, ფილიპე მეორემ იმოქმედა როგორც კონტრრეფორმაციის საერო მხარემ.

ისარგებლა საფრანგეთის დაბნეულობით და ერთდროულად შეუტია მას პირენეების, ფლანდრიისა და სავოის მხრიდან. ერთხანს ისე გამოჩნდა, თითქოს ფრანგი მეფეების მიერ ხუთი საუკუნის განმავლობაში შეკოწიწებული ერთიანი სახელმწიფო ერთ წამში დაინგრა. მაგრამ ენრიკო ნავარელმა სრულიად მოულოდნელი და მართლაც დიდი პოლიტიკოსის შესაფერი ნაბიჯით გააქარწყლა ესპანელთა მილიტარისტული ბაქი-ბუქი. მან კათოლიკე ეპისკოპოსთა წინაშე დაგმო თავისი პროტესტანტული აღმსარებლობა და წარმოთქვა ცნობილი ფრაზა: "პარიზი მესად ღირს!". ფრანგ ანრი მეოთხედ გადაქცეულმა ესპანელმა ენრიკო ნავარელმა თავის ახლად შეძენილ ქვეშევრდომებს პატრიოტიზმისკენ მოუწოდა. ქვეყანამ კვლავ იპოვა ძალები გაერთიანებისთვის და თავისუფალი ზნეობის მეფისთვის ესპანელთა დასამარცხებლად ლაშქარიც უზრუნველყო.

1595 წელი იდგა და ფილიპე ჯერ კიდევ მსოფლიოს უძლიერესი მონარქი იყო. მზე ჯერაც ვერ ახერხებდა ჩასვლას მის საბრძანისში, რომელიც კვლავ მოიცავდა ფლამანდიის ნახევარს, იტალიას, ესპანეთს, პორტუგალიას და ნახევარ ამერიკას. მაგრამ მისი ოცნება, საკუთარი ძალაუფლებისა და პაპის კონტროლის ქვეშ მთლიანად მოექცია ძველი და ახალი მსოფლიო. ესპანელი მეფე და კათოლიკური ეკლესია უნდა მიჩვეულიყვნენ პროტესტანტულ სახელმწიფოებთან თანაარსებობას, პროტესტანტული მენტალობის გათვალისწინებას.

იტალიას, რენესანსის აკვანს, ამ ისტორიულ საქმეებში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. რენესანსი ყველასათვის მოულოდნელად და ყველასათვის შეუმჩნევლად დასრულდა. მიუხედავად იმ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობისა, რომელიც ამ მოვლენას მომავალმა თაობებმა მიანიჭეს, მიუხედავად მის მიმართ იმ უდიდესი მეცნიერული ინტერესისა, რომელმაც რამდენიმე საუკუნის შემდეგ გაიღვიძა, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ რენესანსის ერთადერთი შესაძლებელი გარემო მხოლოდ იტალიური მიკროსახელმწიფო იყო — სახელმწიფო, რომელიც ბურკჰარდტის თქმით ხელოვნების ნიმუშივით იყო აგებული. ვითარების ცვლილებამ, როცა პოლიტიკის ასპარეზი უკვე ფლორენციასა და რომს, ან პიზასა და ფლორენციას შორის კონფლიქტი კი არ იყო, როცა პოლიტიკური პერსპექტივა ჯერ სრულიად ევროპაზე გავრცელდა, მერე კი ატლანტისა და წყნარ ოკეანეებს გადასწვდა, რენესანსული კულტურის, ჰუმანიზმისა და ცხოვრებისეული სინამდვილით მსუბუქად წარმართული ტკბობის ჩუმი და შეუმჩნეველი სიკვდილი გამოიწვია.

კულტურული მემკვიდრეობით გადატვირთული კათოლიკე გალეონები პროტესტანტული გალეონების სისხარტემ დაჯაბნა. ევროპის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო, ეპოქა, რომლის უმაღლეს წერტილში მზეს უკვე ბრიტანული იმპერიის საზღვრებში გაუჭირდებოდა ჩასვლა, მსოფლიოს არჩევანს კი ანგლო-საქსური აზროვნება განაპირობებდა.

*ნოდარ ლადარია, ლეილა ბეზარაშვილი*



*საფრანგეთის მეფე ანრი IV*

# ახალი ტექნოლოგია

### ტერორიზმი ტელეფონით

რა არ ხდება ამ ქვეყანაზე! ხანდახან მობილური ტელეფონების გამოყენებასაც კრძალავენ. მართლაც, ზოგჯერ ისინი რეკავენ იქ, სადაც არ შეიძლება, იმ დროს, როდესაც უხერხულია.

პირველად იორდანიის მეფე აღშფოთდა. იგი მოთმინებიდან გამოიყვანა იმან, რომ ზარები ხელს უშლიდნენ ლოცვაში. მაშინ მეფის შეკვეთით ერთ-ერთმა ამერიკულმა ფირმამ ორ კვირაში დაამზადა მოწყობილობა, რომელმაც დაბლოკა მობილური ტელეფონი სასახლის მოსასვენებელ ადგილებში.

ასეთივე ხერხს მიმართეს დიდ ბრიტანეთშიც, სადაც სამეფოს სასახლის დიდებულ დარბაზებში წამდაუწუმ გაისმოდა მრავალრიცხოვანი მოსამსახურე პერსონალის მობილურების წკრიალი.

### საჩუქარი ინდიელებისათვის

ჩრდილოეთ ამერიკის ძირძველი მცხოვრებლები უკანასკნელ დრომდე კავშირგაბმულობით გაცილებით ნაკლებად სარგებლობდნენ, ვიდრე დანარჩენი თანამემამულენი. სოციოლოგიური გამოკვლევის თანახმად, აშშ-ს ტელეფონიზაციის საერთო ეროვნული მაჩვენებელი 94 პროცენტს შეადგენს. ამასთან, მოსახლეობის აღწერა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ჩატარდა, იმას მოწმობს, რომ ინდიელთა ოჯახების მხოლოდ 47 პროცენტი სარგებლობს კავშირგაბმულობით. არიზონას შტატის ხელისუფლებამ შეადგინა სოციალური პროექტი ასეთი განსხვავების დასაფარავად. რადგან ჩვეულებრივი სატელეფონო ხაზების გაყვანა დიდ ხარჯებს მოითხოვს, გადაწყდა – უპირატესობა მობილური ტელეფონების ქსელის შექმნისთვის მიენიჭებინათ. ფინეთის ფირმა "ნოკიამ" ოფიციალურად განაცხადა, რომ ამ პროგრამის მხარდასაჭერად 30 ათას ცალ თავის აპარატს გამოყოფს. დიახ, ამერიკელ ინდიელებს 2,3 მილიონ დოლარს ჩუქნიან. ოჯახები ახალ მობილურ ტელეფონებს "ნოკია 282" სულ რაღაც 25 დოლარად მიიღებენ.

### იქაც რეკავს, კაცო!

კენიის ქალაქ მომბასაში მცხოვრები კამალ შაჰმა პატარა მობილური დაკარგა. მთელი ოჯახი ეძებდა ტელეფონს ოთახებში, რადგან ყველამ იცოდა, რომ ცოტა ხნის წინათ შაჰმა შინიდან მეგობარს დაურეკა.

ამ ძებნაში იყვნენ, რომ ოთახში ზარის ხმა გაისმა. ყველა გაშეშდა – საიდან გაისმა წკრიალი! უცბად პატარა ბიჭმა წამოიძახა: ვაიმე, მობილურის ხმა ჩვენი ძაღლის მუცლიდან ისმის!

ორი წლის გერმანული ნაგაზი სასწრაფოდ ვეტერინარულ კლინიკაში მიიყვანეს, ოპერაცია გაუკეთეს და მუცლიდან ტელეფონი ამოუღეს.

ქალაქში დაიწყო მითქმა-მოთქმა, თუ რატომ გაუჩნდა ძაღლს მობილურის გადაყლაპვის სურვილი. ერთმა იხუმრა, ამას მაშინ შეიტყობთ, როცა მეცნიერები დაადგენენ, როგორ მუშაობს ძაღლის ტვინიო.

დიდი ბრიტანეთის სააგენტო MORI-ის გამოკვლევებმა დაადგინეს, რომ მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანაში პირველი მობილურები გაჩნდა, ათასობით აპარატი ცხოველებმა გადაყლაპეს.

### რობოტი ანსხვავებს ერთმანეთისაგან კაცს და ქალს

დიდი ბრიტანეთის კომპანიამ "ინტელლიჯენს ერტამ", რომელიც მუშაობს ახალი რობოტების პროექტზე, შექმნა მომავალი რობოტების უჩვეულო თავი თვალებით – "დოკი". თურმე მას შეუძლია ვიზუალურად ერთმანეთისაგან განასხვაოს, თუ ოთახში ვინმე შემოვიდა, ქალია თუ კაცი. "დოკი" ქალთა სქესს 100 პროცენტის სიზუსტით, ხოლო მამაკაცთა სქესს – 96 პროცენტამდე სიზუსტით აფიქსირებს.

მაგრამ მარტო ეს არ არის. "დოკის" შეუძლია შეაფასოს ქალის სილამაზე!

იმაზე, თუ რას გააკეთებს მომავალი რობოტი, რომელსაც ასეთი "ჭკვიანი" თავი ექნება, მეცნიერები და ინჟინრები ჯერჯერობით სდუმან.

*ანდრე ცისკარიძე*




## TV პროგრამა

*27 ოქტომბერი*

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** "ღამის შოუ" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "უცხო, თეთრი, ჭრელი" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელელიპუცები" **18.20** "სპაიდერ მენი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ხალხის პირისპირ **23.00** დოკ. ფილმი "ბუდას ცხოვრება" (ბი-ბი-სი) **23.45** მხ. ფილმი "მონსტრების კუნძული". მთ. რ-ში: კარმენ ელექტრა (18) **02.00** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი **10.05** "იმღერე რამე" **10.35** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.05** ქიმერიონი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ცეკვის ენა" **15.20** "საღამოს საუბრები" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **16.30** "ეძიე ქალი" **17.00** მულტსერიალი **17.25** "ძველი აფიშა" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "კარიბის გული" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.00** "მიამბეთ თქვენზე" **00.00** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" მე-2ს.

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ვუპი" **11.35** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **12.05** ტელეჟურნალი "მოდა" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** შემეცნ. გასართობი პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ცეკვები ცისფერ იგუანაში" (18) (ჯენიფერ ტილი)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** სერიალი "ყავა და ლუდი" **12.20, 14.30, 02.55** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.25** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ტრუფალდინო ბერგამოდან" (გ) 1-ლი ს. **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.15** ქრონიკა **15.20** სერიალი "კლონი" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.25** საქმე ტ **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი **00.20** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.20** მხ. ფილმი "დუნი ტიუნზი კვლავ საქმეშია" **10.50** მუსიკა **11.00** ისტ. ფილმი "იულიუს კეისარი" 1-ლი ს. **12.30** დოკ. ფილმი **12.55** ბოევიკი "ვეფხვების ქვეყანა" **14.30, 17.30,** 20.30. **23.30** საინფორმაციო გამოშვება **14.45** კომედია "ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი" **16.20** დოკ. ფილმი **17.45** დრამა "ქარაფშუტობა" **19.25** დოკ. ფილმი **19.40** კომედია "გამარჯობათ მე თქვენი დეიდა ვარ" **21.00** პანტომიმის თეატრის მინიატურები **21.30** ფანტასტიკა "გატაკა" **23.10** მუსიკა **00.00** მხ. ფილმი "მოკვდი ოღონდ ახლა არა"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости**. 09.20, 21.30** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.30** Док. детектив. "Дубровский Ростовского уезда". Дело 2001 года**. 12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Лило и Стич"**. 13.50** Приключенческий сериал **"СОБАЧЬЕ ДЕЛО". 15.20** "Угадай мелодию" с Валдисом Пельшем**. 15.50** Сериал **"СТИЛЕТ". 17.00** "Пять вечеров". Среда**. 18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко**. 19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30** Время**. 22.40** Секретное досье. "Кошмар президента Никсона"**. 23.50** "Фабрика звезд"**. 00.10** Сканер. "Как делать деньги"**. 00.40** "Гении и злодеи". Пьер де Кубертен**. 01.10** Теория невероятности. "Дети индиго"**. 00.40** Сканер. "Как сохранить молодость"**. 01.10** Кармен Электра в комедии **"БРАЧНЫЕ ИГРЫ ЗЕМЛЯН" 02.50** Малкольм МакДауэл в комедии **"МОЯ ВЕСЕЛАЯ ЖИЗНЬ". 04.40** Сериал **"СВИДЕТЕЛЬ ПРОТИВ МАФИИ".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"БЕЗ СЛЕДА: КЭМ ЛИ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.15** Криминальная Россия**. 10.50** "Женский взгляд". Александр Гомельский**. 11.20** Максим Леонидов в программе "Растительная жизнь"**. 11.55** Сериал **"СЛЕПОЙ". 13.30** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА: ДЕВЯТЫЙ МАРШРУТ". 14.30** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2". 15.35** Чрезвычайное происшествие**. 16.20** Ток-шоу "Принцип домино"**. 17.25** Сериал **"СОКРОВИЩА МЕРТВЫХ". 18.35** Чрезвычайное происшествие**. 19.40** Сериал **"СЛЕПОЙ". 20.50** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2". 22.00** "Страна и мир"**. 22.40** "Стресс". Ток-шоу Александра Гордона**. 23.50** Арманд Ассанте в боевике **"ПОСЛЕДНИЙ ЗАБЕГ". 02.15** Бильярд**. 03.35** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: сети паукообразной обезьяны"**. 04.30** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 05.15** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ".**

## სკანვორდი



# თბილისის ცენტრალურ უბნებში საავტომობილო მოძრაობის განტვირთვისათვის

*"ვარდების რევოლუციას", წესით და რიგით, საზოგადოებრივი აქტივობის ზრდა უნდა მოეტანა. არადა, ამის მაგალითები რატომღაც არ ჩანს. ჩვენ, მოსახლეობის, კერძოდ, მოყვარული მძღოლების ერთმა ჯგუფმა გადავწყვიტეთ გამოვიჩინოთ ასეთი აქტივობა და განსახილველად გამოვიტანოთ ერთი მეტად საჭირბოროტო საკითხი. ამასთანავე შევამოწმოთ, თუ რამდენად შერბილდა ხელისუფლების სიხისტე მოსახლეობის ინტერესებთან მიმართებაში.*



### საკითხი

თვალნათლივ ჩანს, რომ თბილისის ზოგიერთი მთავარი ქუჩა ველარ აუდის ჭარბ საავტომობილო ნაკადს. ეს იმდენად ავტოტრანსპორტის სიმრავლით არაა გამოწვეული, რამდენედაც მოძრაობის მოუწესრიგებლობით. თბილისის ავტოტრანსპორტის **მოძრაობის ორგანიზაცია** კომუნისტების პერიოდიდან არ შეცვლილა და დაგეგმილია ან მცირე ავტონაკადისათვის, ანდა ძალიან განიერი, რუსეთის დიდ ქალაქებში არსებული პროსპექტების ავტომოძრაობის სქემით. ავტოინსპექტორებს არ შესწევთ ძალა, წინააღმდეგობა გაუწიონ ამ მასშტაბის დარღვევებს, არადა ყველა მძღოლი რომ ყველა ნიშანს ემორჩილებოდეს და მოძრაობის წესებს იცავდეს, სურათი ასეთი სავალალო აშკარად არ იქნებოდა. დასავლურ ქალაქებში ავტომობილები მეტია, მაგრამ საავტომობილო მოძრაობის კარგი ორგანიზება ყველა სირთულეს აგვარებს. ქვემოთ წარმოდგენილი სქემა სწორედ დასავლური, ე.წ. გამოყოფილი ხაზების პრინციპითაა შექმნილი და **წესების დარღვევას შეუძლებელს ხდის**.

სტაჟიანი მძღოლისათვის ძნელი არაა იმის განსაზღვრა, თუ რა უშლის ხელს თბილისის ცენტრში დაუბრკოლებელ ავტომოძრაობას. თუკი კარგად დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ **მოძრაობის "გადატვირთულობას" სწორედ ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები იწვევს:**

**1. უადგილო ადგილას გაჩერებული ავტოტრანსპორტი**

**2. სამარშრუტო ტაქსების უსისტემო გაჩერება-დაძვრა-მანევრირება**

**3. საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებების არასახარბიელო მდებარეობა**

ამას გარდა, არსებობს კიდევ რამოდენიმე ხელისშემშლელი ფაქტორი, როგორიცაა თავხედი მძღოლები, შუქნიშნების და ფეხით მოსიარულეთა მიწისზედა გადასასვლელების სიმცირე, სავალ ნაწილზე მდებარე "ჩავარდნილი" სარქველები, ე.წ. "ლიუკები" და ორმოები, რომლებსაც ყველა ცდილობს "სლალომით" აარიდოს.

**დაკვირვებამ აჩვენა,** რომ სულ რამოდენიმე წერტილზე არსებული პრობლემა იწვევს სავალი ნაწილის მთელ სიგრძეზე ჩახერგვას. თანმიმდევრობით ჩამოვთვლით ამ წერტილებს:

1. მეტრო "რუსთაველიდან" ფილარმონიის შენობამდე – აქ სავალი ნაწილი ვიწროა. რომ არა ტროტუართან გაჩერებული თუნდაც ერთადერთი მანქანა, ანდა სამარშრუტოების უსისტემო გაჩერება-დაძვრა-მანევრირება, მოძრაობა შეუფერხებელი იქნებოდა.

2. კოსტავას ქუჩაზე, საქტელერადიო კორპორაციის შენობის წინ მდებარე ავტოსადგომის არსებობის მიუხედავად, სამარშრუტოები მაინც უსისტემოდ აჩერებენ და ძრავენ.

3. გამსახურდიას გამზირზე ბახტრიონის ქუჩის კუთხე – საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებაზე სამარშრუტოების უსისტემო გაჩერება-დაძვრა-მანევრირება იწვევს ხერგებს.

4. აბაშიძის (ბარნოვის) ქუჩაზე "მრგვალი ბაღის" გარშემო – ცუდად გაჩერებული ავტომობილები და სამარშრუტოების უსისტემო გაჩერება-დაძვრა-მანევრირება განსაკუთრებით გაეროს ოფისთან.

5. ჭავჭავაძის გამზირზე - "ავრორიდან" ატენის ქუჩის კუთხემდე – "თიბისი" ბანკის ოფისთან, ბანკომატთან ცუდად გაჩერებული ავტომობილები და სამარშრუტოების უსისტემო გაჩერება-დაძვრა-მანევრირება.

6. ჭავჭავაძის გამზირზე - სახანძრო რაზმის საპირისპირო მხარეს – საქალაქო ტრანსპორტის გაჩერების ცუდი მდებარეობა, ცუდად გაჩერებული ავტომობილები და სამარშრუტოების უსისტემო გაჩერება-დაძვრა-მანევრირება.

7. ჭავჭავაძის გამზირზე - თურქეთის საელჩოდან ეკლესიამდე – იგივე, ცუდად გაჩერებული ავტომობილები და სამარშრუტოების უსისტემო გაჩერება-დაძვრა-მანევრირება.

8. ჭავჭავაძის გამზირზე - ყიფშიძის ქუჩის კუთხე – საქალაქო ტრანსპორტის გაჩერების ცუდი მდებარეობა, ცუდად გაჩერებული ავტომობილები და სამარშრუტოების უსისტემო გაჩერება-დაძვრა-მანევრირება.

9. დავით აღმაშენებლის გამზირი მთლიანად, და მარჯანიშვილის ქუჩა მთლიანად – ეს გრძელი მონაკვეთები სრულიად პარალიზებულია. მიზეზი იგივეა – ცუდად გაჩერებული ავტომობილები და სამარშრუტოების უსისტემო გაჩერება-დაძვრა-მანევრირება.

ამასთან ერთად, არსებობს სხვა ადგილებიც.

### გადაჭრის გზა

**მცირე დანახარჯებია საჭირო,** რათა არსებული ვითარება მკვეთრად გამოსწორდეს. მთავარ სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს:

1. ყველა ზემოხსენებული მონაკვეთის მთელ გაყოლებაზე ბეტონის გრძივ (80X20X20 სმ) ბლოკებზე აღმართული 1 მეტრი სიმაღლის მეტალის ბარიერით გამოიყოს საქალაქო ტრანსპორტისა და სამარშრუტოებისათვის სავალი ხაზი – ე.წ. *პირველი ხაზი*. ამავე ტიპის ბლოკებით, (მეტალის ბარიერის გარეშე), გაიყოს შუა, ე.წ. ღერძულა ხაზი. ბარიერები შეწყდეს გზაჯვარედინებზე.

2. საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებები გაფართოვდეს ტროტუარის ხარჯზე, ანუ "შეიჭრას" ტროტუარი. იქ, სადაც ამისი საშუალება არ არის – მცირედ გადაადგილდეს გაჩერება.

3. სამარშრუტოებს მიეცეს უფლება **პირველ ხაზზე** ნებისმიერ ადგილას, მათ შორის, გაჩერებებზე, მგზავრების აყვანისა და ჩამოსმისა.

4. მეორე (და მესამე) ხაზზე შეჩერების/გაჩერების გარეშე მოძრაობის უფლება მიეცეს ყველა ტიპის ტრანსპორტს, გარდა საქალაქო ტრანსპორტისა და სამარშრუტოებისა.

5. მსუბუქ ავტომობილებს მიეცეს უფლება მგზავრთა აყვანა-ჩამოსმისათვის ისარგებლოს მხოლოდ **პირველი ხაზით.**

6. გაორმაგდეს შუქნიშნების რაოდენობა და ყველა გზაჯვარედინი მოწესრიგდეს შუქნიშნით.

7. პარკინგისთვის გამოიყოს ადგილები მეორეხარისხოვან და პერპენდიკულარულ ქუჩებზე.

8. შეძლებისდაგვარად დაიშვას ორმხრივი მოძრაობა, შესვლა-გამოსვლა პერპენდიკულარულ ქუჩებზე.

შედეგად მივიღებთ შემდეგ სურათს:

**1. ფეხით მოსიარულენი ბარიერების გამო ქუჩას უსაფრთხოდ გადაკვეთენ მხოლოდ შუქნიშანზე.**

**2. მსუბუქი ტრანსპორტი თავისუფლად იმოძრავებს თუნდაც ერთ თავისუფალ ხაზზე, რაც შექმნის მოძრაობის ერთიან რიტმს.**

**3. პარკინგი მოეწყობა მხოლოდ მეორეხარისხოვან ქუჩებზე და ავტოსადგომებზე.**

**4. მოწესრიგდება სამარშრუტოებისა და საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა. ისინი მწკრივში იმოძრავებენ პირველ ხაზზე და ერთმანეთის გადასწრებას კი საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებებზე შეძლებენ.**

**5. ძალაუნებურად აღიკვეთება თავხედი მძღოლების პარპაში.**

ერთი შეხედვით, რთული ამოცანაა. ის, რომ ზოგიერთ მონაკვეთზე მსუბუქი ავტომობილების თავისუფალი მოძრაობისათვის ერთი სავალი ხაზი საკმარისი არ იქნება, მხოლოდ ილუზიაა, რადგან დაკვირვებამ გამოავლინა, რომ ერთი ხაზი ერთ წუთში 30 კმ/სთ სიჩქარით მოძრავ 50-ზე მეტ ავტომობილს გაატარებს, მაშინ, როდესაც ხერგის წარმოქმნისას ამავე დროში მხოლოდ 10-15 ავტომობილი თუ გაივლის. ერთადერთი, რაც გადამწყვეტია – სავალი ნაწილის სამხაზიანიდან ორხაზიანზე გადასვლა, ანუ შევიწროება. აუცილებელია მეტრო რუსთაველიდან ფილარმონიამდე ორხაზიანი მოძრაობა დაწესდეს, ხოლო ჭავჭავაძის გამზირზე მთლიანად სამხაზიანი.

მნიშვნელოვანია, რომ ხსენებულ ბეტონის ბლოკებზე აღმართული მეტალის ბარიერი უნდა წარმოადგენდეს მსუბუქ სეგმენტებს. ეს სეგმენტები არ უნდა იყოს ერთმანეთზე მიდუღებული, არამედ შესაძლებელი უნდა იყოს მათი საჭიროებისამებრ ერთ ღამეში დაშლა-აკრეფა ან აწყობა.

ამ იდეის განხორციელება თავიდან ექსპერიმენტის სახით შეიძლება – მაგალითად, მეტრო რუსთაველიდან ფილარმონიამდე. წარუმატებლობის შემთხვევაში, სეგმენტები ისევე ადვილად შეიძლება დაიშალოს, როგორც აეწყობა.

ბუნებრივია, ეს სტატია არ ითვალისწინებს ამ პროექტის დეტალურ და სკრუპულოზურ განხილვას და გამიზნულია მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისათვის.

*ქუცნა ამირეჯიბი*
*გური ხუნწარია*
*თორნიკე ბაქრაძე*
*აკაკი ადუაშვილი*
*სანდრო მენაბდე*
*ნიკა ყაველაშვილი*
*ლევან ქუთათელაძე*
*ვახო ბაბუნაშვილი*
*ირაკლი (პეჩო) ჭელიშვილი*

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

Save the Children

## განცხადება

საერთაშორისო ორგანიზაცია "გადავარჩინოთ ბავშვები" და ფონდი "ერანი" ახორციელებს მოსახლეობის, ლტოლვილთა მიგრაციის ბიუროს მიერ დაფინანსებულ პროექტს სახელწოდებით "დევნილთა კომუნალური ცენტრების აღდგენითი სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოში". პროექტი ითვალისწინებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას ქობულეთსა და წყალტუბოში.

პროექტის ფარგლებში ცხადდება ტენდერი სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი სამშენებლო კომპანიის გამოსავლენად.

დაინტერესებულ კომპანიების სატენდერო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2004 წლის 27 ოქტომბრიდან 09 ნოემბრის 12 საათამდე (კომპანიის წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილების დამადასტურებელი წერილი) მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. N32, პირველი სართული.

კონსულტაცია გაიმართება მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. N32, პირველი სართული 2004 წლის 3 ნოემბერს 12.00 სთ, ინდივიდუალური კონსულტაციები არ ჩატარდება.

ტ. 8 (22) 98 59 14

საკონტაქტო პირი: შამილ ჯალაღონია, მობ: 899 11 89 97







შევიძენ საოფისე ფართს ქალაქის ცენტრალურ უბნებში ან დიღმის ტრასის გასწვრივ.
ტელ: 893 102 109 ნიკა

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.